

განთქკ ჩუწინჭუღი



9026 (C 41)
902.6 (47 . 922)
ჩ 845

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ 1963 წელს გამოაქვეყნა ტარიელ ჩუბინიშვილის წიგნი — „ამირანის გორა — მასალები მესხეთ-ჯავახეთის უძველესი ისტორიისათვის“.

წინამდებარე წიგნი ამ მონოგრაფიის მეორე ნაწილია. ავტორი აქ ძირითადად მიმოიხილავს ამირანის გორისდროინდელ არქეოლოგიურ ძეგლებს, რომლებიც აშუქებენ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში მოსახლე ძვ. წ. IV—III ათასწლეულის მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების ცხოვრებასა და კულტურას.

ამ ნაკვეთში ავტორი ახლებურად წარმოგვიდგენს კავკასიაში მეტა-ლურგიის განვითარების უძველეს ეტაპებს, განსაზღვრავს სპილენძ-ბრინჯაოს წარმოების განვითარების ისტორიულ მნიშვნელობას მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომთა ცხოვრებაში, გვაძლევს იმ დროისათვის ფართოდ გავრცელებული ერთიანი კულტურის ნიშნების ზოგად დახასიათებას; ამასთანავე, განხილულია ამ კულტურის გავრცელების მიზეზები და მისი ჩამომყალიბებელი ტომების ვინაობის საკითხი.

წიგნი გამიზნულია მკითხველს მიაწოდოს საინტერესო ცნობები აღმოსავლეთ ამიერკავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთში ახლად აღმოჩენილი ძვ. წ. IV—III ათასწლეულის ნივთიერი კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებზე.

წინასიტყვაობა

მტკვრისა და არაქსის (არეზის) ორმდინარეთში მრავლადაა ცნობილი მიწათმოქმედ-მეხსაქონლე ტომების უძველესი კულტურის ნივთიერი ნაშთები.

აღნიშნულ ტერიტორიაზე წარმოდგენილი იმ მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესწავლა, რომელიც „მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურის“ სახელწოდებითაა ცნობილი, მეტად რთული და საძნელო საქმეა.

ამიერკავკასიის ამ უძველესი კულტურის ძეგლებისადმი ინტერესი ამ ბოლო ხანებში სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთის) არქეოლოგიური ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებით უფრო მეტად გაცხოველდა. ისტორიული საქართველოს ამ ერთ-ერთი მოწინავე მხარის უძველესი ნივთიერი კულტურა უკანასკნელ წლებამდე თითქმის სრულიად უცნობი იყო, მაგრამ ძველი წერილობითი წყაროების მიხედვით მისი მნიშვნელობა კავკასიელი ტომების ცხოვრების გასაშუქებლად საერთოდ კარგად იყო წარმოდგენილი. სწორედ ეს გარემოება აპირობებდა იმას, რომ მესხეთ-ჯავახეთშიაც ბრინჯაოს კულტურის მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლის აღმოჩენა სავსებით მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო; და მართლაც, აქ წარმოებულნი დაზვერვებისას, ძვ. წ. III ათასწლეულის სხვა მნიშვნელოვან ძეგლებთან ერთად, ქ. ახალციხესთან მიკვლეულ იქნა ე. წ. ამირანის გორის სამოსახლო.

ამ ძეგლზე მუშაობის ძირითადი შედეგები, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ პირველი წლების მანძილზე მოიპოვა, უკვე გამოქვეყნებულია. აღსანიშნავია, რომ ამირანის გორის გათხრების დროს და უფრო ადრეც, კავკასიის არქეოლოგიაში ბევრი ახალი და მნიშვნელოვანი რამ მოხდა: დადასტურდა არქეოლოგთა შორის ზოგჯერ ერთიმეორისაგან ქრონოლოგიურად გათიშული პერიოდების უმართებულოდ დაკავშირების ტენდენცია, რომელმაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძვ. წ. III ათასწლეულის ძეგლების უმეტესობა ენეოლითურ პერიოდს მიაკუთვნა, და

უმართებულად მიიჩნია აღნიშნულ ტერიტორიაზე ნეოლითური დროიდან ერთიანი კულტურის თანმიმდევრული განვითარება. მაგრამ უკვე ახლად გათხრილი ძეგლების საფუძველზე ჩანს, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ეს ეტაპი თავისი ქრონოლოგიური საზღვრებითა და, რაც მთავარია, განვითარების დონით „ენეოლითური პერიოდის“ ცნებაში ვერ მოექცევა; გარდა ამისა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულისათვის შეიმჩნევა ამ კულტურის შემცველი სამოსახლოელო მიტოვების ტენდენციაც. ყოველივე ეს მოითხოვს რიგი საკითხის სრულიად ახლებურ, სარწმუნო გაშუქებას.

წინამდებარე წიგნში მოცემულია ამ საინტერესო კულტურის რაობისა და მისი წარმოშობის მიზეზების შესწავლის ცდა, განსაზღვრულია „მტკვარ-არაქსის“ ერთიანი კულტურის ურთიერთობის ხასიათი სხვა მეზობელ კულტურებთან: გაშუქებულია საკითხები, თუ როგორი იყო ამ კულტურის მატარებელი ტომების სამეურნეო საქმიანობა, რა დოვლათს ჰქმნიდა ეს საზოგადოება, რა თავისებურებებით ხასიათდებოდა მათი საცხოვრისი, როგორი იყო იმდროინდელი ადამიანის რელიგიური წარმოდგენები, სულიერი კულტურის დონე და სხვ. ამ საკითხთა ერთი ნაწილი უკვე ახალციხის ამირანის გორაზე მოპოვებული მასალების შესწავლასთან დაკავშირებით ნაწილობრივად გაირკვა. უეჭველია, წიგნში დასმული ყველა საკითხის გადაწყვეტა მთელი სისრულით მაინც ვერ ხერხდება; საამისოდ ახლო მომავალში უთუოდ კიდევ მეტი ახალი მასალების შესწავლა იქნება საჭირო.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ახალციხის ამირანის გორა ერთი ისეთი ძეგლთაგანია, რომლითაც თითქოს უკვე ხერხდება სამხრეთ კავკასიის მიწაწყალზე ძვ. წ. III ათასწლეულში მოსახლე ტომების ცხოვრების ნაწილობრივ გაშუქება. აქ ერთად გვხვდება დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული სახლმრავალი დასახლება, სამაროვანი და ცალკე გამოყოფილი ადგილი; სადაც მსხვერპლშეწირვა ხდებოდა. „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ასეთი სრული, კომპლექსურად წარმოდგენილი არქეოლოგიური ობიექტი საერთოდ იშვიათად თუ მოიძებნება.

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საქართველოში და საერთოდ კავკასიაში ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილ იქნა აგრეთვე სხვა საყურადღებო ძეგლებიც, რომლებმაც ხელი შეუწიეს აქ არსებული უძველესი კულტურის ახლებურ გაშუქებას; ზოლო ძვ. წ. III ათასწლეულზე ბევრად უფრო ძველი კულტურული ფენების აღმოჩენამ ახლა უფრო მეტი სიმკვეთრით დასვა მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში არსებული ყველა ძველი კულტურისა და საკუთრივ ძეგლების პერიოდიზაციის გადასინჯვის აუცილებლობის საკითხი¹. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული კულტურის მთელი რიგი ახალი განმსახვრელი ნიშნების გამოვლენამ საფუძველი შეუშადა კავკასიის დაახლოებას წინააზიურ დაწინაურებულ სამყაროსთან. ყველა ამ ახლად აღმოჩენილი ძეგლის შესწავლის შედეგად „მტკვარ-არაქსის“ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურაში გამოვლენილ იქნა „ჩრდილო მესოპოტამიური“, „მცირეაზიული“ ტიპის საცხოვრებელი სახლები, ნახევრადმიწურები და ქოხების მსგავსი ნაშთები, ალიზის აგურები, ნაგებობათა კედლების მოხატულობანი, ადგილობრივ თიხის ჭურჭლებზე დატანილი პიქტოგრაფული ნიშნები, მინისებრი პასტის მძივები, ცხენისა და მოშინაურებული ცხოველების უძველესი ქანდაკებები, მამაკაცის იტიფალური ქანდაკებანი ან მისი გამოსახულების შემცველი სხვადასხვა ნივთები, რქოსან ცხოველთა მრავალნაირი შეწირულებანი და მიცვალებულთა დაკრძალვის რთული წესები, რომლებიც ხშირად საკუთრივ სამოსახლოზე ან

კიდევ შიგნით სახლშივე სრულდებოდა და კიდევ სხვა მრავალი ასეთი ფაქტი, რომელთა მიხედვით ამ უძველეს კულტურას უკვე სრულიად ახალი ელფერი მიეცა.

მაგრამ, ამის გარდა, კავკასიის უძველესი კულტურის შესწავლის სფეროში, როგორც ცნობილია, მეტალურგიის საწყისების ძიებასა და მისი პირველი ნაშთების დადგენას ეთმობა მთავარი ადგილი.

უძველესი წინააზიური ლიტერატურის ერთ-ერთ ფრიად საინტერესო ძეგლში — „დაბადებაში“ და აგრეთვე ძველ მწერალთა ნაშრომებში გვხვდება ცნობები იმ პირველი მეტალურგი ტომების შესახებ, რომლებიც საისტორიო ტრადიციების მიხედვით ქართველთა წინაპრებად იყვნენ მიჩნეულნი. XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოკიდებული ლიტერატურაში უკვე საკმაოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ ამ ტომებმა მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის განვითარებაში, და ყველა ცნობის მიხედვით, ძველი მესოპოტამიის მოსახლეობასთან ერთად ისინი პირველნი გაეცნენ ბრინჯაოს².

ივ. ჯავახიშვილი 1928 წელს გამოქვეყნებულ „ქართველი ერის ისტორიაში“ აღნიშნავდა, რომ კავკასიის მოსახლეობის მთავარი კულტურული პერიოდი ბრინჯაოს ხანაში იწყება და რომ ქართველები კავკასიაში მხოლოდ ბრინჯაოს ხანაში დამკვიდრდნენ, მანამდე კი ისინი მცირე აზიაში ცხოვრობდნენ. მისი მოსაზრებით, ქართველთა წინაპრები — მესხები და თუბალები — საბოლოოდ საქართველოს ტერიტორიაზე დაბინავდნენ ძვ. წ. VIII—VII საუკუნეებში. იმ ხანებში და უფრო ადრეც — ამიერკავკასია იმის გამო იქცა მცირეაზიელთა მოსახლეობის თავშესაფარად, რომ მცირეაზიის, შუამდინარეთისა და ირანის ადგილობრივ მოსახლეობას დევნიდნენ და იპყრობდნენ ჯერ კიდევ უძველესი ხოლო შემდეგ — სკვითები.

ივ. ჯავახიშვილს ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მყარი არქეოლოგიური მასალები არ გააჩნდა. მას საბუთად მოჰყავდა კავკასიაში ძვ. წ. XI—IX სს. არსებული თავისებური და მალახზარისხოვანი ბრინჯაოს სხვადასხვაგვარი ნივთები და ქართველთა ტომები მიაჩნდა მელითონეობის ძველთაძველი ჩვევების მატარებელ მეტალურგებად³.

ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებათა ჩამოყალიბების დროს კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს არქეოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერება არ იყო. ის, როგორც ახლადფეხადგმული დარგი, მხოლოდ სახავდა თავისი ძირითადი საკვლევე პრობლემების სფეროს და უძველესი ქართული მეტალურგიის

შესწავლაც ის-ის იყო მაშინ დაიწყო. მაგრამ იმ დროის კავკასიაში არათუ სპილენძის, ე. წ. ენეოლითის, არამედ ადრეული და შუაბრინჯაოს კულტურის თავისებურებანიც სრულიად უცნობი იყო.

იმ პერიოდში კავკასიისა და, კერძოდ. საქართველოს უძველესი მატერიალური კულტურის ძირითადი პრობლემების მართებული გაშუქება მოგვეცა გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა ს. ჯანაშიამ, რომელმაც ფართოდ გაშლილ საისტორიო კვლევასთან დაკავშირებით ძველ ეროვნულ, ბერძნულ-რომაულ და ბიზანტიურ ცნობებთან ერთად უხვად გამოიყენა ახლად აღმოჩენილი დიდმნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაცემები. ამ მასალების ანალიზმა ხსენებული მკვლევარი იმ მოსაზრებამდე მიიყვანა, რომ ქართველი ტომები კავკასიაში ავტოხტონურად ვითარდებოდნენ. ამით ფაქტურად უარყოფილ იქნა ქართველთა სამხრეთიდან გადმოსახლების ვარაუდი. ამის სანაცვლოდ, ავტორმა წინ წამოსწია დებულება ქართველთა ნათესაურ კავშირზე ძველი აღმოსავლეთის ხალხებთან — ს უ მ ე რ ე ბ თ ა ნ, ხ ე თ ე ბ თ ა ნ, ხ უ რ ი ტ ე ბ თ ა ნ, უ რ ა რ ტ ე ბ თ ა ნ და სხვ. ამ ვითარების თანახმად ერთიან და დიდ კულტურულ სფეროში ქართველი ტომების განსახლება კი არ ხდებოდა, არამედ თანდათანობით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ადგილს ინაცვლებდა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრები⁴. ამ ახალი მოსაზრების მომწიფებას ხელი შეუწყო თრიალეთის მთიანეთში სრულიად განსხვავებულმა და თავისებური კულტურების აღმოჩენამაც.

ბ. კუფტინმა თრიალეთური მასალების საფუძველზე პირველმა გააშუქა „ამიერკავკასიური ენეოლითური კულტურა“ და იგი ძვ. წ. III ათასწლეულს მიაკუთვნა, ხოლო მომდევნო პერიოდების — არანაკლებ მნიშვნელოვან ძეგლთა ურთიერთდაკავშირების გზით კი შექმნა უძველესი ძეგლების ისეთი პერიოდიზაცია, რომელიც ცხადყოფდა „ენეოლითური“ ხანიდან ამიერკავკასიის ერთიანი კულტურის თანმიმდევრულ, უწყვეტ მომდინარეობას და განვითარებას⁵.

ბ. კუფტინმა „ენეოლითური“ კულტურის პირველად კერად მტკვარ-არაქსის აუზი მიიჩნია და ძვ. წ. III ათასწლეულის იმ ერთიან კულტურას, რომელიც სამხრეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში იყო გავრცელებული, „მტკვარ-არაქსის ენეოლითური კულტურა“ უწოდა. მას ხელს უწყობდა მახლობელი აღმოსავლეთის მომიჯნავე ქვეყნებიდან მოტანილი ანალოგიებიც, რომლებიც მხოლოდ სამხრეთული ენეოლითური ან ენეოლითური კულტურებისათვის არის დამახასიათებელი⁶. უთუოდ ამ გარემოებამ განაპირობა ის ვარაუდიც, რომ ამიერკავკასიაში გავრცელებული ე. წ. მტკვარ-არაქ-

მის ენეოლითური კულტურა სწორედ ადგილობრივ ენეოლითურ კულტურასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული⁷.

1956 წელს. როდესაც ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემცველი სტრატეფიციკრებული ძეგლები, ბ. პიოტროვსკი მოხატული კერამიკით წარმოდგენილ წინააზიურ ენეოლითისა და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მსგავსებას დაუშვებლად მიიჩნევდა. მისი აზრით, კავკასია თავისი განვითარებით ბევრად ჩამორჩებოდა წინააზიურ ქვეყნებს და მათს პერიფერიას წარმოადგენდა. ამიტომაც სამხრეთულ-ენეოლითურ კულტურებთან შედარებით, „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ბევრად უფრო ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო⁸.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის შესწავლას უკვე ოცდახუთი წლის ისტორია აქვს და ახალ ეტაპზე საკითხთა მთელი რიგი სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტას მოითხოვს. ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკვე ახლებურადაა გაშუქებული, რის შესაძლებლობასაც მტკვრისა და არაქსის აუზში შესწავლილი ძეგლები იძლევიან: ესაა დიდ-პატარა სამოსახლოები, სამაროვანები, ცალკე გამოყოფილი ყორღანები და აკლდამები. სამლოცველოები თუ სამსხვერპლოები და ძვ. წ. III ათასწლეულისადმი განკუთვნილი სხვა ნივთმრავალი კომპლექსები. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ხანგრძლივ არსებობაზე მიგვითითებს ქიულ-თეფეს. ხიზანანთ-გორას. ქვაცხელების. გუდაბერტყასა და სხვა ნასახლართა სამშენებლო პერიოდების სიმრავლე და მათზე წარმოქმნილი ფენების სიმძლავრე. როგორც ახლა ირკვევა, ხსენებულ კულტურას სულ მცირე ათი საუკუნის ისტორია აქვს და იგი ამიერკავკასიაში ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულიდან III ათასწლეულის მიწურულამდე არსებობდა.

ამ ისტორიულ მონაკვეთში თანდათან ყალიბდებოდა დავითარდებოდა „მტკვარ-არაქსის“ კულტურა. ამასვე ადასტურებს უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებული მუშაობის შედეგებიც, რამაც სრულიად შეცვალა არსებული წარმოდგენა ამ კულტურის მატარებელ ტომებზე. აღსანიშნავია. რომ ახალი მონაცემებით. „მტკვარ-არაქსის“ სამიწათმოქმედო კულტურა ამავე დროს ნამდვილ მელითონეთა ტომების კულტურად გვესახება⁹. ა. იესენის მოსაზრების მიხედვით ამ კულტურის აქ წარმოდგენილი ეტაპების ენეოლითური პერიოდისადმი მიკუთვნება უკვე შეუძლებელია¹⁰. ამიტომ ის სხვებთან ერთად¹¹ საჭიროდ მიიჩნევს, რომ სამხრეთული კულტურებისათვის მიღებული შესაბამისი ნომენკლატურა გავრცელდეს „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ყველა წარმოდგე-

წილ ეტაპებზე; ა. იესენის აზრით, „მტკვარ-არაქსის ენეოლითის“ ნაცვლად უნდა ვიხმაროთ ადრეული ბრინჯაოს პირველი და მეორე პერიოდი (I—II), ხოლო თრიალეთისა და საჩხერის ყორღანების თანადროული სხვა ძეგლები კი უნდა მიეკუთვნოს ადრეული ბრინჯაოს მესამე პერიოდს (III)¹².

ახალი მასალების გამოკვლევის შედეგად „მტკვარ-არაქსის“ კულტურა თავისი მნიშვნელობით და გავრცელებით ბევრად სცილდება საკუთრივ ამიერკავკასიას¹³. საგულისხმოა ამ კულტურის გავრცელების არე, რომელიც მთლიანად მოიცავს მტკვარ-არაქსის ორმდინარეთს, და სცილდება მტკვრის მარცხენა ნაპირს დასავლეთის¹⁴, ჩრდილოეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით¹⁵. იგივე კულტურა გადადის დაღესტანში, ჩაჩნეთსა და ჩრდილოეთ ოსეთში¹⁶.

ამ კულტურის გავრცელება დადასტურებულია კავკასიის გარეთ, ირანსა და თურქეთში: რიზაიეს (ყოფ. ურმიის¹⁷) და ვანის ტბების მიდამოებში; პულურთან, არზრუმთან და მუშისა და ელაზიგის მახლობლად¹⁸. მსგავსი კერამიკა და მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი სხვა ელემენტი იკრება უფრო სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, ხოლო აღნიშნული ელემენტები ანტიოქიის, ჩრდილო-სირიისა და პალესტინის რაიონებში ექცევა მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში, ანდა უფრო გვიან წარმოჩენილ კულტურულ ფენებში, რომლებიც ე. წ. პირბეტ-კერაკის კერამიკულ ჯგუფს წარმოგვიდგენენ¹⁹.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ადასტურებს, რომ კულტურულ ერთიანობაში მოქცეულია არა მარტო ამიერკავკასიის და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის უძველესი მოსახლეობა, არამედ ჩრდილოეთ ირანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის მომიჯნავე ოლქებში მოხინდრე ტომები, რომელთა შორის დიდხანს არსებობდა კავშირი ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურულიდან ძვ. წ. III—II ათასწლეულამდე²⁰.

საკითხავია. როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა ეს ერთიანი კულტურა და სად ზღებოდა პირველად ამ კულტურის გაფორმება. თუმცა ჩვენთვის ცნობილია ამ ერთიანი კულტურის თარიღები, მეტ-ნაკლები სიზუსტით წარმოდგენილია მისი გავრცელების არე, ცალკეული ლოკალური კულტურები; აგრეთვე არსებობს ამ ერთიანი კულტურის უფრო დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავების ცდებიც, მაგრამ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა სახის ნივთიერი ძეგლების შესწავლით მაინც ვერ მოხერხდა ამ ათსაუკუნოვანი კულტურის განვითარების საფეხურების უფრო მკვეთრად გამოყოფა²¹.

1940 წელს ბ. კუფტინმა შეძლო თრიალეთის „ენეოლითური“ და „ადრეული ბრინჯაოს ხანის“ მასალების დაჯგუფება²².

ამ ძნელ, მაგრამ ამასთანავე მეტად საკირბოროტო საკითხთა რიგს ემატება თვით ამ კულტურის წარმოშობისა და მისი შემდგომი განვითარების პრობლემა. საქმე ისაა, რომ სტრატოციკრებულ ფენებში არსებულ და ურთიერთისაგან განსხვავებული მასალების მიხედვით ზოგიერთ ძეგლზე (ქიულთეფე, ბაბა-დერვიში, გეთი-თეფე და სხვ.) ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვერც ამიერკავკასიაში და ვერც მის სამხრეთით „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ვერ უკავშირდება და წინამავალ და მომდევნო ხანის კულტურებს²³. ცხადია, რომ ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გაშუქება მხოლოდ თითო-ორი სტრატოციკრებული ძეგლით შეუძლებელია. განსაკუთრებით ეს ითქმის მის დამოკიდებულებაზე წინამავალ კულტურასთან, რომელიც ჭერჯერობით აშკარადაა გამოხატული მხოლოდ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

ესეც რომ არ იყოს, ჭერ კიდევ დასაზუსტებელია ამ ორი — უფრო ძველი ენეოლითური და „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ქრონოლოგიური დამოკიდებულების საკითხიც. არაა გამორიცხული, რომ სტრატოციკრებულ ძეგლებს შორის არსებული სტერილური ფენა უნდა მიგვიითებდეს საკმაოდ მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ ხარვეზზე, რაც გამოაშკარავებს შუალედური ძეგლების არსებობას²⁴ ამ კულტურის გავრცელების რომელიმე მხარეში.

ამავე კატეგორიას მიეკუთვნება „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების საკითხიც. მისი გაშუქება უმეტესად გამორიცხვის წესით ხდება და მოკლებულია დამაჯერებლობას. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების და ეგებ მისი ჩამოყალიბების ძირითად ცენტრალურ რაიონებად მივიჩნიოთ აღმოსავლეთ ანატოლიისა და მდ. არაქსის შუა დინების აუზი, თრიალეთისა და ურმიის ტბის მხარე კი — პერიფერია²⁵. მეორე მოსაზრება ემყარება ამ კულტურის გავრცელებას ამიერკავკასიის დიდი ანატოლიაში²⁶.

ეს საკითხი დაკავშირებულია „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ან მისი ცალკეული ელემენტების შექრის საკითხთან ჩრდილო სირიისა და პალესტინის მხარეში. დასადგენია ამ კულტურის ასეთი ფართო გავრცელების მიზეზები. ჭერ კიდევ გაურკვეველია რამდენად არსებითია „ჰირბეტ-კერაკის“ კულტურის მსგავსება უფრო ადრეულ ამიერკავკასიურ კერამიკასთან²⁷. ამასთან დაკავშირებით დაწვრილებით შესასწავლია იმ დროის კულტურული ვითარება სამხრეთ და ცენტრალურ ამიერკავკასიაში, რომელიც თავისი თარიღით „ჰირ-

ბეტ-კერაკის“ კულტურის გამოჩენისა და შემდეგ მისი უეცრივ გაქრობის ხანას ემთხვევა (ძვ. წ. 2300—2200 წწ.).

ყველა ზემოთ ხსენებული საკითხი უფრო მეტი სიმკვეთრით ისმის ორ ლოკალურ ვარიანტად წარმოდგენილ (ჩაჩნეთისა და დაღესტანის რაიონებში) ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრის კულტურებისა და ამიერკავკასიური თუ მცირეაზიური სამყაროთა ურთიერთობის განხილვასთან დაკავშირებით. აქ არ შეიძლება გვერდი აუუაროთ იმ მრავალმნიშვნელოვან პარალელს, რომელსაც ჭერ კიდევ ივ. ჭავჭავაძის პოულობდა საქართველოს, კავკასიისა და მან-ლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემების გაშუქებისას და. ამრიგად, ასაბუთებდა ბრინჯაოს ხანაში მის მიერ დადგენილ კავკასიელ ტომთა გადასახლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

საბჭოთა არქეოლოგიაში 1940 წლიდან იწყება უძველესი მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების კულტურების შესწავლის ახალი ეტაპი. ამ დროიდან ჭერ სამხრეთ უკრაინასა და ამიერკავკასიაში, შემდეგ კი შუა აზიაში აღმოჩენილ იქნა ახალი, ფრიადმნიშვნელოვანი ძეგლები, რომელთა შესწავლის შემდეგ მრავლად გამოვლინდა ძველი კულტურების თავისებურებანი და დადგინდა მათი „მამობრაველი“ სამეურნეო საწყისები. ბოლო ხანებში კი საბჭოთა არქეოლოგების მიერ ენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურათა შესწავლაში აღინიშნება უკიდურესი ავტაქონიზმის ერთგვარი შერბილება (განსაკუთრებით ტრიპოლიეს კულტურის მიმართ), რასაც მოჰყვა ამ კულტურათა წარმოშობის ახლებური ახსნა²⁸. კავკასია ძვ. წ. IV—III ათასწლეულში მეტად რთულ ინტენსიურ კულტურულ ურთიერთობას ამყარებდა გარე სამყაროსთან, მაგრამ ცხადია, კავკასია და. კერძოდ, საქართველო არ წარმოგიდგება ისეთ ადგილსამყოფელად, რომელიც აქ მოსული ტომების მიერ დატოვებულ ნივთიერ და სულიერ კულტურის სხვადასხვა ელემენტების საგანძურად ქცეულიყო. პირიქით, ახალი მასალების შუქზე ირკვევა „მტკვარ-არაქსის“ ერთიანი კულტურის ისეთი თავისებურებანი, რომლებიც კავკასიურ-აბორიგენული კულტურის ყველა დამახასიათებელ ნიშანს ატარებს და ენობრივ-ფოლკლორულ თუ ანთროპოლოგიურ მონაცემებთან ერთად განსაზღვრავს ამ კულტურის შინაარსს²⁹.

არქეოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მატარებელი ტომების სამეურნეო ცხოვრების მართებული ანალიზი. ლითონის პირველი წარმოება, მესაქონლეობის განვითარების მნიშვნელობის ჭეროვანი შეფასება და მათი სულიერი კულტურის ყველა ელემენტის გააზრება, რაც მხოლოდ ძველი ქართული ეთნოგრაფიული ან წინააზიური მასალების საფუძველზე ხერხდება.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ისტორიულ-გეოგრაფიული ბარემო

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების შესახებ. მისი შესწავლის პირველ ეტაპზე ისეთი წარმოდგენა შეიქმნა, თითქოს ამ კულტურის თავდაპირველი საზღვრები ხსენებულ მდინარეთა შუა დინების ტერიტორიას არ გასცილებია. ამგვარი მეცნიერული წარმოდგენის შემუშავებაში გარკვეული მნიშვნელობა იმ გარემოებასაც ჰქონდა, რომ მტკვარ-არაქსის ხეობაში და მის ფარგლებს გარეთ (მაგალითად, საჩხერე, დაბლა გომი) ამ დროის არც ერთი ნამდვილად სტრატოგრაფიკული ძეგლი აღმოჩენილი არ ყოფილა და თითქმის არც ერთი ნივთმარაგალი და სანდო კომპლექსი არ მოიპოვებოდა. საკვლევ მასალას კი ტიპოლოგიურად შესასწავლი თიხის ნაწარმი წარმოადგენდა. საერთო ჯამში ამ ახლად აღმოჩენილი კულტურის კვლევის პირველი შედეგების შემდგომ ცხადი გახდა, რომ საკუთრივ ამ კულტურას მხოლოდ მტკვარ-არაქსის შუა დინების აუზში აღმოჩენილი ძეგლები განეკუთვნება, მის გარეთ აღმოჩენილი მსგავსი ძეგლები კი მხოლოდ და მხოლოდ მომდევნო ხანისაა. და ამდენად, ამ კულტურის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს¹.

ამ თვალსაზრისის შესაბამისად შეუქდებოდა „მტკვარ-არაქსის“ კულტურის წარმოშობის საკითხიც. მაშინ ყველაზე უფრო მართებულად მიჩნეული იყო მოსაზრება, რომ ხსენებული კულტურა ამ მდინარეთა აუზის შუა წელში უნდა ჩამოყალიბებულყო. ეს აზრი ახლაც ფართოდაა გავრცელებული საბჭოთა და უცხოელ არქეოლოგთა შორის.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე მსგავსი საკვლევე საკითხების ახლებურად დასმის შესაძლებლობა გაიზარდა. მტკვარისა და არაქსის აუზში (ქიულ-თეფე, ბაბა-დერვიში, ქვაცხელა, ხიზანანთ გორა, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.) და მის გარეთაც (გვოი-თეფე, იანიკ-თეფე, ქარაზი, პულური და სხვ.) უკვე ისეთი სტრატოგრაფიკული ძეგლები-

გაითხარა, რომ ახლა მათი ქრონოლოგიური შესაბამისობის დადგენისათვის უფრო მეტი და სანდო მონაცემები მოგვეპოვება.

ამ კულტურის წინამდევალ ან მომდევნო დროის ფენებს შორის აღმოჩნდა საკუთრივ „მტკვარ-არაქსის“ კულტურიადმი განკუთვნილი ისეთი სხვადასხვა-სანშენებლო პერიოდებით წარმოდგენილი ფენები. იმდროინდელი სამლოცველოები და სამაროვნები, რომელთა ნივთიერი ნაშთები ამა თუ იმ ძეგლის უკვე ერთ, მთლიან კომპლექსს შეადგენს (ქიულ-თეფე, ხიზანანთ გორა, გუდაბერტყა. ქეაცხელა. ოზხი, ამირანის ცორა და სც.). ალა ამგვარი ძეგლები აღმოჩენილია არა მარტო ხსენებულ მდინარეთა შუა დინების ტერიტორიაზე (ცენტრალური და სამხრეთ ამიერკავკასია), არამედ მის სათავეებთან ახლოს. ე. ი აღმოსავლეთ ანატოლიის სამხრეთ თუ აღმოსავლეთ საზღვრებთან, არაქსის მარჯვენა ნაპირის სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირის ჩრდილოეთით, დასავლეთ საქართველოში (ქიათურის. სამტრედიისა და საჩხერის რაიონებში), ჩეჩნეთ-ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთშიც კი.

ათსაუკუნოვანი კულტურის გავრცელების ტერიტორიის ამდაგვარი ზოგადი მოხაზვა რამდენადმე სრულ წარმოდგენას ვერ გვაძლევს იმ გეოგრაფიული გარემოს შესახებ, რომელშიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ვითარდებოდა. ამიტომ პირველ თავში მოკლედ მიმოვიხილავთ ამ კულტურის გავრცელების ტერიტორიას თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ გ ა რ ე მ ო ს 2.

მთელი ის ტერიტორია. სადაც ამ ხუთი ათასი წლის წინათ „მტკვარ-არაქსის“ კულტურა ვრცელდებოდა, ხასიათდება მთიანი ქვეყნის რელიეფით, თუმცა, როგორც ეს ძველადვე უნდა ყოფილიყო. აქ კლიმატის დიდი კონტრასტებიც აღინიშნება, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ანატოლიის შედარების დროს.

მტკვრისა და არაქსის სათავეები აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარეობს. მტკვრის სათავეებია მარჯნისა და მარგალიტის წყაროები, რომლებიც არსიანის ქედზე ეშვებიან. არსიანის ქედი მესხეთის ქედს სამხრეთ კალთებიდახ ოდნავ გამოეყოფა და სქართველოს სამხრეთ მთიანეთის დასავლეთ და შუა-ნაწილის საზღვარზე ექცევა. ის მთლიანად სამხრეთ კავკასიის მთიანეთის ჩრდილოეთ უბანში მდებარეობს. განუწყვეტლივ ვრცელდება სამხრეთით და უერთდება წინა აზიის მთიანეთს, ერთიანად შეიცავს ქოროხის ქვემო წელის აუზს. მტკვრის ზემო წელს. მტკვრის შუა წელის მარჯვენა შემდინარეთა აუზებს და მდ. არაქსის მარცხენა შენაკადების დიდ ტერიტორიას. მდინარე არაქსი. რომელიც მტკვრის სამხრეთით მიედინება და მის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს, სათავეს ბინდელ-დაღის ქედის კალთაზე (ზღვის დონიდან 2600 მეტრის სიმაღლეზე) იღებს.

მტკვრისა და არაქსის მდინარეთა ზემო ნაწილი, პირველი ტაშისკარამდე, ზოლო მეორე კი ჯულფამდე კალაპოტს მეტწილად კლდოვან მასივებში იკვლევს, რის გამოც ეს მდინარეები აღმოსავლეთ ანატოლიაში და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიწათმოქმედებისათვის თითქმის გამოუყენებელია. მკაცრი კონტინენტური მშრალი კლიმატისა და ნახევრადუდაბნოს ლანდშაფტის მქონე აღმოსავლეთ ანატოლიის ის მხარეებია ხელსაყრელი მიწათმოქმედებისათვის, რომელთა სახნავ-სათეს მიწებს ბუნებრივად რწყავენ მთის ძირიდან დაბლობზე ჩამომავალი პატარა მდინარეები. არზრუმის დაბლობი, ალაშკირისა და მდ. ტიგროსის აღმოსავლეთით ერთ-ერთი შენაკადის აუზშია მოქცეული არზანის, ანუ ჯერმის ველები. დანარჩენი ტერიტორია მეტწილად უწყლოა. ტრამალებში მიდამოები ადრეგაზაფხულზე ხანმოკლედ იფარება მცენარეული საფარით. ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ტყის სარტყლის ზევით კი მხოლოდ და მხოლოდ ალპური ველებია, რომლებიც საძოვრებად გამოიყენება და ხელს უწყობს ამ მხარეში მესაქონლეობის განვითარებას. მაგრამ ისეთ ქვეყანაში, სადაც თოვლი ნთვეს არ დნება, ძველად არ უნდა ყოფილიყო მესაქონლეობისათვის ფეხმოსაკიდებელი პირობები. ამას ემყარება ის მოსაზრება, რომ არქეოლოგების დიდი უმეტესობა აღმოსავლეთ ანატოლიის კულტურული დაწინაურებისათვის აქ ვერავითარ საფუძველს ვერ პოულობდა და მის უშუალო კავშირს სამხრეთულ კულტურულ სამყაროსთან შეუძლებლადაც თვლიდა. ამგვარ მოსაზრებათა განმტკიცებას ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ირანის ჩრდილო-დასავლეთი მხარეც მოხატული კერამიკის კულტურას, ე. ი. უძველეს მიწათმოქმედთა კულტურას, თითქოს არ იცნობდა.

აღმოსავლეთ ანატოლია მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების მიერ დატოვებული უძველესი ძეგლების ოდენობითა და განლაგებით მკვეთრადაა განსხვავებული დასავლეთისა და ცენტრალური ანატოლიის ძეგლებისაგან. აქ ესენი საგრძნობლად მცირეა, ერთი გათიშულია მეორისაგან ან კიდევ შეჭკუფებულია მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც მიწათმოქმედების წარმოება იყო შესაძლებელი. ამდგვარი წარმოდგენის საფუძველზე ვარაუდობენ, რომ აღმოსავლეთ ანატოლიაში თითქოსდა ერთგვაროვანი კულტურის გავრცელება მხოლოდ მესაქონლე ტომების მომთაბარეობის შედეგით უნდა ყოფილიყო. უკეთ შესწავლილ ცენტრალურ და დასავლურ ანატოლიურ კულტურებთან შედარებით აღმოსავლეთ ანატოლიაში ამ ერთგვაროვანი კულტურის არა მარტო საერთო დაბალი დონე იყო დადგენილი, არა-


მედ შეინიშნებოდა ჩამორჩენა მეტალურგიაშიც, თუმცა მისი განვითარება ამ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ მხარესა და სამხრეთ კავკასიაში თითქოს უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ყოფილიყო აყვანილი.

აღმოსავლეთ ანატოლიის უძველესი ძეგლების შესწავლა 1899 წელს ვანის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე თილკი-თეფეს (ყოფ. შამი-რამალ-ტის) მრავალფეროვანი ნასახლარისა და სამაროვანის გათხრების შედეგად დაიწყო. ამ ტბის მიდამოები უძველესი დასახლებებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო, რადგან აქაური ჰავა არსებითად განსხვავებულია ანატოლიის ნახევრადუდაბნოს ჰავისაგან და მაღალი მთებით ყოველმხრივ დაცული მიწები კარგად ირწყვება მდინარეთა საშუალებით. არქეოლოგების აზრით ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ ძვ. წ. V ათასწლეულში იცნობდა ნემრულ-დალისა და ზიუფან-დალის ობსიდიანის გამოსავლებს, რომელთა დამუშავების შემდეგ გაცვლა-ვაჭრობის გზით აწვდიდნენ ისინი ობსიდიანს ~~ქალაქური~~ კულტურის მატარებელ თითქმის ყველა ტომს.

გარდა ვანის ტბის რაიონისა, არქეოლოგიურად დიდად მნიშვნელოვანია მდინარე არაქსის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე მალათია-ელიაზიგის მხარეც. ის მდ. ევფრატის ზემოდინების აუზშია და აღმოსავლეთ ანატოლიის, მარაშისა და ამუქის ველის გზათა ბუნებრივი შესაყარია. არსლან-თეფეს ნაშთსახლარის გარდა. ყველაზე უკეთ დაზვერილია არღუენის რაიონის ძეგლები. ამ მხარის ზომიერი კლიმატი. კარგი საძოვრები და ნოყიერი მიწები ხელს უწყობდა ენეოლითური კულტურის განვითარებას. ამას ადასტურებს ადგილობრივად წარმოქმნილი მოხატული კერამიკა. რომელიც წინ უსწრებს „მტკვარ-არაქსის“ კულტურას და მისი მოშლის შემდეგაც იჩენს თავს.

მდ. არაქსის აუზს ეკუთვნის ანატოლიის ფარგლებში მდებარე არარატის მთის ჩრდილოეთი ძირობის დაბლობი. აქ 1914 წელს სოფ. მალაქლიუსთან ვულკანური ფერფლის ქვეშ აღმოჩენილი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ერთ-ერთი ნასახლარის მოხილვით დაიწყო ამ ერთგვაროვანი კერამიკული ფორმებით წარმოდგენილი ადრეული ბრინჯაოს კულტურის საფუძვლიანი შესწავლა.

ირანის მთიანი მხარე ხასიათდება მშრალი კონტინენტური კლიმატით. მისი ქედები შიდა ირანის ვეებერთელა ზეგანს ერთიანი რკალით ეკვრიან და გადაჭიმულან დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ამ სისტემაშია ზაგროსის ქედებიც, რომლებიც ირანის პლატოს ტიგროსისა და ევფრატის ორმდინარეთისაგან გამოპყოფენ და წარმოდგენენ აღმოსავლეთ ანატოლიისა და ირანის ბუნებრივ საზღვრებს.



სურ. 1.

ჩრდილოეთ ნაწილში მცირე კავკასიონის გაგრძელებაა ყარა-დაღის მთიანეთი, რომელიც მცირე კავკასიონისაგან მხოლოდ მდინარე არაქსის ვაკობით გამოიყოფა. ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ყარა-დაღის სამხრეთით აღმართულია მიშოუ-დაღის ქედი, რომელიც ურმიის ტაფობს ეკვრის. ამ ტაფობში ზღვის დონიდან 1330 მეტრის სიმაღლეზე რაზაიეს, ანუ ურმიის დიდი მლაშე ტბა მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ-დასავლეთი ირანის მთელი ეს მხარე თავისი კლიმატითა და რელიეფით აზერბაიჯანის ნახჭევანისა და უფრო მეტად კი, მთიანი დაღესტნის ბუნებას ემსგავსება. ამჟამად აქაური მიწების უმეტესობა მიწათმოქმედებისათვის მორწყვის გარეშე გამოუსადეგარია. მიუხედავად ამისა, ირანში ურმიის მხარე ყველაზე უფრო მეტი ტენიანობით ხასიათდება. ხოლო აქაური მთის ფერდობების საძოვრები მესაქონლეობის განვითარებას დიდად უწყობენ ხელს.

1935 წელს სოფ. ჰასანლუს მიდამოებში დაიწყო პირველი არქეოლოგიური სამუშაოები. რომლის შემდგომ 1959 წლამდე ურმიის ტბის ირგვლივ დაზვერილ იქნა 50-ზე მეტი სამოსახლო ბორცვი. მათი უმეტესობა მიჰყვება ტბის დასავლეთ ნაპირს, უფრო ნაკლები — მის აღმოსავლეთ ნაპირს, ხოლო თითო-ოროლა ძველი გვხვდება სოფ. ჰასანლუს მახლობლად მდებარე ტბის სამხრეთ სანაპირო ზოლთან.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის შემცველია უკვე გათხრილი ორი სამოსახლო ბორცვი — გოი-თეფე („მწვანე ბორცვი“) — ტბის დასავლეთ ნაპირთან და იანიკ-თეფე („ნანანძრევი გორა“), რომელიც მის მოპირდაპირე მხარეზე მდებარეობს. თითოეული მათგანი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ეკუთვნის და მკაფიოდ გამოხატავს ამ მხარეში ძვ. წ. III ათასწლეულში წარმოებულ ცხოვრების საერთო სურათს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორივე ძეგლზე აღბეჭდილი გვიანენეოლითური კულტურის ფენები. რომლებიც სულ მცირე ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს ეკუთვნის და ამ კულტურის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო კომპლექსს შეიცავს.

როგორც დავინახეთ, ზემოთ მოკლედ მიმოხილული ტერიტორიის ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ყველა გათხრილი ძველი ისევე, როგორც ეს არზრუმის ველზე იყო დადგენილი (პულურის ბორცვი) „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ფენის ქვეშაა მოთავსებული უფრო ძველი — გვიანენეოლითური კულტურისადმი განკუთვნილი ფენა, ხოლო ამიერკავკასიის ფარგლებში მოქცეული „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლთა უმეტესობა არ შეიცავს მასზე უფრო ძველ კულტურულ ფენას და ამ ერთიანი კულტურის მხოლოდ სხვადასხვა სამშენებლო პერიოდებს წარმოგვიდგენს.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების გეოგრაფიული გარემოს სხვადასხვა თავისებურებანი ყველაზე მეტად იჩენს თავს, ერთი მხრივ, აღმოსავლეთ ანატოლიისა და ჩრდილო-დასავლეთ ირანის, ხოლო, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ცენტრალური მხარის ურთიერთშედარებისას. აქვე უნდა აღინიშნოს ამ ორ მხარის მსგავსებაც — ამიერკავკასიის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებსა და უკვე განხილულ ტერიტორიებს შორის.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სამხრეთის მთიანი მხარე წარმოადგენს მცირე კავკასიონის ჩრდილოეთს. მისი შუა ნაწილი უჭირავს ვულკანური წარმოშობის ჯავახეთის ზეგანს, რომლის ჩრდილო-დასავლეთით ახალციხის ამოქვაბულია.

საქართველოს ფარგლებში, მტკვრის აუზის ზემოწელში ყველაზე დაბლა ახალციხის. ამოქვაბულის ის ნაწილია, სადაც მტკვარს ფოცხოვი უერთდება.

აქვეა მისი გაფართოებული ვაკობი, რომლის შემდეგ იგი სოფ. აწყურისაკენ ისევ ვიწროვდება და ხევს ემსგავსება.

მტკვრის ხეობის შუა წელი სოფ. ქვიშხეთიდან შიდაქართლის ვაკეს მიჰყვება, რომელიც თრიალეთის ქედის ძირის გაყოლებით მიიმართება და აღწევს სოლანლულამდე; აქედან ხრამის შესართავამდე მდინარის ორივე მხარეზე იშლება მტკვრის ქვემო ვაკე, რომლის უდაბლესი ადგილი ზღვის დონიდან 630 — 810 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

საქართველოს სამხრეთ მთიანეთის აღმოსავლეთი ნაწილი მტკვრის სამხრეთითაა მოქცეული და ამ მონაკვეთში თავისი რელიეფით მკვეთრად განსხვავდება დანარჩენი ნაწილებისაგან. ეს მთაგორიანი მხარე შეიცავს პატარა ვაკეებს და მრავალი ხეობითაა დასერილი. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლის მაღალმთიანი პლატოები ისევე, როგორც ახალქალაქის პლატო, სავსეა ტბებით, რომელთა შორის მდინარეთა ქსელი საკმაოდ დიდია.

მთელი ეს გეოგრაფიული გარემო, რომელიც ამჟამად სამხრეთ საქართველოს ფარგლებშია, ემსგავსება აღმოსავლეთ ანატოლიის მომიჯნავე მხარეს, მაგრამ შედარებით მეტად ნოყიერი ნიადაგით ხასიათდება საზამთრო-საზაფხულო და საერთო ხელსაყრელი გეოკლიმატური პირობებით, განსაკუთრებით კი აქაური წყაროებით და მდიდარი ბალახტყიანი ადგილებით.

მტკვრის აუზს სამხრეთიდან ერთვის მდ. ხრამი-ქცია. რომლის სათავე თრიალეთშია; აღსანიშნავია აგრეთვე ბანუ-ჩაი, აქსტაფა-ჩაი, შამქორ-ჩაი, განჯა-ჩაი და სხვ. მდინარეები.

მტკვრის დინების ქვემო ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა და მდ. ალაზნისა და მტკვრის შესართავთან ან, უფრო უკეთ, მინგეჩაურის ტაფობიდან იწყება. მთელ ამ მონაკვეთზე მტკვარს ერთვის არაქსი და სხვა მნიშვნელოვანი მდინარეები. მათთან ერთად ის კასპიის ზღვამდე წყნარად მიედინება და შირვანის, მილის, ყაბარდოსა და მულანის ველებზე გავლისას დიდი რაოდენობით ტოვებს ლამსა და მდინარის ნალექს.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკვეთრად იცვლება მდ. არაქსის დინების ხასიათიც: მდ. მტკვრის მსგავსად. მისი კალაპოტი ჯულფის მიდამოებში ვიწრო კანიონს წარმოადგენს, მაგრამ მდ. დასავლეთ არპა-ჩაის შემდგომ, ვიდრე მტკვრის შესართავამდე, ის უკვე მთლიანად გაშლილ ვაკე ადგილებში ექცევა.

აზერბაიჯანის ნახჭევანის სათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ფართოდ გაშლილი ლანდშაფტი. ამ რაიონში ნახჭევანის ველი საინტერესოა მკვეთრად განსხვავებული ვერტიკალური ზონებით, რომლის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 890 მ მდებარეობს.

რებს და ფრიად თავისებურია თავისი გეოკლიმატური პირობებით. მის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულია ზანგეზურის მთების სისტემაში შემავალი დარი-დაღის ქედი.

აზერბაიჯანის მთიანი მასივები კიროვბად-ყაზახის მხარეშია. რომლის გეოგრაფიული გარემოც სომხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ემსგავსება.

ამიერკავკასიის სამხრეთ ნაწილშია მოქცეული სომხეთი, მისი ტერიტორიის ორი მესამედი ზღვის დონიდან 1000 — 2500 მ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ ბამბაკის-ლორის ტაფობებზე, არარატისა და ზანგეზურის ველებზე მდინარეების ირგვლივ მიწანოყიერი ადგილებია; დანარჩენი მხარე კი ერთიანდაა დასერილი ღრმა ხეობებით, ქედებით და მასივებით. მნიშვნელოვანია საქართველოს საზღვართან ლუკასისა და სველი ქედების მასივები — სომხეთის მთები; უფრო სამხრეთითაა ლორე-ბამბაკის ქედები, ცენტრში კი — გელამის, ვარდანის და სევანისა; სამხრეთით — ზანგეზურის მაღალი მთები.

სომხეთის საზღვრებში მტკვარ-არაქსის აუზს ერთვის 200-ზე მეტი დიდპატარა მდინარე, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია მდ. რაზდანი (ზანგა), ახურიანი, ყაზახი, ძორაგეთი და სხვ.

სომხეთშია მტკნარწყლიანი სევანის დიდი ტბაც ზღვის დონიდან 1916 მ სიმაღლეზე, აქ მიწების ერთი მესამედი მემინდვრეობისათვის მთიანი რელიეფის გამო გამოუსადეგარია; სამაგიეროდ. მეტია საძოვარ-საბაღახოები. მთელი ტერიტორიის ერთი მესამედი კი ტყეებს უჭირავს. რაც. შესაძლოა, აიხსნას ძველი დროის წარმოებითი მეურნეობის ერთგვარი შეზღუდულობის მიზეზით.

ამ დროის კულტურის გავრცელების შესწავლასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია როგორც დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი რაიონი, რომელიც აღმოსავლეთ თუ სამხრეთ საქართველოს ემიჯნება, ისე დიდი და პატარა ლიხვის ხეობა და იორ-ალაზნის აუზი თავისი სათავეებით, რომელთა ახლოს იმ ხანებში უკვე უნდა არსებულებოდა ჩრდილოეთში გადასასვლელი გზები.

ფრიად მნიშვნელოვანია დასავლეთ საქართველოში ყვირილას ხეობა, მისი სათავეების ირგვლივ აღმართულია რაჭისა და ქართლ-იმერეთის ქედები. ყვირილას ხეობაში, სოფ. ჰალიდან ჯრუჭულას შესართავამდე, სივანეში ორ კილომეტრზეა გავრცობილი ვაკობი. საერთოდ საჩხერის რაიონში ამ კულტურის ყველაზე მეტი ძეგლებია აღმოჩენილი. ჯრუჭულას შესართავთან ეს ხეობა ისევ ვიწროვდება და ეშვება კოლხეთის დაბლობისაკენ. ყვირილას ხეობაში საკმაოდაა განვითარებული მცენარეული საფარი; ხეობების ნესტიან, დაჩრდი-

ლულ და ადამიანისათვის შედარებით ძნელად მისადგომ ადგილებში გავრცელებულია ტყეები; ტყითაა მოსილი პლატოებიც. რომლებიც ზღვის დონიდან 650 — 800 მეტრის სიმაღლეზეა. აქ მეტწილად გავრცელებულია მუხა, რცხილა, წიფელი და სხვ. უფრო მაღლა კი ალპური ზონაა.

სახეების რაიონს თავისი გეოკლიმატური გარემოთი სხვებზე მეტად დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში მოქცეული შიდა ქართლის ერთი ნაწილი ემსგავსება. ეს მთავორიანი მხარე ვიწრო ხეობებითაა დასერილი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მდ. დიდი ლიახვი, რომლის სათავეც დვალეთის ქედის ყინვარებიდან მომდინარეობს. მის დასავლეთით რაჭისა და ლიხის ქედებია, რომლებიც შიდა ქართლის დასავლეთ მხარეს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ორად ჰყოფენ. დიდი ლიახვის ხეობის მსგავსად პატარა ლიახვის შუა დინების აუზიც უკვე საშუალო სიმაღლის მქონე მთების გარემოცვაშია. აქ ორივე მდინარის ნაპირებთან ძველი ალუვიური ტერასებია, ხეობის მაღალმთიან ზონაში კი — სუბალპური საძოვრები. ქართლის ვაკესთან დიდი და პატარა ლიახვის ხეობა მთლიანად მთისძირა ზოლში ექცევა და მკვეთრად ფართოვდება. აქ ყველაზე მეტია „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლები; რომელთა ერთი ჩგუფი ამ ხეობას მტკვრის ნაპირამდე მიჰყვება.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის შესწავლასთან დაკავშირებით უთუოდ მნიშვნელოვანია ჩრდილო კავკასიის გეოფიზიკური პირობების გათვალისწინებაც. ადრე ეს კულტურა მხოლოდ დაღესტანში დასტურდებოდა. სადაც იგი. თითქოს, ძირითადად დარუბანდის კარით ან თითქოს მხოლოდ კახეთ-ბელაქანის მხრიდან უნდა ყოფილიყო შეტანილი. ახლა კი იგივე კულტურა საკმაოდ ინტენსიურად თავს იჩენს ჩრდილო ოსეთსა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში, რომელიც ამიერკავკასიასთან თავისი დამოუკიდებელი გზებით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. რაკი ჩრდილო კავკასიაში „მტკვარ-არაქსის“ კულტურის განვითარებისა და გავრცელების საკითხი მხოლოდ ახლა შეისწავლება, ამიტომ ამ საინტერესო მხარეს აქ ერთიანად წარმოვიდგინოთ და „უპირატესობას“ ჯერჯერობით ვერც ერთ ქვეყანას ვერ მივანიჭებთ.


ჩრდილო კავკასია მთლიანად თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით ორ ნაწილად იყოფა: მისი უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი ვაკეს შეადგენს, სამხრეთი კი — მთიანეთს, მაგრამ ეს ორი ნაწილი ერთიმეორესთან შეერთებისას თანდათანობით იცვლის დამახასიათებელ ნიშნებს. აქ, სხვადასხვა ვერტიკალურ ზონებში, ხშირად გვხვდება ვრცელი ზეგნები და ქედების მთელი სისტემები, მათ შორისაა მოქცეული ზღვის დონიდან 900 მ სიმაღლეზე

მდებარე ვაკობები. მეტად მკვეთრად იცვლება კლიმატი, რადგან ზღვის გვერდით — მთებში თითქმის უნალექო, კონტინენტური ჰავაა და მხოლოდ მაღალმთიანი ალპური მცენარეები ხარობენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია დაღესტნის მთიანეთი, სადაც მაღლა მთებზე შეესანიშნავი საზაფხულო საქოვრებია, ქვევით კი მთისძირა ზოლში — ტყის საფარია. ჩრდილო კავკასიაში მდ. ყუბანის გარდა უმნიშვნელოვანესი მდინარეებია კუმა, თერგი და სულაჟი, ამათგან უკანასკნელი თავისი შენაკადებით დაღესტნის მაღალმთიან მხარეს მეტად თავისებურ იერს აძლევს.

ყველა ზონაში— ზღვის სანაპიროდან მაღალმთიან ზეგანამდე, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 2000 მეტრს აღწევს (მაგალითად, გუნიბის რაიონი), „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლები ერთნაირი ინტენსივობითაა წარმოდგენილი, ე. ი. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების გეოგრაფიული გარემო მეტად დიდ ტერიტორიას მოიცავს და ხასიათდება მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობებით, სადაც ამ დიდი და მრავალმნიშვნელოვანი კულტურის შემქმნელი მიწათმოქმედი-მესაქონლე ტომები საქმაოდ მკვიდროდ ყოფილან დასახლებული.

ახლა კავკასიის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ამ უძველესი ძეგლების მიხედვით შეიძლება მოხერხდეს „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ცალკეული ლოკალური ვარიანტების გამოყოფა, მაგრამ ჩანს, რომ ეს კულტურა თავისი წარმოშობით თუ განვითარებით მაინც ერთიანია და შეიძლება უფრო დიდრიცხოვანი ტომის წარმონაქმნიც იყოს. თუმცა ჯერ კიდევ ჭირს მსჯელობა ამ ნივთიერი კულტურის შემქმნელი ტომების ვინაობასა და მათს ურთიერთნათესაურ კავშირზე. ამის დადგენა ძნელდება იმის გამოც, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების უკიდურეს სამხრეთ ნაწილში ძვ. წ. III ათასწლეულში — გვიანდელი ისტორიული წყაროების მიხედვით ძირითადად მაინც სხვადასხვა მოდგმის ტომებია დამოწმებული.

ძვ. წ. III ათასწლეულში მცირე აზიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მხარეში ცხოვრობდნენ პროტოხეთური მოდგმის სხვადასხვა ტომები. მათ შტოს ეკუთვნის მცირე აზიის აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები გვიანდელი ხანის ქაშქები, რომლებიც თავისი სატომო სახელით ჩრდილოკავკასიურ ერთ-ერთ ტომს — ჩერქეზებს უახლოვდებოდნენ, ხოლო მთელ ჩრდილოკავკასიურ ჯგუფთან კი რაღაც ეთნიკურ მსგავსებას იჩენდნენ.³ ამ ტომების ძირითადი ადგილსამყოფელო მოქცეულია



სურ. 2.

ევფრატ-ტიგროსის სათავეებთან და მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძეგლებიც გვხვდება.

ამავე თვალსაზრისით. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია პროტოხეთური მოდგმის მეორე ტომის — ჰურიტების — თავდაპირველი საცხოვრებელი ადგილები, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულში საკმაოდ ვრცელი ყოფილა. ის სცილდება საკუთრივ მცირე აზიას და მოქცეულია ზაგროსის მთიანეთსა და მდ. ევფრატს შორის — ეს ტერიტორია ვანის ტბის დასავლეთი-

დან ჩრდილო მესოპოტამიამდე ჩადის. მეცნიერთა უმეტესობა ფიქრობს, რომ ხურიტების ეს ქვეყანა ძვ. წ. III ათასწლეულში სუბარტუს (გვიანდელი — შუპრიას) სახელით იქნებოდა ცნობილი. ამ ქვეყნის მცხოვრებთა — სუბარების — ხსენება ძვ. წ. III ათასწლეულს დამოწმებულია აგრეთვე სამხრეთ მესოპოტამიაშიც, სუბარებისა, რომელთა ერთი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ მოხებადაა მოხსენებული. აქტიურად ყოფილა ჩაბმული მესოპოტამიის ეკონომიურ ცხოვრებაში.

საკმაოდ კარგად დასტურდება ძვ. წ. II ათასწლეულში ჰურიტების ფართო გავრცელება მთელ მახლობელ აღმოსავლეთში. მათ მიერ ადრევე დაკავებულ ტერიტორიას ახლა შეიძლება მიემატოს აგრეთვე სირია. პალესტინა და ეგვიპტეც კი⁴. ხურიტებისათვის დამახასიათებელი კულტურის სხვა თავისებურებებს⁵ შორის აღსანიშნავია ისეთი ელემენტები. როგორცაა სწორკუთხოვანი სახლების აგების ტრადიცია, სპირალებითა და ფრინველებით კურკლების შემკობა, საბრძოლო ეტლში ცხენის გამოყენება და სხვა ელემენტი. ყველა ამ ელემენტის თანდათანობითი გავრცელება შეიმჩნევა მთიანი ქურთისტანიდან დასავლეთის მიმართულებით თვით ჩრდილოეთ ეგვიპტემდე⁶. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ამ პერიოდში ხურიტების გავრცელების ჩრდილო საზღვრის დადგენა ვერ ხერხდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხურიტული და კავკასიური ენების ურთიერთდაკავშირების მეტად საყურადღებო ცდებია ცნობილი, რამაც მხარი დაუჭირა იმ მოსაზრებას, რომ ხურიტების ქვეყანა (ვანის მიდამოები) ქართველთა წინაპრების ადრინდელი სამშობლო უნდა ყოფილიყო.

და ბოლოს. აღსანიშნავია ურმიის ტბის მიდამოებსა და მის სამხრეთით ჩვენთვის საინტერესო ხანაში მცხოვრები ეთნიკურად ურთიერთთან ახლოს მდგომი სხვა მოდგმის ტომები: ელამიტები, გუტიები და ლულუბები⁷. ამათგან, ყველაზე უფრო ჩრდილოეთით, ზაგროსის მთებში, ცხოვრობდნენ ლულუბიელები. მათი გავრცელების საზღვარი ურმიის ტბამდე აღწევდა; ცენტრალურ ნაწილში ბინადრობდნენ გუტიები. ხოლო უკიდურეს სამხრეთ მხარეში კი — ელამიტები. წერილობითი ცნობები ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ელამურ ენაზე, რომელიც განსაკუთრებულ სიახლოვეს იჩენს კავკასიურ ენებთან⁷. მიუხედავად იმისა, რომ ჰურიტული და კავკასიური ენების ნათესაობა მეტ-ნაკლები საბუთიანობით მტკიცდება, თითქოს, მაინც გაუ-

მართლებელია ელამურისა და ჰურიტული ენების დაახლოების ყოველგვარი ცდა. აქვეა აღმოჩენილი ყველაზე ძველი დამწერლობა — პროტოელამური იეროგლიფური ნიშნები, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული ირანის ტერიტორიაზე ნეოლითურ ხანაში გავრცელებულ ორნამენტთან. რაც მოწმობს პროტოელამური დამწერლობისა და მოხატული კერამიკით წარმოდგენილი ძვ. წ. V — IV ათასწლეულთა კულტურის თვითმყოფადობასაც⁸.

ლულუბიელები პირველად წერილობით წყაროებში ძვ. წ. XXIII საუკუნეში იხსენიებიან. მათი სახელები მომდინარეობს „ველურის“ — „ბარბაროსის“ — ცნებიდან, მაგრამ ძვ. წ. III ათასწლეულის აკადურ დოკუმენტებში ისინი „სუბარების“ სახელითაც არიან ცნობილნი. ლულუბიელების გავრცელების ძირითადი ტერიტორია მართლაც ემთხვევა სუბარების ქვეყანას, რომელიც აღნიშნულ ხანაში ქარქემიშიდან მოკიდებული ურმიის ტბამდე აღწევდა. ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს მხარს უჭერს ზაგროს-ელამური მოდგმის ტომთა სიახლოვეს იმ სუბარებთან, რომლებიც თითქოს ხურიტულ ჯგუფს არ მიეკუთვნებოდნენ⁹. მაგრამ აქვე აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ცდა იმისა, რომ ეს ტომები დაუკავშირონ საკუთრივ კავკასიურ ტომებს. ზოგი მკვლევარი ამ ორი ტომობრივი ჯგუფისათვის საერთო ენობრივი მონაცემებით ცდილობს დაადასტუროს უძველეს ხანაში ზაგროს-ელამურ და კავკასიურ სამყაროებს შორის არსებული კულტურული ერთიანობაც¹⁰.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის გვიანნეოლითური ძეგლები

(ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი)

მტკვარ-არაქსის აუზში სადღეისოდ აღმოჩენილი უძველესი მიწათმოქმე-
დი ტომების ენეოლითური კულტურა, რომელიც ძვ. წ. IV
ათასწლეულის მეორე ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს,
თავისი დამახასიათებელი ნიშნებით გვიანნეოლითურ საფეხურს წარმოგვი-
დგენს¹.

ახალი ქვის ხანიდან (ნეოლითიდან) ლითონის ხანაზე
გარდამავალ პერიოდს ენეოლითი ეწოდება. პირვე-
ლი ლითონი, რომლის გამოყენებაც ადამიანმა დაიწყო, იყო სპილენ-
ძი. სწორედ ამ დროიდან იწყებს ის თვითნაბადი სპილენძის გამოყენებას
თავისი ერთ-ერთი ძირითადი თავისებურებების გათვალისწინებით. ადამიანი
დაკვირვების შედეგად მიხვდა, რომ სპილენძზე დარტყმის შემთხვევაში ამ
მასალას შეიძლება სასურველი ფორმა მიეცეს. ქვისაგან განსხვავებით სპი-
ლენძი კი არ იტყეცება, იხეხება და პრიალდება, არამედ იჭედება. ამიტომ დაი-
წყო მან სპილენძის ცივად ჰედვა და მისგან იარაღის დამზადება. იმ პერიოდს,
როდესაც ქვისა და ძვლის იარაღთან ერთად ლითონიც იჩენს პირველად თავს,
სპილენძ-ქვის ხანას („ენეოს“ ლათ.—სპილენძი, „ლითოს“ ბერძ.—ქვა)
ენეოლითს. ანუ ხალკოლთს უწოდებენ.

როდესაც ადამიანი ცეცხლის საშუალებით იწყებს ლითონის გამოღობას,
ხოლო ლითონის მისაღებად კი — უკვე ადვილად მისაგნები დაქანგული სპილენ-
ძის მადნის მოპოვებას, ეს ხანა მთავრდება და იწყება მეტალურგიის განვითა-
რების ხანა, რომელიც შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ გვიანნეოლითურ პე-
რიოდზეც მოდის. ამ დროს იარაღის მისაღებად ცივი ჰედვის მეთოდთან ერთად
ზოგჯერ ლითონის გაღობასა და ჩამოსხმასაც აწარმოებენ. აღნიშნულ ხანაში


მეტალურგიული წარმოებისათვის საფუძველი უკვე მომზადებულია². შემდეგ კი მელითონე-ხელოსნობის გაჩენისთანავე იწყება ნამდვილი ლითონის ხანა, როდესაც ადამიანი შეგნებულად პირველად ამზადებს ლითონის შენადნობებს. საზოგადოების ისტორიაში ლითონის წარმოების ამ პერიოდს ბრინჯაოს ხანა ეწოდება, რომლის უძველეს საფეხურადაც ადრეული ბრინჯაოს პერიოდს მიიჩნევენ.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის გვიანნეოლითური და ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები დღეს ერთადაა წარმოდგენილი აზერბაიჯანის, ჩრდილო-დასავლეთ ირანის, აღმოსავლეთ ანატოლიისა და საქართველოს ტერიტორიაზე. თანმიმდევრულად განლაგებულ ზემოხსენებულ ფენებს შეიცავენ ისეთი სტრატეფიცირებული ძეგლები, როგორცაა ნახჭევანის ქიულთეფე. ბაბა-დერვიში (აზერბაიჯანი), გეოი-თეფე, იარიკ-თეფე (ჩრდილო-დასავლეთი ირანი), თილკი-თეფე³, პულური⁴, ქარაზი (აღმოსავლეთ ანატოლია)⁵, საგვარჯილე⁶, სამელე კლდე⁷, თეთრწყარო⁸ და ნაცარგორა (საქართველო⁹). საკუთრივ გვიანნეოლითური ხანის ნასახლარებია შახ-თეფე, ქიამილ-თეფე, თოირა-თეფე და შომუ-თეფე (აზერბაიჯანი¹⁰). გინჩის ნასახლარი (დაღესტნის მთიანეთი¹¹), წოფის ნასახლარი¹², შულავერი 1 (ქვემო ქართლი)¹³ და სხვა ძეგლები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კულტურის შესწავლის დღევანდელ ეტაპზე ძალიან ძნელია მისი ყველა თავისებურების ცალ-ცალკე განხილვა და ამ ნივთიერი ძეგლების ქრონოლოგიური დაჯგუფება. ამჯერად, ამ კულტურის რაობაზე, მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნების შესახებ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა გვაქვს.


წინა თავში მოკლედ მიმოხილულ მთელ ტერიტორიაზე გაბნეული ძვ. წ. IV ათასწლეულის ნასახლარები ან დასახლების სხვა ნაკვლევი (კერები, კულტურული ფენები, სამაროვანი და სხვ.) იმავე გეოკლიმატურ გარემოში გვხვდება, სადაც შემდგომ ფართოდ იკიდებს ფეხს „მტკვარ-არაქსის“ III ათასწლეულის კულტურა. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ აგდამის რაიონი შეადგენს. აქ ჯერ კიდევ არაა აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულის ძეგლები.

საკუთრადღებოა, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულში მდინარეთა ტერასების ათვისებასთან დაკავშირებით ამ კულტურის მატარებელი ტომების დასახლება უკვე მაღალ მთიანეთშიც ხდებოდა, გვიანნეოლითურ ხანაში კი ეს ტომები გამოქვაბულების გარდა (საგვარჯილე, სამელე-კლდე და სხვა) მთებს შორის მოქცეულ ვაკობებსაც აღწევენ (მაგალითად, გინჩის ნასახლარი მთიან დაღესტანში). მაგრამ ამ დროისათვის ყველაზე ხელსაყრელ



სურ. 3.

ადგილად მიჩნეული ყოფილა კონცხები, ტბებისა და მდინარეთა ნაპირებზე არსებული ტერასები ან ცალკეული შემადლებანი, სადაც ნასახლარი ფენების მომრავლების შედეგად ხელოვნური ბორცვებიც კი ჩნდებოდა ხოლმე (თილკი-თეფე, შომუ-თეფე, ბაბადერვიში, წოფის ნასახლარი და სხვა). ასევე ხშირია ნასახლარები ნახევრად უდაბნო ზონაში, დიდ-პატარა მდინარეთა შორის მოქცეულ დაბლობებსა ან შემადლებულ ადგილებში. აქაც უძველესი მიწათმოქმედი ტომების ნაკვალევი თანდათანობით წარმოქმნილი ბორცვების სახით გვხვდება (ქიულ-თეფე, შახ-თეფე, ქიამილ-თეფე და სხვა). მათი სიდიდე, ფენათა სიმრავლე და სამშენებლო პერიოდების რაოდენობა იმაზე მიგვიჩივებს, რომ ეს კულტურა საკმაო ხნის განმავლობაში არსებობდა და



სურ. 4.

ერთი და იგივე ადგილი მრავალჯერ ყოფილა გამოყენებული დასახლები-სათვის.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიაზე ენეოლითური კულტურის სხვადასხვა საფეხურის არსებობას გვიდასტურებს თილკი-თეფეს, ქიულ-თეფესა და

გეო-თეფეს გათხრილი ფენები. ამათგან ყველაზე ძველი ფენებია თილკი-თეფეს III ფენა, ქიულ-თეფეს I B ფენა და გეო-თეფეს N ფენა. ამასთანავე ლიტერატურა გვიდასტურებს, რომ ამ ძეგლების უძველესი ფენები ჰალაფურ პერიოდზე მოდის და წინ უსწრებს ჩრდილო-უბაიდის გვიან-ენეოლითურ ხანას¹⁴. ეს უძველესი ფენები ყოველგვარი სტერილური ფენების გარეშე უშუალოდ უკავშირდებიან ორ უკანასკნელ ძეგლზე ზემოთ მოქცეულ გვიანენეოლითური ხანის სხვადასხვა სამშენებლო პერიოდებს, რომელთა საერთო სისქეც ორივე ძეგლზე 8 მეტრს აღემატება. ასევე მძლავრია ყაზახის რაიონში ბოლო ხანებში მიკვლეული 5 მეტრის სიმაღლის მქონე თოირა-თეფე და მილის ტრამალებში დაზვერილი 8 მეტრის სიმაღლის ბორცვი — შან-თეფე. ამ ხანაში ცალკეული სოფლების თანდათანობითი გაზრდისა და შემცირების შესახებ მსჯელობა ბორცვების მხოლოდ გარეგანი ზომების მიხედვით ძნელია. მაგრამ ზოგიერთი უკვე გათხრილი ძეგლი (ქიულ-თეფე, შომუ-თეფე და სხვ.) იმაზე მიგვითითებს, რომ ამ დასახლების თავდაპირველი ფართობი 250—300 კვ. მეტრს ბევრად აღემატებოდა. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი სამოსახლო ბორცვის (შახ-თეფე) გარშემო იმ ხანებში გათხრილი ფართობი 70 მეტრს აღწევს. ეს თხრილი, როგორც ჩანს, ამ საკმარის დიდი სოფლის უშიშროების უზრუნველსაყოფად ისეთსავე თავდაცვით საშუალებას წარმოადგენდა, როგორსაც მთიან დაღესტანში გინჩის დასახლართან შემოვლებული ქვის ფართო გალავანი.

თუ როგორი უნდა ყოფილიყო საკუთრივ სოფელი, ამის თქმა ჯერ კიდევ ძნელია. რადგან დასახლების, ნაგებობათა ტიპებისა და მათი დანიშნულების შესახებ არსებული მონაცემები ამ საკითხის დაწვრილებითი განხილვის შესაძლებლობას ჯერჯერობით არ იძლევა. ირკვევა, რომ აქ ტერასაზე თუ შემადლებულ ადგილებზე, გვიანენეოლითური პერიოდის სოფლის შენობები თითქმის ყოველთვის ეზოების გარეშეა და გვერდ-გვერდითაა მიდგმული. განსაკუთრებით ეს კარგად აღინიშნება იმ ბორცვებზე, სადაც კულტურული ფენის სიმძლავრე 1 მეტრს არ აღემატება (შომუ-თეფე, ბაბა-დერვიში, გინჩი და სხვა). მრგვალი, დიდი და პატარა სახლები (თოირა-თეფე, შომუ-თეფე და სხვა). ან კიდევ ნახევრადმიწურები (ბაბა-დერვიში) თუ ოთხკუთხეობანი მოყვანილობის მიწისზედა ერთოთახიანი შენობები (გეო-თეფე, გინჩი და სხვ.) ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულ საცხოვრებელ სახლებს წარმოადგენენ. ჩანს, რომ სოფლის ასეთი დაგეგმარება მოსახლეობის ცხოვრების აუცილებლობით ან, უკეთ, ყოველდღიურ-კოლექტიური საქმიანობითა და თავდაცვითი

ვარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ საცხოვრებელ სახლებთან უკვე დამოწმებულია როგორც საგანგებო სამეურნეო დანიშნულების ნაგებობათა (შომუ-თეფე, იანიკ-თეფე), ისე სახლის გარეთ სხვადასხვაგვარი ორმოების არსებობაც (ქიულ-თეფე).

ზემოთ ხსენებულ სახლებს შორის ყველაზე ბშირია მ რ გ ვ ა ლ ი ს ა ხ ლ ე ბ ი (შომუ-თეფეზე გათხრილია 14 ასეთი ნაგებობა, ქიულ-თეფეზე — 9). ამ ტიპის სახლები ჩრდილო მესოპოტამიაში წინაპალაფურ ხანაში უკვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული (ჰასუნას ნეოლითური ხანის ნასახლარზე). დადგინდა, რომ ქიულ-თეფეს დედაბოძზე შეყენებული კონუსურსახურავიანი სახლის საძირკველი ქვისაა, ხოლო კედლები ხის წნელზე მოლესილი თიხისაგანაა ნაშენი (შემორჩენილი კედლის სიმაღლე 20 — 25 სმ უდრის), და მათი დიამეტრი 6—7,7 მეტრს არ აღემატება. შომუ-თეფეზე და თორია-თეფეზე მრგვალი სახლის კედლები პირდაპირ ნიადაგზე იწყება. სამშენებლო მასალას ალიზის აგური წარმოადგენს ($36 \times 18 \times 9$ ზომისა). რომელიც ერთრიგადაა დაწყობილი. ასეთი სახლების დიამეტრი ზოგჯერ მხოლოდ 3 მეტრს აღწევს. შომუ-თეფეს მრგვალი სახლების აღნაგობის ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მათი შესასვლელი ბუნებრივ თიხალესილ იატაკიდან 20 — 30 სმ-ზე მაღლა მდებარეობს. ასეთი სახლების შიდა მოწყობილობის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს თიხის მრგვალი კერა წარმოადგენს; ასეთი თიხის მრგვალი კერები შომუ-თეფეზე კედელთანაა მიდგმული. ქიულ-თეფეზე, კერის გარდა, გვხვდება აბაზანისებრი ღუმელიც¹⁵.

მ რ გ ვ ა ლ ი ნ ა ხ ე ვ რ ა დ მ ი წ უ რ ე ბ ი აღმოჩენილია მხოლოდ ბაბადერვიშის გვიანენეოლითურ ფენაში. აქ მხოლოდ ოთხი ასეთი სახლის ნაშთი-ლაა შემორჩენილი. ამ ნახევრადმიწურების დიამეტრი 3 მეტრიდან 3,80 მეტრამდე აღწევს. ნასოფლარის იმდროინდელი ზედაპირი, როგორც ირკვევა, დაქანებული უნდა ყოფილიყო; ეს ვარაუდი იმას ემყარება, რომ მიწურის სიღრმე, რომელიც აღმოსავლეთ ნაწილში 1 მეტრს უდრის, დასავლეთისაკენ თანდათანობით (20 სმ-დე) კლებულობს. მიწურის კედელი და იატაკი თიხით არ უნდა იყოს შელესილი. კერა, რომელიც პირდაპირ იატაკზეა გამართული, ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და შედგება ნაცრისა და ნახშირისაგან. კერაზე მიშენებული სხვა ნაშთი აქ აღმოჩენილი არ არის.

თუ როგორი უნდა ყოფილიყო ამ ტიპის საცხოვრებელი სახლის გადახურვა. ძნელი სათქმელია. დასაშვებია, რომ ხის წნელზე შელესილი თიხის მრგვალი კედლების ზემოთ ყოფილიყო კონუსურსახურავიანი მსუბუქი გადახურვა.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე აღმოჩენილია გვიანნეოლითური ხანის ოთხკუთხა მოყვანილობის საცხოვრებელი სახლებიც. ასეთი ერთოთახიანი სახლები ნახჭევანის ქიულ-თეფეს მრგვალ სახლებზე უფრო გვიანდელია, ხოლო თეთრწყაროს ნასახლარზე — უფრო ადრეული. ნახჭევანის ქიულ-თეფეზე 5 სამშენებლო პერიოდი ამ კულტურული ფენის ზედა ჰორიზონტს შეადგენს და უმეტესად სწორკუთხა შენობათა ნაშთს შეიცავს. ასეთი შენობა იგებოდა ქვისა და თიხისაგან; მათი კედლების შემორჩენილი სიმაღლე 35—55 სმ არ აღემატება. თიხასთან ერთად კედლებსა და იატაკში ხშირად ბზეც არის ნარევი. ამ ნაგებობათა ნაშთების სიდიდე მეტად უმნიშვნელოა. გამოთვლის შედეგად ერთი შენობა, რომლის სიგრძე 4 მეტრს აღწევს, სიგანე კი 3,3 მეტრს.

ურმიის ტბის დასავლეთ ნაპირთან გეოი-თეფეს „M“ ფენაში აღმოჩენილია ფიქალი ქვების საძირკველზე მდგარი ალიზის აგურებით ნაგები ოთხკუთხა შენობების ნაშთები. ოთხი შენობიდან ერთი შეიცავს იმავე ტიპის მორკალული ნაპირების მქონე ალიზის აგურს, როგორც აღმოჩენილია სამხრეთ მესოპოტამიაში ჯემდე-ნასრის ნასახლარზე. დანარჩენ ერთოთახიან შენობებში ხშირადაა გამოყენებული არასტანდარტული ზომის აგურები, ამათგან ზოგიერთი ეგვიპტურის მსგავსია¹⁶.

ურმიის ტბის აღმოსავლეთ ნაპირთან გათხრილი მეორე გვიანნეოლითური ძეგლი — იანიკ-თეფე 3,50 მეტრის სიღრმეზე შეიცავს სრულიად განსხვავებულ ნამოსახლარს, რომელიც რამდენიმე სამშენებლო პერიოდით არის წარმოდგენილი. ამ ყველაზე ძველ ჰორიზონტზე არავითარი არქიტექტურული ნაშთი არ აღმოჩენილა. მის ზემოთ მოქცეული კულტურული ფენისათვის განკუთვნილი სახლების მიხედვით დასაშვებია, რომ აღნიშნულ სიღრმეზე მიგნებულია სახლებს შორის მოქცეული ეზო. ეზოს ირგვლივ ნაგებია ვიწრო ოთხკუთხა შენობები, რომლებიც საკუქნაო ან მარცვლის შესანახი უნდა ყოფილიყო. აღმოჩენილი გვიანნეოლითური დროის ორი მომდევნო ჰორიზონტის არქიტექტურა მკვეთრად განსხვავდება ამავე ძეგლის ადრეული ბრინჯაოს პერიოდის მრგვალი სახლების არქიტექტურისაგან¹⁷.

რაც შეეხება ამ ტიპის ნაგებობათა გადახურვას, გვიანი დროის ანალოგიებით აქ დასაშვებია ბანური გადახურვის კონსტრუქცია, რომელიც ან დედაბოძს ან კიდეც კედლიდან კედლამდე გადებული გრძელი ხის კოქებს ემყარებოდა. ასეთი ვარაუდი ყველაზე მეტად გამართლებულია გეოი-თეფეს ოთხკუთხა სახლების მიმართ, რადგან აქაური ნაგებობები მთის ფერდობზე ტერასულად

ყოფილა განლაგებული, თუმცა ზემოთ აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ ამ დროს ოთხკუთხა სახლებზე ორფერდა სახურავიც იდგმებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილო მესოპოტამიის ენეოლითურ კულტურაში, სადაც თავიდანვე გავრცელებული ყოფილა მრგვალი საცხოვრებელი სახლები, ქვის ამულეტებზე ხშირად გამოსახულია ოთხკუთხა ნაგებობის (ტაძარი-სამლოცველო) ორფერდა სახურავი. ასეთი ამულეტები ჰალაფურ ხანას ეკუთვნის და აღმოჩენილია არპაჩაის სამოსახლოზე¹⁸.

უძველესი ოთხკუთხა სახლების ტრადიცია ყველაზე ხანგრძლივად მცირეაზიურ-ეგეოსურ კულტურაში არსებობდა. სადაც დადასტურებულია ჯერ კიდევ ნეოლითური პერიოდის ამ ტიპის ნაგებობანი; მაგრამ ამიერკავკასიასთან ტერიტორიულად ყველაზე უფრო ახლოსაა ანატოლიის ჩრდილო-დასავლეთ მხარეში აღმოჩენილი ერთოთახიანი ოთხკუთხა სახლები, რომლებიც გვიანენეოლითურ ხანას ეკუთვნის. ასეთია, მაგ., ბეიჩესულტანის სამოსახლოზე ქვის საძირკვლის გარეშე ალიზის აგურით ნაშენი მეგარონის ტიპის სახლები¹⁹.

მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ძვ. წელთაღრიცხვის V — IV ათასწლეულის სამოსახლოზე მიცვალებულთა დაკრძალვის შემთხვევები მხოლოდ ერთ ძეგლზე — ნახქევანის ქიულ-თეფეზეა — დადასტურებული. მიგვანიშნებს თუ არა ეს გარემოება იმას, რომ ამ დროს მიცვალებულთა დაკრძალვა ყოველთვის სამოსახლოდან მოშორებით ხდებოდა და აქ მხოლოდ გამონაკლისია, ეს ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია. მიცვალებულთა საყოველთაო დაკრძალვის წესის დადგენის მიზნით „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი გვიანენეოლითური ხანის ყველა სამოსახლარი თავისი მიდამოებით. ამჯერად კი ნახქევანის ქიულ-თეფეზე 70—90 მეტი სამარხია გათხრილი და აშკარად ჩანს, რომ აქ ძირითადად მიცვალებულებს სახლებს შორის ასაფლავებდნენ. ქიულ-თეფეს ადრეულ ფენაში სამარხები სახლებში — იატაკის ქვეშ ყოფილა გამართული.

ქიულ-თეფეზე ორმოსამარხები უპირატესად განკუთვნილია ერთი მიცვალებულისათვის. მაგრამ ზოგჯერ ერთად ორ, სამ და ოთხ ადამიანსაც მარხავდნენ. აღნიშნულ სამარხთა ორმოები კულტურულ ფენაში საერთოდ ძნელად გამოსარჩევია, რადგან მათი სიღრმე მეტად უმნიშვნელოა. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი სამარხი, რომლის გამართვის დროს ორმოს ძირი საგანგებოდ არის მოლესილი ბუნარევი თიხით.

სამარხთა ორიენტაცია და მათში ჩასვენებული მიცვალებულის გვერდ-

შექცევა არ იძლევა რაიმე კანონზომიერების დადგენის შესაძლებლობას. ეს ითქმის როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა სამარხების მიმართ, რომელთა ნეშტი უმეტეს შემთხვევაში ძლიერ ცუდადაა დაცული. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მაინც ჩანს, რომ მიცვალებულს ყოველთვის მოხრიალადა, გვერდზე ან ზურგზე ასვენებდნენ. გამონაკლის შემთხვევაში მიცვალებულის ჩონჩხი წითლადაა შეღებილი, სამარხში სასთუმლად თავქვეშ ზოგჯერ თიხის ქურქლის ნატეხი ან უბრალო რიყის ქვის მაგიერ ხელსაფქვევის ქვა აქვს ამოღებული. ქიულ-თეფეზე 73 სამარხიდან მხოლოდ 25 სამარხშია აღმოჩენილი ინვენტარი. აქ უმეტესად ლაქვარდის, აქატისა და ქვის სხვა ჭიშისაგან დამზადებული სამკაული გვხვდება. ამათ გარდა სამარხებში ნიჟარისა და ცხოველთა კბილებისაგან ნაკეთები ავეგაროზებია, ხოლო სამარხებში ნაპოვნი თიხის ქურქელი ისეთივეა, როგორც ამავე დროის ნასახლარ ფენებში აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი.

ოთხ სამარხში ადამიანთან ერთად ძაღლის ჩატანების ფაქტია დადასტურებული. სხვა სამარხებში კი წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი ცხოველის ძვლებია აღმოჩენილი.²⁰

აღსანიშნავია, რომ უკვე სხვა გათხრილ ძეგლებთან (გეოი-თეფე, შომუ-თეფე) შედარებით გვიანნეოლითური ფენების სტრატეგრაფია ყველაზე უფრო მკაფიოდ ნახქევანის ქიულ-თეფესა და იანიკ-თეფეს უძველეს ფენებში ჩანს. ამ ორივე ძეგლზე სულ მცირე 3 თუ 4 სამშენებლო პერიოდია წარმოდგენილი, მაგრამ ნივთთა შემადგენლობის მიხედვით ამათგან პირობითად მხოლოდ პირველი გაიყოფა ორ ქვეფენად: 1 A უძველესი ქვეფენა წარმოდგენილია ქიულ-თეფეს ბორცვის 19 მეტრიდან 21,1 მეტრამდე და გათხრილია მხოლოდ 30 კვ. მეტრის ფართობზე. მოგვიანო 1 B ქვეფენა — შესწავლილია 65 კვ. მ ფართობზე და 19 მეტრის ზემოთ 12,8 მეტრამდე მდებარეობს. აქ გვიანნეოლითური ფენა ერთიანად მასზე მდებარე „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენისაგან მცირედ დაქანებული 40 სმ სისქის მქონე სტერილური ფენით გამოიყოფა.

ნახქევანის ქიულ-თეფეს გვიანნეოლითური და ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურული ფენები ითქმის ერთგვაროვანი ქვის იარაღით ხასიათდება. გვიანნეოლითურ ფენაში მრავლად არის ქვის მძლავრი ინდუსტრიის მანიშნებელი სხვადასხვა ნაწარმი: კონუსისებრი ფორმის, შავი ობსიდიანის ნუკლეუსები, მრავალრიცხოვანი გრძელი ანატაკეციები, რომლებიც ამ ნუკლეუსებისგანაა მიღებული (სურ. 211). ორმხრივი

რეტუშით დამუშავებული სამწახნაგოვანი ანატკეცები. რომელთაგან ზოგი დანისა ან ნამგლის ჩასართავისათვის გამოიყენებოდა (სურ. 215). აქვე წარმოდგენილია თოხისებრი ტარგასაყრელი ხვრელის მქონე ქვის იარაღი. სხვათა შორის საყურადღებოა ბირთვისებრი თუ მსხლისებრი ლახტისთავეები. რომელთა ხვრელები ცალ ან ორივე მხრიდანაა ნაკეთები (ერთი მათგანი ჰემატიტისაგანაა დამზადებული).

ქვის იარაღებისაგან აღსანიშნავია აგრეთვე სასრესი ქეები, სხვადასხვა დანიშნულების როდინები, ღარშემოვლებული უროები და სხვა სახის ისეთი ნაკეთობანი, რომელთა უმეტესობა მომდევნო ხანაშიც ფართოდ გამოიყენება. აღნიშნულ ფენაში ქვის ნაწარმის ამგვარ სახეობასთან ერთად გვხვდება ისეთიც, რომელიც „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურაში უკვე აღარ იჩენს თავს და, როგორც ირკვევა, საერთოდ, მხოლოდ ენეოლითური პერიოდისათვის დამახასიათებელ ძეგლებად მიჩნეული; ასეთია, უწინარეს ყოვლისა, ქვის გაუხვრეტავი ბირთვები — უთუოდ საბრძოლო შურდულეზად რომ გამოიყენებოდა, აგრეთვე ადრეული ტიპის ქვის ხელსაფქვავეები. რომელთაგან გამოირჩევა ოთხკუთხა მოყვანილობის დიდი ეგზემპლარები. აქვეა მეორე ტიპის წაგრძელებული ბოლოაწეული და მომრგვალებული ხელსაფქვავეი, რომლის ზედაპირზე ღარები ან ფოსოებია ნაკეთები.

ქვის ნაწარმთან ერთად ამავე ფენაში მრავლადაა წარმოდგენილი ძვლის ნაკეთობანი, რომლებიც მოგვიანო ხანაში ან თითქმის არაა, ანდა ბევრად უფრო ნაკლები რაოდენობითაა. ქიული-თეფეზე ძვლის იარაღებს შორის ყველაზე მეტად მსხვილფეხა ცხოველთა ლულოვანი ძვლებისგან ნაკეთები სადგისები და სახვრეტები ა. ნემსები ძირითადად ამ ფენის ქვედა ჰორიზონტებში გვხვდება. აქვეა ირმის დატოტვილი რქისაგან დამზადებული იარაღი. რომლის სამუშაო ნაწილი ირიბადაა წაჭრილი. ნაკეთობათა ამ რიგს ეკუთვნის რქის საწურავი, მიწის დასამუშავებელი იარაღები, რომელთა მსგავსი თოხისებრი ნაკეთობანი ირანის (ფიზდელი-თეფე) და აზერბაიჯანის ენეოლითურ ძეგლებში (შომუ-თეფე, თოირა-თეფე) ხშირად ცხოველის ბეჭის ძვლისაგანაც მზადდებოდა²¹.

„მტკვარ-არაქსის“ ძვ. წ. IV ათასწლეულის კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კერამიკულ ნაწარმს. ამ თვალსაზრისით ქიულ-თეფეს უძველეს ფენაში ნაპოვნი თიხის ჭურჭელი ფრიად საყურადღებოა.

ქიულ-თეფეს I ფენის ორივე ჰორიზონტში აღმოჩენილია სადა, მოუხა-

ტავი და მოხატული კერამიკა. ამთგან პირველი სახის თიხის ქურქელი (სურ. 2) ყველა შემთხვევაში ადგილობრივი ნაწარმია, ხოლო მეორე სახის მეტად მცირერიცხოვანი ჯგუფი, მიუხედავად ზოგერთი თავისებური ნიშნისა, გარედან შემოტანილად მიჩნეული.

ქიულ-თეფეს გვიანნეოლითური თიხის ნაწარმი. რომელიც უძველეს პორიზონტებშიც ჩნდება, ფაქტურის, და რაც მთავარია. ფორმების ერთგვაროვნობით ხასიათდება. ეს არსებითად პრიმიტიული ნიშნებით დამახასიათებელი ნაკეთობებია, რომლის თიხაში დამატებულია გამამკლველი მასალა — უპირატესად ბზე და ქვიშა, ზოგჯერ კი საგანგებოდ წმინდად დაფქული კვარცი.

საინტერესოა ამ დროის თიხის ქურქლის დამზადების ტექნოლოგია. მათი კედლების, მორგვის გარეშე, ხელით ატანა თანდათანობით თიხის შესრობილი ნაქრების ურთიერთდაკავშირებით ან კიდევ თიხის ლენტური ძერწვის წესით ხდებოდა. ქურქლის დამზადებისას ხანდახან გამოიყენებოდა თიხის უკვე გამომწვარი ქურქლის ნატეხებიც. რათა ამ ახალ, ჯერ კიდევ ნახევრად შესრობილ თიხის ნაწარმს გამოწვამდე შერჩენოდა მდგრადობა.

ამ ფენაში წარმოდგენილი ნაწარმის უმეტესობა ოდნავ მქრქალი. თხელი. მოყვითალო თიხის ფენითაა ანგობირებული და ხშირად გაპრიალებულიცაა. თუმცა თიხაში არსებულ ორგანულ ნივთიერებათა გამოწვის შემდეგ მისი ზედაპირი მეტ-ნაკლებად მაინც ხაოიანი რჩება.

ლუმელში სათანადო აღმდგენელ რეჟიმში — 850—900 გრადუსზე გამომწვარი ქურქელი წითელკეციანია. საქმე ისაა, რომ ქიულ-თეფეს თიხაში საკმაო რაოდენობითაა რკინის ქანგულები, თუმცა ნაწარმი ტექნოლოგიური მიზეზების გამო ხშირად მაინც არათანაბრადაა გამომწვარი. არის შემთხვევები, როდესაც სათანადო ტემპერატურისა და გარემოს პირობებში მოქცეული ზოგიერთი ქურქლის კეცი და ზედაპირი მურა ნაცრისფერს იღებს²².

ქიულ-თეფეს უძველესი ქურქლის ფორმების ერთი ჯგუფი საკმაოდ ერთგვაროვანია; განსაკუთრებით ეს ითქმის უძველეს პორიზონტში აღმოჩენილ ბრტყელძირა და ფართოპირიან ბადიებსა და ჯამებზე (სურ. 2). ზედა პორიზონტში თიხის ნაკეთობათა ფორმების ხასიათი ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს ცილინდრული. ზოგს კი კასრისებრი მოყვანილობა აქვს; მათი ნაირსახეობა უფრო მეტია დანიშნულების მიხედვით: აქ ბადიებისა და ჯამების ჯგუფის გარდა დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი ბრტყელძირა და ქუსლიანი ქილები, კათხები თუ ქოთნისებრი ნაკეთობანი და სხვა სახის კერამიკული ნაწარმი, რომელთა ტანი მეტ-

წილად ასიმეტრიულია. გამონაკლისს შეადგენენ ვიწრო ყელიანი კურკლები, რომლებიც მხოლოდ ზედა ჰორიზონტში გვხვდება.

ქიულ-თეფეს უძველესი საშუალო ზომის ქურკლისათვის დამახასიათებელია თხელი ძირი, ზოგჯერ ქუსლივით გამოყოფილი, აგრეთვე, მეტ-ნაკლები სიდიდის შვერილები ან კოპები, რომლებიც შესაძლოა ყურის მაგივრობასაც ეწეოდნენ (სურ. 27). გამონაკლისის სახით ამ ნაკეთობებთან ერთად მზადდებოდა 70 სმ სიმაღლის ყელფართო ქილები. უთუოდ მარცვლის შესანახად გამოაყენებელი.

მოუხატავი სადა ქურკელი ჩვეულებრივ ორნამენტულ შემკულობას არ შეიცავს; ასეთ ქურკელს პირთან თითო-ოროლა რელიეფური რკალი აქვს მიძერწილი.

გვიანნეოლითური კულტურისათვის დამახასიათებელია აგრეთვე თიხის მცირე ნაკეთობანი, რომელთაგან საგანგებოადაა აღსანიშნავი ურმის ბორბლის პატარა მოდელები (სურ. 28). ამ კულტურის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ მასალას ზემოთ ხსენებული მოხატული კერამიკის 14 ნატეხი შეადგენს. ქიულ-თეფეს ამ ტიპის ქურკელთა ერთ ჯგუფში შედის კარვად გამომწვარი წითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი და ყვითელი თიხის დახვეწილი ფორმის ნაკეთობანი, რომლებიც დამზადებულია ქვიშანარევი თიხისაგან. მათი ზედაპირი ზედმიწევნითაა გაპრიალებული. ხოლო ორნამენტი შესრულებულია შავი, ყავისფერი და წითელი საღებავებით. ორნამენტულ მოტივს შეადგენს რთული გეომეტრიული სახეები. ამ ჯგუფში შემავალი ქურკელი თავისი ფორმით, მასალით, ძერწვის მანერიითა და გამოწვით მკვეთრადაა განსხვავებული ქიულ-თეფეს სადა კერამიკისაგან; იგი გარედან უნდა იყოს შემოტანილი.

მეორე ჯგუფში წარმოდგენილია სადა კერამიკისთან შედარებით უკეთესად დამზადებული ბუნარევი თიხის ისეთი მოხატული ნაკეთობანი, რომელთა გაპრიალებულ ზედაპირზე შავი, წითელი და ყვითელი საღებავებით გამოყვანილია მარტივი გეომეტრიული სახეები. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს უკანასკნელი წარმოდგენს თითქოს მიბაძვით დამზადებულ ადგილობრივ მოხატულ ქურკელს.

და ბოლოს, ქიულ-თეფეს უძველეს ფენაში აღმოჩენილია სპილენძის შვიდი სხვადასხვა ნივთი: რომბული ფორმის ისრისპირი, ოთხწახნაგოვანი სადგისი, ღეროს ორი ნატეხი და ორი ბრტყელზედაპირიანი რგოლი — მძივი (სურ. 21-4). ამათგან სამ ნივთში სპილენძისა და მინარევის გარდა ღარიშხანის 0,2%, 0,4% და 0,7%-ია. მეოთხეში კი ღარიშხანის მინარევი არ

ჩანს, მასში 0,5% ნიკელია აღმოჩენილი. შესაძლებელია, აქ ნივთთა ლითონის სხვადასხვაგვარი შემადგენლობა უკვე სპილენძის მადნის დამუშავებაზე მიგვი-
თითებდეს²³.

ქიულ-თეფეზე ახლად მოპოვებული მასალების შესახებ არსებული ლი-
ტერატურა ჯერ კიდევ ყველა ძირითადი საკითხის სათანადო განხილვის შესა-
ძლებლობას არ იძლევა. ამდენად, ჯერჯერობით ძნელია ამ ფენაში სხვადასხვა
სიღრმეზე აღმოჩენილი ძეგლების ურთიერთშედარების გზით ამ ფენის ორივე
ჰორიზონტის თავისებურებაზე გარკვეული აზრის შემუშავება. ასეა
თუ ისე, ჩანს, რომ ორივე ჰორიზონტის ქრონოლოგიური ხანდაზმულობა საკ-
მაოდ დიდია და დროის მთელ ამ მონაკვეთზე ერთიანი კულტურის განვითა-
რება არსად წყდება. ენეოლითური კულტურის ხანგრძლივი განვითარების
ანარეკლია აგრეთვე ქიულ-თეფეს სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩენილი და,
მაშასადამე, თანდათანობით შემოსული ისეთი განმსაზღვრელი ელემენტები,
როგორცაა ნაირგვარი მოხატული კერამიკა, ქვის შურღლეები, თიხის ბორ-
ბლის მოდელები, სპილენძის ნივთები და ნახევრად ძვირფასი ქვისლაქვარდის
სამკაული.

ამავე თვალსაზრისით საყურადღებოა ობსიდიანის ან ქვის სხვა სახის
სამეურნეო იარაღების (ნამგალი, დანა. ცული). საჭურვლის (ლახტის თავები)
და ძვლის ხელსაწყო-იარაღების (საწერავი იარაღები, თოხები, სადგისები)
მრავალსახეობაც, რომელიც იმდროინდელ ცხოვრების განვითარების დონეს
კარგად განსაზღვრავს (სურ. 2ა).

„მტკვარ-არაქსის“ გვიანენეოლითური კულტურის შესწავლასთან დაკავში-
რებით აღსანიშნავია, რომ მისი გავრცელების მთელ ტერიტორიაზე ამ პერი-
ოდის ძეგლები ურთიერთისგან მკვეთრად განსხვავებული თავისებური ნიშნე-
ბითაც გამოირჩევა, რაც მხოლოდ ერთიანი კულტურის განვითარების სხვადა-
სხვა საფეხურების არსებობითა და მათი თავისებურებებით ვერ აიხსნება.
სავარაუდოა, რომ აქ ამ ერთიანი კულტურის ლოგიკურ ვარიანტებთანაც
გვქონდეს საქმე.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება. რომ ურმიის ტბის ორივე ნაპირზე
წარმოდგენილი ენეოლითური ძეგლები (იანიკ-თეფე და გეოი-თეფე) არა მარ-
ტო ქიულ-თეფესაგან, არამედ ერთი მეორისაგანაც მკვეთრად განსხვავებულ
შასალას შეიცავენ.

როგორც ცნობილია, იანიკ-თეფეს გვიანენეოლითური ძეგლები მხოლოდ
1961 წელსაა მიკვლეული. აქაც ბუნებრივი კერამიკა არსებითად ერთგვაროვან-
ია და თითქმის ყოველთვის წითელანგობიანი. როგორც ირკვევა, მისი გამო-

წვის ტემპერატურა მაღალი არ უნდა ყოფილიყო. იანიკ-თეფეს კერამიკული ფორმების დიდ უმეტესობას ჯამები შეადგენენ (სურ. 31-2). ზოგ მათგანს პირს ქვემოთ დატანებული აქვს სადინარი მილი (სურ. 3ა). სადა ჭურჭლებს შორისაა მოთავსებული მაღალ ფეხზე შეყენებული ფიალები (სურ. 3ა) და ნაცრისფერ-წითელი ზედაპირის მქონე დიდი ზომის მუცელგამობერილი ჭურჭელი, რომელსაც საკმაოდ ვიწრო ყელი აქვს. ეს ნაკეთობა უთუოდ ხორბლელის შესანახი ჭურჭელი უნდა ყოფილიყო.

სადა მოუხატავ წითელკეციან ჭურჭელთა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე ორი ფრიად საინტერესო ტიპის ნაკეთობა, რომელთა ფორმები შეცვლილი სახით „მტკვარ-არაქისის“ ადრეული ბრინჯაოს ხანის კულტურაში იჩენს თავს (სურ. 34-6). აქ განსაკუთრებით საყურადღებოა უყურო ცილინდრულყელიანი, ოდნავ მუცელგამობერილი და ძირვიწრო დერგი, რომელსაც მოწითალო-ყვითელი ფერის ანგობით დაფარული ზედაპირი შეუმჩნევლად აქვს გაპრიალებული (სურ. 34). მეორე ნაკეთობას, რომელზედაც ჭურჭელი იდგმებოდა (ზესადგარს უნდა წარმოადგენდეს), ზედაპირი წითელი ანგობით აქვს დაფარული (სურ. 36). ის უფრო ფართო-პირიანი ზესადგარების მსგავსია და მომდევნო ხანაში შავზედაპირიანი ნაკეთობის სახით გვხვდება. (სურ. 134).

იანიკ-თეფეს ზოგიერთი ხელით ნაკეთები ჭურჭელი ფრიად თავისებურადაა შემკული: წითლად ანგობირებულ და ზედაპირგაპრიალებულ ჯამებზე გარეთა მხარეს — პირთან გამოყვანილია ადამიანის სქემატური სახე (სურ. 31a)²⁴. ჭურჭლის ზედაპირზე რელიეფურადაა დაძერწილი ცხვირი, ხოლო თვალების ბუდეში ჩასმულია გამჭვირვალე ობსიდიანის თხელი ფირფიტები. აღსანიშნავია, რომ თიხის ჭურჭლის შესამკობად ობსიდიანის ასეთი ორიგინალური გამოყენება მარტო გვიანნეოლითურ ხანაში არაა დადასტურებული: ობსიდიანის გამოყენების მსგავსი ტრადიცია დგინდება „მტკვარ-არაქისის“ ადრეული ბრინჯაოს ხანის დამახასიათებელი კულტურების მიხედვითაც (ახალქალაქის ამირანის გორაზე და სხვა ძეგლებზე).

მოხატული კერამიკა, რომელიც თავისი ფაქტურით, გამოწვითა და ზედაპირის დამუშავებით სადა ჭურჭელზე ბევრად უკეთესია, ძირითადად წარმოდგენილია წითელანგობიანი ნიმუშებით, რომლებსაც გარედან შავი ან მუქი ყავისფერი საღებავით დატანილი ორნამენტაცია აქვს (სურ. 38, 9, 11); ამათგან, ქიულ-თეფეს მოხატულ კერამიკასთან ამჯერად ყველაზე ახლოს დგას იანიკ-თეფეზე აღმოჩენილი შავი კვადრატებით შეღებილი ერთი ჭურჭელი (სურ. 38); თეფე-გავრას პალაფური პერიოდის დიდი ჭურჭლის ნატეხზე მუქი ყავისფერი

საღებავით გამოყვანილია ადამიანის გამოსახულება (სურ. 3ა), ხოლო მეორე დიდ ჭურჭელზე კი ელამური (სუზას) კერამიკისათვის დამახასიათებელი ტიპური სტილიზებული გამოსახულება (ქალისა), რომელიც ყველაზე უკეთ ამჟღავნებს მის აღმოსავლურ ტრადიციებს (სურ. 3ა).

იანიკ-თეფეს გვიანნეოლითური ფენის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენის შესაძლებლობას იძლევა ფიზდელი-თეფეს გვიანდელი ფაზის ნამოსახლარის მასალა. საქმე ისაა, რომ იანიკ-თეფეზე აღმოჩენილ კიდევ ერთ ყვითლად ანგობირებულ ზედაპირზე მუქი ყავისფერი საღებავით მოხატული ჭურჭელი სწორედ ფიზდელი-თეფეს ძვ. წ. IV ათასწლეულის შუახანებისადმი განკუთვნილ მასალებს ემსგავსება. ეს კერამიკა წარმოადგენს შევრონებითა და სამკუთხედებით შემკულ ნაკეთობას და იანიკ-თეფეზე უთუოდ ჰასანლუს მიდამოებიდან უნდა იყოს შემოტანილი²⁵.

ურმიის ტბის რაიონში მეორე საინტერესო ძეგლია გეოი-თეფე. რომლის „M“ პერიოდი 40 კვ. მეტრის ფართობზე მხოლოდ 1 მეტრის სისქის კულტურული ფენით წარმოგვიდგება. აქ ძველი ფენა სტრატეგრაფიულადაა მოქცეული „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ქვეშ და ჭიულ-თეფეს ძეგლების მსგავსად, თავის კერამიკული ფორმით მომდევნო ხანის კულტურას ვერ უკავშირდება და ამდენად „მტკვარ-არაქსის“ მოგვიანო კულტურისაგან თითქმის სრულიად მოწყვეტილი ჩანს.

გეოი-თეფეს მასალებში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი კაყის ქვის იარაღები, რომელთა უმეტესობა დანისებრი ან საფხეკისებრი ფირფიტებია. ასეთივეა ობსიდიანის ო რ წ ა ხ ნ ა გ ო ვ ა ნ ი ს ა ფ ხ ე კ ე ბ ი, აქედან სამი გამკვირვალე მწვანე ფერის ობსიდიანისაგანაა დამზადებული. ამ სახის ობსიდიანი ვანის ტბის მიდამოებშია და ყველაზე ჭარბად თილკი-თეფეს ნამოსახლარზე ჩნდება. აქვეა ქვის როდინი და სალტით დასამაგრებელი უროსებრი იარაღი. გეოი-თეფეზე ძვლის სულ ორიოდ ნემსია აღმოჩენილი. მცირე რაოდენობითაა თიხისაგან დამზადებული შ უ რ დ უ ლ ი და ისეთი ნივთის ნატეხი, რომლის ზედაპირზე ც ი ლ ი ნ დ რ უ ლ ი ს ა ბ ე კ დ ა ვ ი თ ნ ა კ ე თ ე ბ ი ა ს ტ ი ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ი რ მ ე ბ ი ს ა ნ ა ბ ე კ დ ი.

გეოი-თეფეზე ოთახებსა და კულტურულ ფენაზე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ბუნარევი კერამიკული ნაწარმი; ამ ნაკეთობათა უმეტესობა: გარდა შედარებით უხეში კეცისა, გამოირჩევა ფორმის მრავალფეროვნებით და დახვეწილობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია თხელკედლიანი, ქუსლზე შეყენებული. მუცელგამობერილი და ყელვიწრო ჭურჭლები; ზოგიერთი დიდი ზომის ბრტყელძირიანი, მეტად ფაჭიზი და თხელი კეცის მქონე დერაგები.


მოხატული ჭურჭლის ჯგუფშია ბადიები და ჯამები, რომლებზედაც საღებავით შესრულებული მწკრივებად დატანილი ორნამენტი შიგნით მხარესაა მოქცეული. ეს კერამიკა უმეტესად ყვითელი თიხისაა, თუმცა მოგვეპოვება გაპრიანებული, წითელკეციანი და სადა ნაცრისფერი ჭურჭელიც. ამ დროის ჭურჭელზე წარმოდგენილი ორნამენტი საკმაოდ ერთგვაროვანია და შედგება ტალღოვანი ხაზების, სამკუთხედებისა (სურ. 4). მარყუქებისა, თუ ნახევარი მთვარისებრი სახეებისაგან, რომელიც გამოყვანილია ბაცი, მუქი ყავისფერი ან კიდევ შავი საღებავებით.

გეო-თეფეს გვიანნეოლითურ ფენაში აღმოჩენილია აგრეთვე სპილენძის სამი ნივთის ნატეხი, რომელთაგან ორი გაურკვეველი ფორმისაა, მესამე კი დანის პირის ნაწილს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მეტალოგრაფიულადაა შესწავლილი და გადნობილი სპილენძისგანაა დამზადებული. საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ ხანაში პირველად ჩნდება ცხენის ხელოვნურად გაქლიბული კბილიც.²⁶

მაშასადამე, გეო-თეფეს „M“ პერიოდის კულტურა, რომელიც თუმცა კერამიკული ნაწარმის დამზადებითა და, საერთოდ, თავისი ტექნიკური დონით ახლოსაა ქიულ-თეფეს პირველი ფენის კულტურასთან, საერთო შთაბეჭდილებით ქრონოლოგიურად თითქოს მინც მასზე უფრო გვიანი უნდა იყოს²⁷.

მეორე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ევფრატის დასავლეთით მალათიასა და ელიაზიგის ოლქში აღმოჩენილია გვიანნეოლითური კულტურის ყველაზე ადრეული მოხატული კერამიკა, რომელსაც პასუნას ტიპის შვეკრონული შემკულობა ახასიათებს.²⁸ უფრო გვიანდელია პალაფური კულტურის იერის მქონე ტალღოვანი ორნამენტით შემკული თიხის თასები, რომლებიც ქიულ-თეფეში აღმოჩნდა. მისი მსგავსია ასეთივე შემკულობის შემცველი არღუვანის რაიონში მოპოვებული კიდევ ერთი ჯამი. მაგრამ ეს უკანასკნელი ჭურჭელი ისევე, როგორც მალათიასთან აღმოჩენილი ბზენარევი თიხისაგან დამზადებული სადა მონოქრომული ღია ფერის კერამიკა, უფრო გვიანი — პალაფური თუ ობეიდის კულტურის დროინდელი უნდა იყოს. დაახლოებით ამავე ხანისაა სილბისტანიდან (მალათიას ჩრდილოეთით მდებარე ნამოსახლარი) მომდინარე ასეთივე მოყვანილობის ჯამი, რომელზედაც თითქოს „მოსმული ბალახის“ ნაკვალევია. ამ სადა კერამიკის გარდა აქვეა მუქი ზედაპირის მქონე ხელით ნაკეთები თიხის ჭურჭელი, რომლის მსგავსი ფორმები მოგვეპოვება ელიაზიგის მიდამოებში აღმოჩენილ თეფე-ციკის ნამოსახლარზე. ამ კერამიკის ერთ-ერთი თავისებურებაა პირთან მიძერწილი შვერილები, რაც ესოდენ დამახასიათებელია ქიულ-თეფეს პირველი ფენისათვის (სურ. 2). ზოგიერთი

მკვლევარის მოსაზრებით, აღნიშნული ტიპის სადა. მაგრამ გაპრიალებული ჰურქელი, შესაძლოა, გვიანნეოლითურ ან კიდევ ადრეულ ბრინჯაოს ხანას ეკუთვნოდეს და უთუოდ ადგილობრივ კერამიკულ პროდუქციას უნდა წარმოადგენდეს.



სურ. 5.

მკვლევართა აზრით, მდ. ევფრატის დასავლეთით მდებარე რაიონებში აღმოჩენილი გვიანნეოლითური კულტურის კერამიკული ფორმების, ვიწროყელიანი მოხატული დოქებისა თუ დერგების ჩგუფის ზედაქრონოლოგიური თარიღი ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლომდე უნდა მიდიოდეს.²⁹

ანატოლიის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოდგენილი ამავე დროის მასალები ცნობილი იყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ვანის ტბის მიდამოებში მრავალფენიანი ნამოსახლარის — თილკი-თეფეს გათხრების შედეგად. ამ სამოსახლოს შემდგომმა გათხრამ აღმოაჩინა ერთიმეორეზე მდებარე სამი კულტურული ფენა. რომელთაგან უგვიანესია პირველი; ის გვიანნეოლითურ კულტურას ეკუთვნის და სისქით 1,5 მ. არ აღემატება. შეიცავს ბუნებრივ კერამიკას. ამ ჭურჭლის ზედაპირზე წითელი საღებავითაა გამოყვანილი სწორი ან ტალღოვანი ხაზებისგან შედგენილი ორნამენტი. მეორე ფენა, რომლის სიმაღლურე 5 მეტრამდეა, მხოლოდ სადა, მოუხატავი კერამიკითაა წარმოდგენილი. თიხაში ბზეს ცვლის ქვიშა. ყველაზე ძველია მესამე ფენა 2 მეტრის სიმაღლის მქონე ჰალაფური ტიპის მოხატული ჭურჭლით.

ამ ძეგლის მთელი ეს სტრატოგრაფიული მასალა ჯერ კიდევ არაა ერთიანად გამოქვეყნებული და სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ახლა შემოდის; მაგრამ უკვე ცნობილი თილკი-თეფეს მასალების გათვალისწინება მთელი რიგი საკითხების გარკვევის მიზნით ახლავე აუცილებელია. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველგან, სადაც კი ამავე სახის მოხატული ჭურჭელია, ის ერთი მანერიითაა მოხატული, მაგრამ სხვადასხვა ადგილას ამისათვის სხვადასხვაფერის საღებავია გამოყენებული³⁰.

აქ მხედველობაში გვაქვს იანიკ-თეფეზე (სურ. 38) თილკი-თეფესა და ქიულ-თეფეზე ბაცი ან მუქი ყავისფერი და შავი თუ წითელი საღებავებით ფართო ზოლებისა და კვადრატების სახით ჭურჭლის თითქმის მთელი ზედაპირის მოხატვის შემთხვევები. რომელიც უთუოდ ამ კულტურის ერთ-ერთ საერთო დამახასიათებელ ნიშანს უნდა წარმოადგენდეს.

მოხატული კერამიკის შემცველი გვიანნეოლითური კულტურის გავრცელება, როგორც ამ ბოლო ხანებში გაირკვა. აზერბაიჯანის მარტო იმ მხარეში კი არ ღვინდება. სადაც ნახქევანის მხარისათვის დამახასიათებელი მსგავსი გეოგრაფიული გარემოა (მაგალითად, აგდამის მიდამოები), არამედ იგი აზერბაიჯანის ჩრდილოეთ საზღვრებს სცილდება და მთიან დაღესტანშიაც გადაადის.

ამის მანიშნებელია დაღესტანში ახლად აღმოჩენილი გინჩის სამოსახლო. რომელიც მდ. გიდელ-ორის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთ ტერასაზეა.

და გვიანნეოლოთური დროის 0,50—1,20 მ სისქის კულტურულ ფენას შეიცავს. ეს ფენა 180 კვ. მეტრის ფართობზეა შესწავლილი.

აქ, გარდა ადრეული ტიპის დიდი ხელსაფეკვაებისა, მოპოვებულია კაჟის გრძელი დანისებრი ფირფიტები, ხოლო ძვლის ნაკეთობათა შორის ქარბობს ნემსები და სადგისები. კერამიკული ნაწარმი თავისი ფორმით საკმაოდ მრავალგვარია. ესაა — ჯამები, ქოთნები, მაღალყელიანი დოქისებრი ჭურჭელი; მთელი კერამიკა თიხის შემადგენლობის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყოფა. პირველ ჯგუფშია სქელყელიანი ჭურჭელი, რომლის თიხაშიც შერეულია მსხვილმარცვლიანი ქვიშა და დაფხვნილი ქვა. უფრო წმინდა თიხისაგან დამზადებული და უკეთ გამომწვარი კერამიკა მეორე ჯგუფშია გაერთიანებული, სადაც უმთავრესად წითელყელიანი ჭურჭელია, თუმცა შიგადაშიგ ჩნდება ნაცრისფერი და შავი კერამიკა. პირველი ჯგუფის ჭურჭელი, რომლის ზედაპირიც თიხის თხელი ფენითაა დაფარული, ხშირ შემთხვევაში გარედან უხეში ქსოვილის (სელის?) ანაბეჭდს შეიცავს. თიხის ნაკეთობის უმეტესობა ანგობირებული და გაპრიალებულია.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ ამავე კულტურულ ფენაში აღმოჩენილია მოხატული კერამიკის 10 ნატეხი. ამ ჭურჭლის ღია მოწითალო ან მოვარდისფრო ზედაპირზე წითელი, უფრო კი ყავისფერი საღებავით სხვადასხვა ორნამენტული სახეებია დატანილი: ჰორიზონტული ზოლები, წრეები, რომბები. ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან მიღებული სამკუთხედები და სხვ.

თიხის ნაკეთობათა ეს ჯგუფი ახლოს დგას ქიულ-თეფეს I ფენის მილის და ყარაბაღის ველებზე აღმოჩენილ შესატყვის მოხატულ მასალებთან. ის ემსგავსება აგრეთვე აზერბაიჯანის დასავლეთ მხარეში აღმოჩენილ სადა კერამიკასაც (ბაბა-დერეიში, შომუ-თეფე); რომლის ზედაპირზეც შერჩენილია ქსოვილის ანაბეჭდი.³¹

ამრიგად, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების განსაზღვრულ ტერიტორიაზე ურმიის ტბიდან მდ. ეფრატის დასავლეთ ნაპირამდე და აქედან კი დაღესტანამდე ქიულ-თეფეს I ფენის დროინდელი ძეგლები, წარმოდგენილი მოხატული კერამიკით და ერთგვაროვანი თანმხლები მასალებით, გვიანნეოლოთურ კულტურას განეკუთვნება და სტრატოგრაფიულად „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ქვეშე ექცევა.

შეკვლევართა აზრით თითქოს ამ მოხატული კერამიკით წარმოდგენილი უძველესი კულტურის გავრცელების საზღვრებს გარეთ უნდა იყოს მოქცეული აზერბაიჯანის დასავლეთი მხარე, სადაც ქიულ-თეფეს I ფენის დროინ-

დელი კულტურული ფენა სტრაციფირებულად უსწრებს წინ „მტკვარ-არაქ-სის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურას. ამ ორი კულტურის ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება კარგად აღინიშნება აქსტაფასთან ახლოს აღმოჩენილ ბაბა-დერვიშის სამოსახლოზე.

ბაბა-დერვიში აქსტაფა-ჩაის მარცხენა ნაპირის ერთ-ერთ ბუნებრივ ბორცვზე მდებარეობს. აქ 600 კვ. მეტრ ფართობზე ზედა კულტურული ფენის ქვეშ გათხრილია სულ ოთხიოდე საცხოვრებელი მიწური, რომელიც ადრეულ ბრინჯაოს კულტურას არ ეკუთვნის. ამ სახლებში აღმოჩენილია შრომის იარაღი (ქვა, ძვალი) და ხელით ნაძერწი წითელ-ნაცრისფერი თიხის ჭურჭელი (სურ. 212, 16). ეს კერამიკული ნაწარმი თიხის შედგენილობის მიხედვით ამავე მიკრორაიონში მიკვლეული შომუ-თეფესა და თიორა-თეფეს ჭურჭლის მსგავსად ორ ჯგუფად იყოფა: ამათგან უმეტესობას შეადგენს ბზენარევი თიხისგან დამზადებული ჭურჭელი (I ჯგუფი). ქვიშით გამკვლევებული თიხის ნაკეთობანი კი მეორე ჯგუფშია წარმოდგენილი.

ეს კერამიკა, მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირშესწორებულა, მაინც საკმარის უხეშია და თანაბრად არაა გამომწვარი. ფორმების მიხედვით აქაც ერთგვაროვანი ჭურჭელია: სწორპირიანი, ცილინდრული ნაკეთობანი, მაღალი, ვიწროძირიანი ბადიები, ქუსლივით გამოყოფილძირიანი ჯამები და ძირფართო ქოთნები (სურ. 216).³²

ამავე მიკრორაიონში, მდ. მტკვრის ძველი კალაპოტის მარჯვენა ნაპირთან, ხელოვნურად წარმოქმნილ ორ სამოსახლო ბორცვზე — თიორა-თეფესა და შომუ-თეფეზე აღმოჩენილია ქიულ-თეფეს I ფენისა და, იქნებ, უფრო ძველი დროის შესატყვისი მასალების შემცველი კულტურული ფენები. ამათგან ახლასისტემატურად მხოლოდ შომუ-თეფეს სამოსახლარი ითხრება და ამიტომ აქ მხოლოდ მასზე შევჩერდებით.

შომუ-თეფეს 250 კვ. მეტრ ფართობზე შემქიდროვებულად ნაშენ მრგვალ სახლებსა და მათ შორის წარმოქმნილ ფენაში მრავლად ჩნდება ძვლის ნატიფი ნაკეთობანი: მსხვილფეხა საქონლის ლულოვანი ან ბეჭის ძვლისა და ზოგჯერ ირმის რქისაგან დამზადებული თიხისებრი ტარდასამაგრებელი იარაღი (სურ. 212), სხვადასხვაგვარი სადგისები და ნემსები, გაურკვეველი დანიშნულების ფირფიტისებრი ნივთები, განსაკუთრებული მოყვანილობის გრძელყუნწიანი „ისრისპირები“ და ნაირსახოვანი „კოვზები“. აქვეა მოპოვებული ძვლისაგან დამზადებული ადამიანის პატარა ქანდაკებაც. მრავლადაა აღმოჩენილი ქვის იარაღი: ხელსაფქვავეები და სასრესები; ბევრია ქვის გაპრი-ალებული ბრტყელი ცულები, სატეხები, მსხლისებრი ფორმის ლახტისთავები,

ობსიდიანისაგან დამზადებული „სამართებელი“, გრძელი დანები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნამგლის კაჟისა და ობსიდიანის ჩასართავები.

ნამგლებისათვის განკუთვნილ ნიმუშებს შორის ყურადღებას იპყრობს 16 სმ სიგრძის ხის ბუდის „ნარჩენი“, რომელიც ბიტუმის და მასში წვერკუთხე ამოწეულ მდგომარეობაში ჩასმული კაჟისა და ობსიდიანის ფირფიტებისაგან შედგება (სურ. 2ფ).

ჩვეულებრივი ტიპის სწორპირიანი ნამგლის პირისაგან სრულიად განსხვავებული ეს სამკელი იარაღი მსგავსია ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ხმარებული რკინის „ღუღისა“, რომელიც თავის მხრივ ემსგავსება უკრაინასა და შუა აზიაში ენეოლითურ პერიოდში საკმაოდ გავრცელებულ ხერხიანი პირის მქონე ნამგლებს.³³

ამავე კულტურულ ფენაში ქიულ-თეფეს I და II ფენებში აღმოჩენილია კაჟისა და ობსიდიანის მსგავსი სწორკუთხა ჩასართავები (სურ. 215).

შუმუ-თეფეს კერამიკული ნაწარმი მთელი რიგი ნიშნებით ყველა ჩამოთვლილი სახის სადა ქურჭლებს ემსგავსება. ის ქიულ-თეფეს მასალებისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ არა ჩანს ანგობით დაფარული წითელკეციანი ნაქეთობანი. კერამიკის უმეტესობას ყავისფერი ან სხვადასხვა შეფერილობის ნაცრისფერი ქურჭელი შეადგენს. რომელთა ფორმებიც საკმაოდ ერთგვაროვანია. ესაა ოდნავ პირშევიწროებული კასრისებრი მოყვანილობის ქურჭელი. ბრტყელი და ფართოპირიანი ჯამები, სწორპირიანი ან კიდეც ტუჩიანი და პირგადაშლილი კერამიკა, რომლებსაც ზოგჯერ ძირი გამოყოფილი (სურ. 216) და გვერდები გაკუთხული აქვს. ქურჭელი უყუროა. ამ სახის სადა ქურჭლის ზედაპირზე იშვიათ შემთხვევაში გამოყვანილია რელიეფური მარტივი სახეები (რომლები).


თიხის ნაქეთობათა ჯგუფს მიეკუთვნება ბირთვები, რომლებიც მცირე სიდიდის გამო შურღულებად ვერ გამოდგებოდა. ვარაუდობენ, რომ ამ საგნებს კარაქის დღეებისას იყენებდნენ.

აქ, სხვა ძეგლებისაგან განსხვავებით, მოშინაურებული ცხოველების (ძროხა, ცხვარი, ძაღლი) ძვლის გარდა, მრავლადაა აღმოჩენილი გარეული ფაუნის ნაშთი: ფრინველი, თევზი, მელა, ტახი, ირემი, გარეული თხა და ჯეირანი, რაც მონადირეობის წარმოებაზე მიგვითითებს.

ამავე დროის ძეგლების ერთი ჯგუფი წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში, რომელიც თავისი გეოკლიმატური პირობებით დიდად ემსგავსება აზერბაიჯანის დასავლეთ მხარეს და ბუნებრივად ებმის მათ.

ამ ისტორიულად ადრე დაწინაურებულ ძველ ქართულ კუთხეში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი სტრატიფიცირებული ძეგლი — თეთრწყაროს ნამოსახლარი, სადაც ამ ხანის კულტურული ფენის ზემოთ (B ჰორიზონტი) „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისადმი განკუთვნილი ფენა (A ჰორიზონტი) იყო მოქცეული.³⁴

თეთრწყაროს უძველესი ნამოსახლარის ძირითადი ნაწილი თითქმის



სურ. 6.

მთლიანად გაითხარა. ირკვევა, რომ ის სწორ ადგილზე მდებარეობდა და ერთიანად იყო გადახურული მაღალი ქვაყრილით, რომელიც აქ ბუნებრივად ვერ გაჩნდებოდა და უთუოდ წარმოიქმნა შემდგომ ხანებში ნასახლარზევე დაკრძალვის აქტთან შესრულებულ რიტუალთან დაკავშირებით. მოგვიანო ქვაყრილის მოთხრის შემდეგ საკუთრივ ნამოსახლარის კულტურულ ფენებში გამოვლინდა როგორც ცალკეული არქიტექტურული ნაშთები, ისე ერთიმეორისაგან განსხვავებული კერამიკა. გათხრილი ფენის ქვედა ჰორიზონტში აღმოჩნდა პლასტიკური თიხის წითლად გამომწვარი ჭურჭელი და ნეოლითური ტრადიციების მანიშნებელი ქვის იარაღი (ფაცეცების ატყეცვა, რეტუში, გახეხვა, გაპრიალება და ქვის ორმხრივი გახვრეტა). აქვეა ნაპოვნი ნატუფიის ტიპის ისრისპირი.

ამავე ფენის ადრეული კერამიკული ჯგუფი შეიცავს უხეშად ნამზად ძირბრტყელ და სწორი კედლის მქონე ჭურჭელს, რომლებსაც ცუდად გამომწვარი ვარდისფერი ან ნაცრისფერი კეცი აქვს. აქვეა ცილინდრულ ყელი-

ანი ქურჭლები, დაბალი ჭამები და ლანგრისებრი ქურჭლის ნატეხებიც, ზოგ ქურჭელზე მოწითალო საღებავის კვალი შეიმჩნევა, ზოგსაც მხოლოდ ამოკაწრული ხაზებით წარმოდგენილი მარტივი ორნამენტი აქვს.³⁵

ქვემო ქართლის „მტკვარ-არაქსის“ გვიანნეოლითური და ადრეული ბრინჯაოს კულტურათა ძეგლების ქრონოლოგიური ურთიერთდამოკიდებულების დადგენისათვის გარკვეული მნიშვნელობა უნდა მივაკუთვნოთ წოფის, თამარისისა და შულავერის მიდამოებში დაზვერვების დროს ნაპოვნ მასალებსაც. ერთ-ერთ მიკრორაიონში, რომლის რადიუსი 8—10 კმ არ აღემატება, აღმოჩენილია როგორც ქიულ-თეფეს I ფენისათვის, ისე ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი ობსიდიანის იარაღი და კერამიკული ნაწარმი.

ამ ძეგლთა შორის აღსანიშნავია მდ. ხრამის ორივე ნაპირთან ურთიერთ მოპირდაპირე შულავერის I და II ბორცვებზე მდებარე (ხრამის მარჯვენა ნაპირი) და თამარისის აკლდამაში (ხრამის მარცხენა ნაპირი) აღმოჩენილი სხვადასხვა დროის მასალები.

შულავერის I სამოსახლო ბორცვის უძველესი მასალაა თიხის ქურჭლის რამდენიმე ნატეხი და ობსიდიანის ორ-სამწახანგოვან ფირფიტაზე ჩამოყალიბებული დანისებრი იარაღი, რაც ყველაზე მეტად ქიულ-თეფეს I ფენისა და შომუ-თეფეს გვიანნეოლითურ მასალას ემსგავსება. მის გატოლებას ხსენებულ ძეგლებთან ისაც უწყობს ხელს, რომ შულავერის I სამოსახლოს უძველესი ნაკეთობანი მკვეთრად განსხვავებულია აქვე თამარისის აკლდამაში და შულავერის II სამოსახლო ბორცვზე აღმოჩენილი ადრეული ბრინჯაოს ხანის ტიპური მასალებისაგან.³⁶

ბოლნისის რაიონის წოფის მიდამოებში დაზვერვების შედეგად მიკვლეული კიდევ ერთი ერთფენიანი ბორცვი განეკუთვნება გვიანნეოლითურ ხანას. ის მდებარეობს მდინარის პირას და ჰარბად შეიცავს ქვის იარაღსა და ისეთ თავისებურ კერამიკას, რომელიც „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ მასალას შორდება.³⁷

ენეოლითური კულტურის განვითარების ეტაპებს მკაფიოდ ავლენს, აგრეთვე დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილი ძეგლთა კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ქრონოლოგიურად ზემოთ განხილულ მასალებს უახლოვდება. იგულისხმება „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის გავრცელების უკიდურეს დასავლეთ მხარეში — ძევრულასა და ყვირილას ხეობებში (საგვარჯილეს, სამელე და სამერცხლე კლდის გამოქვაბულებში) გათხრილი

ენოლითური ფენები და სამარხები. აქ აღმოჩენილი მასალა თუ ქრონოლოგიურად ქიულ-თეფეს I ფენას, შუმუ-თეფესა და სხვა ზემოთ ხსენებულ ძეგლებს შეესიტყვება, კულტურულად შესაძლოა უფრო მეტად დასავლურ წრეს უკავშირდებოდეს.³⁸


მოკლედ მიმოხილული ეს უძველესი კულტურა „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეული ბრინჯაოს ხანის ყველა ტიპიური ძეგლისაგან ძველად გამოირჩევა. ის მთლიანად წყდება მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე წარმოდგენილ უფრო გვიანდელ მასალებს და ხელს უწყობს მათი ქრონოლოგიური თუ კულტურული ურთიერთდამოკიდებულების უკეთ განსაზღვრას.

მეორე მხრივ ამ სხვადასხვა დროის ძეგლების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისათვის ერთგვარი მნიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ცენტრალურ რაიონებში აღმოჩენილ იმ არქაული იერის მქონე კერამიკას, რომელიც ზოგჯერ ან სტრატეგრაფიულად გამოეყოფა უფრო გვიანდელ მასალას, ან კიდევ, პირიქით. მათთან ერთად არის ხოლმე წარმოდგენილი. ქვემო ქართლში, კიკეთის სამაროვანზე, „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს ტიპიური კერამიკული კომპლექსის ქვეშ მხოლოდ ერთ ადგილას იყო მოქცეული უფრო ძველი ორმო. რომელშიაც ადრეული ფორმის ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი.³⁹

დანარჩენ შემთხვევაში დასავლეთ აზერბაიჯანში (ბაბა-დერვიშის ზედა კულტურული ფენის ორმოებში), ქვემო ქართლში — (თეთრწყაროს A ჰორიზონტში, დიდუბის ნამოსახლარზე⁴⁰) და შიდა ქართლში (ნაცარგორის I ფენაში⁴¹, გუდაბერტყაზე⁴². ხიზანანთ გორაზე და ქვაცხელებზე) გვიანენოლითური ტაპის მსგავსი კერამიკა მეტად მცირერიცხოვანია და „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ მასალასთან ერთად გვხვდება.

ხსენებული მასალა სტრატეგრაფიულად და კომპლექსურად არც ერთ შემთხვევაში სხვა მომდევნო დროის ძეგლებისაგან აშკარად გამოყოფილი არ არის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაბა-დერვიშის ზედაკულტურული ფენის ორმოებში აღმოჩენილი კერამიკის ერთი ნაწილი, რომელიც თეთრწყაროს A ჰორიზონტში, დიდუბისა და ნაცარგორის I ფენაში მოპოვებული თიხის ჭურჭლის ზოგიერთი ფრაგმენტის მსგავსად განსხვავებულია თავისი ფორმით ან მხოლოდ ცალკეული დამახასიათებელი ნაწილით (შვერილით), და მკვეთრად გამოირჩევა მათთან ერთად აღმოჩენილი შავზედაპირიანი, ვარდისფერი, სარჩულის მქონე აშკარად უფრო გვიანდელი კერამიკისაგან⁴³. არაა გამორიცხული, რომ სწორედ აღნიშნული ძეგლების შემდგომი გათხრისა და შესწავ-

ლის საფუძველზე საბოლოოდ გადაწყდება საკითხი თუ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების რომელ ტერიტორიაზეა საძიებელი ისეთი ძეგლები, რომლებიც გვიანნეოლითურს და ადრეული ბრინჯაოს ხანის ურთიერთდაკავშირების შესაძლებლობას მოგვცემენ.



სურ. 7.

მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში თანმიმდევრულად განვითარებული კულტურის სხვადასხვა საფეხურთა დადგენისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს უკვე აღმოჩენილი ყველა ძირითადი ძეგლის კულტურულ-ქრონოლოგიური ადგილის დადგენას.

ამის შესაძლებლობას პირველ რიგში, ცხადია, სტრატეგიციკრებული ძეგ-

ლების შესწავლა იძლევა, თუმცა აქ თითოეულ ფენაში აღმოჩენილი კომპლექსების შემადგენლობასა და ამ კომპლექსებში შემავალ ნივთთა რაგვარობასაც უნდა მიენიჭოს განმსაზღვრელი მნიშვნელობა.

საყურადღებოა, რომ წინა წლების შესწავლის პერიოდში ნახჭევანის ქიულ-თეფეს I ფენის A ჰორიზონტი გვიანნეოლითურ ხანას მიეკუთვნებოდა, ხოლო B ჰორიზონტი კი — ადრეულ ენეოლითურ პერიოდს. იმ დროისათვის ამ უძველესი ჰორიზონტების მსურათი სრულად წარმოდგენილი არ ყოფილა, რადგან მაშინ ჯერ კიდევ არ იყო მოპოვებული ისეთი განმსაზღვრელი მასალა. როგორცაა გვიანნეოლითური ტიპის კარგად ცნობილი მოხატული კერამიკა, ლითონის სხვადასხვა სახის ნაკეთობანი და კომპლექსურად წარმოდგენილი ისეთი მასალები, რომლებიც გამოირიცხავდა ამ ძეგლების ნეოლითური კულტურებისადმი მიკუთვნებას⁴¹.

ქიულ-თეფეს უძველესი ფენის შესწავლის მეორე ეტაპზე გაიჩვენა, რომ თუმცა გვიანნეოლითური მოხატული კერამიკა ჯერჯერობით სხვაგან აღმოჩენილი არაა, მაგრამ მისი შესატყვისი ძეგლები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ აზერბაიჯანსა და ქართლში; ამავე დროს ისიც დადგინდა, რომ ქიულ-თეფეს I ფენის კულტურა თავდაპირველად ყველაზე ძველი მიწათმოქმედი ტომების კულტურა არ უნდა ყოფილიყო. რადგანაც აქ ის ხასიათდება ისეთი მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო ხელსაწყო-იარაღებით, როგორცაა ორგვაროვანი ნამგლის ჩასართები, ქვის (შურდული) და ლითონის (დანისპირი) საბრძოლო საჭურველი, დიდი რაოდენობით წარმოდგენილი მოშინაურებული ცხოველები (ძროხა, ცხვარი, ძაღლი), აქვეა გაღავნითა თუ არხით შემოვლებული მრავალფენიანი სოფლები, რომლებიც საცხოვრებლად დიდი ხნის განმავლობაში გამოიყენებოდა. ამასთანავე ჩანს, რომ ამ დროისათვის გავრცელებული ყოფილა მდგრადი მასალისაგან (აგური) ერთოთახიანი სახლების შენება. საჭურჭლე თიხის ორგანულ და არაორგანული ნივთიერების შერევით განქლევება და ნაძერწი თიხის ქურჭლის ზედაპირის ანგობირება, შეღებვა და მაღალ ტემპერატურაზე გამოწვა. ამავე დროს ფართოდ გამოიყენებოდა ბორბლიანი ტრანსპორტი, რომელიც მარაგისა თუ მოსავლის დიდი ოდენობით ერთიანად გადატანის საშუალებას იძლეოდა.

მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის ეს სამიწათმოქმედო კულტურა ნათლად გვიჩვენებს აგრეთვე იმ მჭიდრო კულტურულ კონტაქტებს, რომლებიც მაშინ აქ მოსახლე და მეზობელ ტომებს შორის არსებობდა.









უძველესი კულტურული კონტაქტები ყველაზე მკაფიოდ ვლინდება

აღმოსავლეთ ანატოლიაში, სადაც არა თუ ჰალაფური, არამედ ჰასუნას ტიპის შემოტანილი მოხატული კერამიკაც ჩნდება. ასეთი მჭიდრო ურთიერთობის ანარეკლია. აგრეთვე; ის ფაქტიც, რომ ჩრდილო მესოპოტამიაში, ჰალაფის კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე, მრავლად ჩნდება ვანის ტბის მიდამოებში მოპოვებული ობსიდიანის იარაღი, რომლის გატანას სამხრეთით იმ დროს უთუოდ სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონოდა⁴⁵.

როგორც ირკვევა, ძვ. წ. V—IV ათასწლეულებში სამხრეთულ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობაში ჩაბმული მხოლოდ ეს მხარე არ ყოფილა. მცირე აზიის კულტურებთან გარკვეულ კონტაქტში იმყოფებოდა აგრეთვე ჩრდილო-დასავლეთი კავკასიაც, სადაც ენეოლითური კულტურა მხოლოდ ადგილობრივი კულტურის მემკვიდრედ არ ჩანს. მეშოკოს ნამოსახლარის ქვედა კულტურული ფენის მიხედვით ირკვევა. რომ ენეოლითურ ხანაში მაიკოპის კულტურის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი მცირე აზიურმა ელემენტებმაც შეასრულეს⁴⁶. რომელთა გავრცელება ამ მხარეში მხოლოდ და მხოლოდ დასავლურ-ქართულ კულტურულ გარემოსთან (საგვარჯილევ, სამელე კლდე; სამერცხლე კლდე; დოშაკი) ურთიერთობის შედეგად უნდა მომხდარიყო⁴⁷.

ასეთ მჭიდრო კულტურულ ურთიერთობაში თავს იჩენს მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთი და მისგან ჩრდილოეთით მდებარე მხარე, სადაც ძირითადად ირანული გვიანენეოლითური ხანის ელემენტებია წარმოდგენილი. ამის დამადასტურებელია არა მარტო ჩრდილო-დასავლეთ ირანსა და ნახჭევანის მხარეში მკაფიოდ გამოხატული ობეიდის ტიპის მოხატული კერამიკა, არამედ დაღესტანში ამ ბოლო ხანებში თიხის ასეთივე ნაწარმის აღმოჩენაც. ე. ი. ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში აქაც მეურნეობრივად დაწინაურებული ადგილობრივი გვიანენეოლითური კულტურა ვითარდებოდა მეზობელ ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობაში. ცხადია, ჯერ კიდევ ძნელია მხოლოდ ამ ახლად აღმოჩენილი ნიშნების მიხედვით აქაური კულტურის ყველა თავისებურებებზე გარკვეული შთაბეჭდილების შემუშავება, მაგრამ ახალი საყურადღებო რამ თითქოს უკვე ისახება.

ქიულ-თეფეს I ფენის კულტურაში დადასტურებულია ცხოველი კულტურული ურთიერთობა ირანისა და ერაყის ტერიტორიაზე არსებულ კულტურებთან. კავკასიაში ირანული კულტურისათვის დამახასიათებელი მოხატული კერამიკის გავრცელება უკვე ისეთ ფარგლებში ექცევა. რომელთა ტერიტორიაზე სავარაუდებელია კასპიურ-ელამური, კავკასიურ-იბერული და ჩრდილოკავკასიური ენების შეხვედრები. არაა გამორი-



სურ. 8.

ცხული. რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის კულტურა, რომელიც აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ქიულ-თეფეს I ფენისათვის დამახასიათებელი ნიშნებითაა წარმოდგენილი, მომავალი ძიების შედეგად წინა აზია-კავკასიის ფართო სარბიელზე მონათესავე თუ მეზობლად მცხოვრებ ტომთა კულტურულ-ეკონომიურ ურთიერთობას უფრო მკაფიოდ გამოავლენს და ლინგვისტების მიერ აღრევე მიღებულ დებულებას კიდევ ახალი, უტყუარი არქეოლოგიური საბუთით გაამაგრებს.

და ბოლოს, შევხვით „მტკვარ-არაქსის“ გვიანენეოლითური კულტურის დათარიღების საკითხს. რომელიც უკვე შეძლებისამებრ განხილული აქვს ა. იესენს კავკასიისა და ძველი აღმოსავლეთის აღნიშნული დროის ძეგლების შესწავლასთან დაკავშირებით⁴⁸.

ზემოთ წარმოდგენილი კულტურისადმი განკუთვნილი ცალკეული ძეგლის აბსოლუტური ასაკი სასურველი სიზუსტით ჯერ ვერ განისაზღვრება. რადგანაც ქიულ-თეფეს I ფენის რადიოაქტიური მეთოდით დათარიღების შედეგი ჯერ არაა ცნობილი; გამოქვეყნებულია ფიზდელი-თეფეს განსაზღვრა ძვ. წ. 3500 ± 160 წწ. ამის შესატყვისია ობეიდის ხანის მოხატული კერამიკით წარმოდგენილი XV—XVII ფენების. თეფე-ჰავრას ერთი კომპლექსი, რომლის ასაკი ძვ. წ. 3446 ± 325 წწ. ეკუთვნის, ე. ი. ჩანს, რომ ორივე შემთხვევაში ახალი მეთოდით მიღებული დაზუსტებული თარიღი ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებზე მოდის. ამავე დროით შეიძლება დათარიღებულ იქნეს ყველა, და, პირველ რიგში, ზემოთ მიმოხილული აზერბაიჯანული ძეგლი. თუ აქვე ვიგულისხმებთ, რომ ქიულ-თეფესა და სხვა იმავე დროის კულტურული სქელი ფენების შემცველი ბორცვების ხანდაზმულობა ერთი და ორი საუკუნის საზღვრებში ვერ მოექცევა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ კულტურის საწყისი ძვ. წ. IV ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა გადადიოდეს.

ასეთ ზოგად დათარიღებასთან ერთად ლიტერატურაში მოცემულია ცალკეული ძეგლის ქრონოლოგიური საზღვრების დადგენის ცდაც.

მაგალითად, გეოი-თეფეს „M“ პერიოდისა და ქიულ-თეფეს I ფენის ურთიერთ შედარებით ირკვევა, რომ გეოი-თეფეს ხსენებული ფენა ქიულ-თეფეს I ფენაზე უფრო გვიანდელია. თუმცა არაა გამორიცხული, რომ გეოი-თეფე, რომელიც ქიულ-თეფესაგან 200 კმ. მანძილზეა დაცილებული, სხვა ლოკალურ კულტურასაც შეიძლება ეკუთვნოდეს. გეოი-თეფეს „M“ პერიოდის თარიღი ძვ. წ. $3250—3150$ წწ-ია და ამ ფენაში აღმოჩენილი მოხატული ქურჭლის ობეიდის პერიოდის ჩრდილომესოპოტამიურ კერამიკასთან მიახლოების შედეგადაა მიღებული.




Fig. 9.

ეს კერამიკა გარკვეულ მსგავსებას იჩენს ფიზდელი-თეფეს მასალებთან, რომლებიც ჩრდილო ობეიდის ვარიანტთან უფრო ახლოა, ვიდრე გეოი-თეფეს „M“ პერიოდის მოხატული ჭურჭელი. თუ ხსენებული ძეგლების მოხატულ კერამიკას შევეუდარებთ თეფე-ჰავრას კომპლექსებს, გაიკვევა, რომ ჩვენთვის საინტერესო ფიზდელი-თეფეს მასალა თეფე-ჰავრას XIX—XVII ფენებს უახლოვდება, ხოლო გეოი-თეფეს „M“ პერიოდი კი თეფე-ჰავრას გვიანდელ XIII—XII ფენებს.

მიუხედავად იმისა, რომ გეოი-თეფეს „M“ პერიოდი თილკი-თეფეს I ფენასთან შედარებით ბევრად უფრო გვიანდელია, ორივე ძეგლის მოხატული კერამიკა ურთიერთთან გარკვეულ მსგავსებას მაინც იჩენს. თელკი-თეფე კი აშკარად პალაფური კულტურის ნიშნებით ხასიათდება და კერამიკის მოხატულობით ახლოსაა ქიულ-თეფეს I ფენის იმ მოხატული ჭურჭლის ნიმუშთან, რომელიც უთუოდ აგრეთვე პალაფური კერამიკის ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

ა. იესენის აზრით, მხოლოდ გვიანენეოლითურ ხანაში, რომელსაც უნდა მიეკუთვნოს ქიულ-თეფეს I ფენის კულტურა, აშკარად შეინიშნება აღმოსავლური (ირანული მოხატული კერამიკის შემცველი) კულტურის ელემენტების დასავლეთით (ვანის ტბისა და მუშის რაიონამდე) გავრცელება. ასეთი შთაბეჭდილება ავტორს მიღებული ჰქონდა იანიკ-თეფეს გვიანენეოლითური პერიოდის ძეგლების აღმოჩენამდე. ახლა, როდესაც ურმიის ტბის მიდამოებში მოხატულ კერამიკასთან ერთად უკვე „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი წითელკეციანი ჭურჭელიც იქნა მოპოვებული (სურ. 34,6), ძნელია იმ აზრის გაზიარება, თითქოს „მტკვარ-არაქსის“ კულტურის მომდევნო პერიოდის კულტურის ჩამოყალიბებაში აზერბაიჯანის მხარე (ურმიისა და ვანის ტბების ჩათვლით) ს რ უ ლ ი ა დ ა რ მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ დ ა როგორც ჩანს, „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბების ხანაში ა რ ც ეს მ ხ ა რ ე ჩ ა ი თ ვ ლ ე ბ ა გ ა ნ ზ ე მ დ გ ო მ რ ა ი ო ნ ა დ, რადგან ირანული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები საკმაოდ მკაფიოდ გამოხატულია სწორედ ამ კულტურის უძველეს კომპლექსებში⁴⁹.

„მტკვარ-არაქსის“ აღრეული ბრინჯაოს კულტურა

(ძვ. წ. III ათასწლეული)

სამეცნიერო ლიტერატურაში ახლაც მიღებულია მოსაზრება, რომ „მტკვარ-არაქსის“ აღრეული ბრინჯაოს კულტურა თითქოს მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყებდეს განვითარებას¹. ეს ის ხანაა, როდესაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ჩრდილოეთით უკვე თავს იჩენს კარგად ცნობილი მაიკოპის კულტურა, რომლის წიაღშიც, მსგავსად ამიერკავკასიისა, პირველად შეიმჩნევა ადგილობრივი მეტალურგიული ნაწარმის მომრავლება (სურ. 1).

მასალებმა დაგვიდასტურეს, რომ ძვ. წ. IV ათასწლეულის თითქმის მიწურულამდე მტკვრისა და არაქსის აუზში უკვე საკმაოდ ფართოდ გავრცელებულა ბუნენარევი, ზოგჯერ კი მოხატული კერამიკით წარმოდგენილი ისეთი კულტურა, რომელიც წინა აზიაში ენეოლითური კულტურის განვითარების ყველაზე მაღალ ეტაპს ეკუთვნის.

მიუხედავად ამისა, ლიტერატურაში მაინც გავრცელებულია ძველი შეხედულება, თითქოს ამიერკავკასიაში, ძვ. წ. IV ათასწლეულის მიჯნიდან ან ცოტა უფრო აღრეული დროიდან ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე ისევ ძველებურად არსებობას განაგრძობს „ენეოლითური“ კულტურა, რომლის შემდეგ ხდება მხოლოდ მისი თანდათანობით გადასვლა აღრეულ ბრინჯაოს კულტურაში.

როგორც ცნობილია, წინა თავში წარმოდგენილი კულტურისაგან განსხვავებული ეს მეორე „ენეოლითური“ კულტურა ხასიათდება ხელით ნაძერწი ნაცრისფერი ან შავი ზედაპირის მქონე ვარდისფერსარჩულიანი კერამიკით, რომელსაც ხშირად რელიეფური, ნაკაწრი ან ჩაღრმავებული ორნამენტი აქვს (ტაბ. IV—VII). ამ კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა მეორე დიდ კულტურულ წრეში ექცევა, რომელიც თითქმის მთელ აღმოსავლეთ მცირე აზიას ფარავს. აქ ანატოლიასთან ერთად მოქცეული არის ხმელთაშუაზღვის

აუზის ქვეყნები და სირია-პალესტინა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სწორედ ანატოლიაა მიჩნეული ამ რიგის მონოქრომული, გაპრილებული ზედაპირის მქონე კერამიკის სამშობლოდ. ამავე დროს ზოგჯერ მაინც სავარაუდოა, რომ „მტკვარ-არაქსის“ ძვ. წ. III ათასწლეულის „ენეოლითური“ კულტურა ქრონოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს ბევრად ადრე არსებულ ადგილობრივ ენეოლითურ კულტურასთან².

1950 წლამდე მტკვარ-არაქსის ამ „ენეოლითური“ კულტურის სრულ კომპლექსები თითქმის უცნობი იყო, რადგან ძეგლების დიდი უმეტესობა მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილი მასალებით იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ბ. კუფტინმა ამიერკავკასიის მუზეუმებში მრავლად დაგროვილი მასალების საფუძვლიანი შესწავლით მაინც შეძლო გამოველინა ამ დროისათვის დამახასიათებელი ისეთი ძირითადი ნიშნები, რომელთა მიხედვით მოხერხდა ამ კულტურის განვითარების ზოგადი სურათის მოხაზვა. მანვე პირველმა შეძლო ამიერკავკასიის ტერიტორიაზე განვითარებული მეტალურგიის უძველესი ეტაპების გამოყოფა.

1958 — 1960 წლებში ამიერკავკასიის ძვ. წ. III ათასწლეულის ძეგლების შესწავლის ახალი პერიოდი დაიწყო. ამ დროისათვის „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითური კულტურის შესწავლა მთლიანად სტრატოციფიციკურული (ქიულთეფე, ხიზანანთ გორა³, ქვაცხელები, გუდაბერტყა) და კომპლექსური (ამირანის გორა, ბაბა-დერვიში, ელარი, გარნისი და სხვ.) ძეგლების გათხრას დაექვემდებარა. რამაც ძველად შემუშავებულ ზოგ წარმოდგენას საფუძველი უკვე სრულიად გამოაცალა და საჭირო გახადა „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითური კულტურის“ შინაარსის ახლებურად გარკვევა.

საბჭოთა ტექნოლოგ-მეტალურგებსა და ქიმიკოსებს კომპლექსურად აღმოჩენილი და სამუზეუმო ფონდებში დაცული ლითონის უძველესი ნივთების სპეციალური შესწავლით შესაძლებლობა მიეცათ ნათლად წარმოედგინათ ამიერკავკასიაში ნაპოვნი ნივთების დამზადების ტექნოლოგია, დაედგინათ ამ ადგილობრივად დამზადებული ძველი ნივთების ლითონის შემადგენლობის თავისებურებანი და გამოეყოთ კიდევ უძველესი მეტალურგიული ეტაპებისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი⁴.

ამავე პერიოდში ამიერკავკასიაში დაიწყო ახლად აღმოჩენილი „უძველესი სპილენძის“ ნივთების, მათი ჩამოსასხმელი ყალიბების თუ მეტალურგიის არსებობის მანიშნებელი სხვა მნიშვნელოვანი მასალების შემცველი კულტურული ფენების (ქიულთეფე, ქვაცხელები) თარიღების რადიოაქტიური მეთოდით დადგენა⁵.

დაბოლოს, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ახალმა ძეგლებმა სრულიად სხვაგვარად გააშუქეს მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების მთელი ის კულტურა, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს ეკუთვნის. გაირკვა, რომ მისი განვითარების საერთო დონე პირველადი მიწათმოქმედი კულტურის უძველეს საფეხურს არ შეესაბამება. ამ უკანასკნელმა გარემოებამ კიდევ უფრო მეტად ცხადჰყო იმ მოსაზრების უსაფუძვლობა, თითქოს, ამიერკავკასიაში, როგორც წინააზიის სხვა პერიფერიაში, ადგილობრივი მეტალურგია დაგვიანებით, მხოლოდ ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყებს განვითარებას.

ყველა ამ ახალი ფაქტის განხილვამ სხვა ფართოდ მოზიდულ ანალოგებთან ერთად კიდევ მეტად შეუწყო ხელი „მტკვარ-არაქსის“ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურის მანამდე უცნობი წამყვანი ნიშნების გამოვლენას, და მათი მიხედვით, ერთი მხრივ, საკუთრივ ამ კულტურისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა მკაფიო გამოხატვას, და, მეორე მხრივ კი — მის მიახლოებას სხვა, ადრე დაწინაურებულ წინააზიურ კულტურებთან.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის თავისებურებათა რაობის შესწავლისათვის ფრიად მნიშვნელოვანია საკუთრივ ამ კულტურის საწყისების გამოვლენა. როგორც ცნობილია, ამ მიმართულებით მუშაობა მხოლოდ ახლა დაიწყო და ბევრი რამ ჯერ კიდევ დასადგენია. მაგრამ ასე თუ ისე, მაინც ცნობილია, რომ ამ კულტურის საწყისები, უწინარეს ყოვლისა, საძიებელია მთელ იმ ფართოდ მოხაზულ გეოგრაფიულ გარემოში, სადაც მისი გავრცელება დადასტურებული (სურ. 1). აღსანიშნავია, რომ ამ საზღვრებს გარეთ ექცევა ანატოლიის უმეტესი ტერიტორია და სირია-პალესტინა, სადაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის უკვე ცალკეული ელემენტის უფრო გვიანი გავრცელება დგინდება; მაგრამ ეს იმას მაინც არ ნიშნავს, რომ ძველად „მტკვარ-არაქსისა“ და დასავლურ წინააზიურ კულტურებს თითქოს ერთიანი ფესვები არ ჰქონდათ. პირიქით, ახლად მოპოვებული უძველესი ანატოლიური მასალები (ბეიჯესულტანი, კონიას პლატოზე დაზვერილი ძეგლები, ჰაჩილარი და ჩატალ-ჰუიუკი) უკვე ბევრ საყურადღებო საკითხს აშუქებს⁶. მაგრამ სწორედ ამიერკავკასიაში ძვ. წ. IV ათასწლეულის მიჯნად მტკიცედ დათარიღებული მასალების უქონლობის გამო ამ ორი კულტურის სამყაროს მკვიდროდ ურთიერთდაკავშირება ჯერ კიდევ მაინც ვერ ხერხდება.


მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ „მტკვარ-არაქსის“ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურაში წარმოდგენილი კერამიკა ჩვენ მიერ მოკლედ განხი-

ლული უფრო ადრეული კულტურის ბუნარევი თიხის ნაწარმისაგან მაინც მკვეთრად გამოირჩევა. ეს კერამიკა თავისი თვისობრივი თუ გარეგნული ნიშნებით დასავლეთ წინა აზიაში უფრო გვიანდელ, ძვ. წ. III ათასწლეულში გავრცელებულ ხელით ნაძერწ მონოქრონულ, მოუხატავ თიხის ჭურჭელს ემსგავსება.

ამ ტიპის კერამიკა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისიდანვე ანატოლიაში, კვიპროსზე და ეგვიპტეში ცვლის იმ მოხატულ თიხის ჭურჭელს, რომელიც შეიძლება ელ-უბაიდის კერამიკას შეეუდაროთ. თიხის ეს ახალი ნაკეთობანი ერთმანეთს ძირითადად ზედაპირის სისადავითა და გაპრიანებით უახლოვდება და დროის შედარებით მოკლე მონაკვეთზე არსებობს. ამ კერამიკული ჯგუფისათვის, რომელიც მთელ ამ ტერიტორიაზე ჩნდება, დამახასიათებელია რელიეფური შემკულობანი. განსხვავება კი იმაშია, რომ ანატოლიური ნაწარმი ძირითადად წითელი ფერისაა, ეგვიპტისა და კვიპროსის კი — ნაცრისფერი ან შავი⁷.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ქვეყნებში და საერთოდ მთელ წინა აზიაში კალისა და სპილენძის ხელოვნური შენადნობები — ბრინჯაო — პირველად სწორედ ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისში ჩნდება, ე. ი. კალიანი ბრინჯაოს უძველესი ნივთებისა და ამ ახალი ტიპის კერამიკის გამოჩენა ამ კულტურებში ერთდროულად მომხდარა. განსაკუთრებული თვალსაჩინოებით ეს დამთხვევა დადასტურებულია კვიპროსის კულტურაში, რის გამოც ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისის კვიპროსის კულტურას „ადრეული ბრინჯაოს პერიოდს“ აკუთვნებდნენ. რიგ ქვეყნებში ამგვარი დამთხვევის სიხშირის გამო თითქოს მართლაც შესაძლებელი ხდება მოუხატავი კერამიკით წარმოდგენილი „ადრეული ბრინჯაოს პერიოდის“ კულტურის ცალკე გამოყოფა. ამიტომაც ბოლო ხანებში ხშირია დასავლეთ წინააზიური ქვეყნების ძვ. წ. III ათასწლეულის სხვადასხვა კულტურების ამ საფეხურისადმი მიკუთვნება⁸.


ერთი შეხედვით ეს პერიოდი შეიძლება ამ სახელწოდებით საერთოდ პირობითად იქნეს გამოყოფილი, რადგან ის ლითონის პირველი გამოჩენის ხანას (ენეოლითური კულტურის) მხოლოდ შემდგომ ბუნებრივ განვითარებას უნდა ასახავდეს, და თითქოს საკუთრივ ბრინჯაოს ხანამდე საზოგადოებრივი განვითარების რაიმე ახალ საფეხურს არც უნდა ეფარდებოდეს. მაგრამ ნამდვილი ბრინჯაოს პირველი ნივთების გავრცელების ხანა, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, არსებითად ყოველთვის ახალი კულტურული ეტაპის დასაწყისია. და ამიტომაც მეტალურგიის გაჩენისთანავე საზოგადოების განვითარებას უკვე



1




2




3



4




5




6


ა




7



8




9










ბ

10



11



სხვა ახალი ისტორიული მოვლენები აპირობებენ. ამის ერთ-ერთი მაგალითია „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაც, სადაც „სპილენძის“ ის ნივთები, რომლებშიც დარიშხანი ჰარბად ურევიან, პირველად სწორედ შავპრიალა თიხის ჭურჭელთან ერთად აქ გვხვდება. ამოურკვევსიაში კალიანი ბრინჯაოს ნაცვლად „დარიშხნიანი სპილენძის“ ნივთებისა და შავპრიალა ჭურჭლის ერთად აღმოჩენის ხშირი შემთხვევები, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის რაობის გარკვევისათვის⁹.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის ძირითადი განმსაზღვრელი მასალაა ხელით ნაძერწი კერამიკა, რომელიც თავისი გარეგნული ნიშნებით ჩარხზე დამზადებულ ბრინჯაოს ხანის თიხის ნაწარმს ემსგავსება: ორივე შემთხვევაში კარგად გამოძერწილი და კეთილხარისხოვნად გამომწვარი თიხის ჭურჭელი ნაცრისფერი ან უმეტესად შავი გაპრიალებული ზედაპირით ხასიათდება.

ამ შავპრიალა ჭურჭლის შეფერილობის წარმოშობის გარკვევის მიზნით სპეციალურად წარმოებულმა კვლევამ ნათელყო, რომ კიკეთის, ქიულ-თეფეს, ქვაცხელების, ახალქალაქისა და ახალციხის ამირანის გორის, გუდაბერტყას და დაბლა-გომის შავპრიალა და ნაცრისფერი ზედაპირის მქონე კერამიკის შეფერილობა მიღებულია უკვე კარგად გამომწვარი ნაწარმის წინასწარ გამიზნული შებოლვით¹⁰. ასეთი შებოლვა დადასტურდა მცხეთის გვიანი ბრინჯაოს ხანის კერამიკის ტექნოლოგიური შესწავლის შედეგადაც;¹¹ როგორც ეს ორივე შემთხვევაში დადგინდა. შავპრიალა ჭურჭლის თიხის ფორებში ჰარბადაა დაგროვილი ნახშირბადის ნაწილაკები, ე. ი. ჭურჭლის შებოლვა ლუმელში განსაკუთრებულ პირობებში გაჩენილი მურისა თუ ჰვარტლის მეშვეობით ხდებოდა. მური ლუმელში ჩნდება აღმდგენელ ატმოსფეროში საწვავის მცირეუანგბადოვან არეში დაბალ ტემპერატურაზე (700°-ზე ნაკლები) დაწვის შედეგად, რომელიც გამომწვარ-გავარვარებულ ნაწარმზე ილექება და კეცის მთელ სისქეში გადის. შებოლვის ინტენსიობა დამოკიდებულია ლუმელში არსებული აირის ხასიათზე და ტემპერატურაზე. თუ მურის შთანთქმა მძლავრია, ჭურჭლის კეცი და ზედაპირი მთლიანად შავდება; ნაკლებ ინტენსიურობის შემთხვევაში კი ნაცრისფერია (ტაბ. V).

მურის წარმოქმნილი (აღმდგენელი) აირის გარემო კერამიკულ მასალაზე უფრო მძლავრად მაშინ მოქმედებს, როდესაც ამ შებოლვასთან ერთად ხდება თიხაში არსებული რკინის უანგეულების გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. რკინის უანგეული და სხვა მინარევეები თიხაში ხშირად ბუნებრივად არსებობენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, იმ ხანებში რკინის უანგეული ზოგჯერ


საღებავად გამოყენებულ თიხაში ხელოვნურადაც შეჰყავდათ (ქიულ-თეფე, ქვა-ცხელები); ამგვარად, შავი და ნაცრისფერი ზედაპირის მქონე კერამიკა წარმოადგენს ლუმელში უკვე გამომწვარ, ცხელ მდგომარეობაში მოთავსებულ წითელკეციან ნაწარმს, რომლის ყველა მხარე და ნაწილი სრულიად ერთფეროვანია; ასევე დამზადებულია „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის და გვიანი ბრინჯაოს ხანის ის შავპრიალა ჭურჭლები, რომლებსაც უმეტესად ზედა ნაწილი პირქვე ძნელად დასადგმელი აქვს (ტაბ. V); მაგრამ მეორე ჯგუფშია უკვე განსხვავებული სახის — ღია ან მოვარდისფრო-წითელი შიდაპირის მქონე ჭურჭელი, რომელიც პირველად „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში გვხვდება (ტაბ. V). როგორც ირკვევა, მისი დამზადების ტექნოლოგია არ განსხვავდებოდა ზემოთ აღწერილი პროცესისაგან; ამგვარი ვარდისფერსარჩულიანი ჭურჭლების მისაღებად საჭირო იყო შიდა მხრიდან საგანგებოდ რკინის ქანგეულის შემცველი თიხით დაფარული პირფართო ნაკეთობის ლუმელში დამხობილად მოთავსება. პირდამხობილი ჭურჭლის გამოწვის შემდეგ ლუმელში საწვავი ნივთიერების შეტანით და ტემპერატურის თანდათანობითი შემცირების გზით აღმდგენელ გარემოში წარმოქმნილი ქვარტლი ჭურჭლის შიგნით ვერ აღწევდა, რის გამოც ქიმიური თუ ტექნოლოგიური ზეგავლენით ჭურჭლის ვარდისფერი სარჩული ფერს უკვე ვეღარ იცვლიდა და აღარც შავდებოდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი შავპრიალა ვარდისფერსარჩულიანი კერამიკა ამ პერიოდიდან მოკიდებული მხოლოდ შუაბრინჯაოს ხანამდე აღწევს; ჩარხის პირველი გამოჩენის ხანაში ვარდისფერი შიდაპირის მქონე ჭურჭლის დამზადების ტრადიცია უკვე სრულიად დავიწყებული ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ დროს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში შავპრიალა ჭურჭელი საერთოდ საყოველთაოდ გავრცელებულა და მომრავლებულა კიდეცა.

როგორც ირკვევა, „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურაში კერამიკული წარმოება ისეთ საფეხურზე ასულა, რომ ამ დროს ჭურჭლის გამოწვა ლუმელში იმგვარი პროცესების ჩატარება ხერხდებოდა, რის შედეგადაც ყოფაში კარგად სახმარი ნაირფეროვანი ან მონოქრომული, მაგრამ ყოველთვის კეთილხარისხოვანი თიხის ნაწარმი მიიღებოდა.

ასეთი პროცესებისათვის უთუოდ საკმაოდ მარტივი კონსტრუქციის მქონე კერამიკული ლუმელი გამოიყენებოდა.

1953 წელს დაღესტანში, მდ. კუბუ-ჩაის მარჯვენა ნაპირზე, სოფ. ველიკენ-ტის მახლობლად, აღმოჩნდა 3 მეტრის სიმაღლის მქონე ბორცვი, რომელიც შეიცავდა „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასია-

თებელ კერამიკას, წიდას და, რაც მთავარია, კერამიკულ ლუმელს. ეს უკანასკნელი 3.5 მ დიამეტრის მქონე მრგვალ ორმოს წარმოადგენს. მისი ძირი და კედლები ძლიერ გამოძწვარია. კედლები შერჩენილია 70 სმ სიმაღლემდე; ნაგებია რიყის ქვებით და ოთხივე მხრიდან შელესილია თიხით. ეს კედლები გამოყოფილია ორმოს სივრტიდან ვიწრო არხით, რომელიც ლუმელს გარშემო უვლის. ეს არხი სანახევროდ ნაცრით უნდა ყოფილიყო ამოვსებული. შემორჩენილი კედლების მიხედვით ჩანს, რომ მათი ზემო ნაწილი წნული ტოტებისაგან გაკეთებულ საყრდენზე მდგარა და თიხაშელესილი ქვებისაგან თალისებურად შეკრული ყოფილა. აქ ხის ნახშირთან და ნაცართან ერთად, სხვათა შორის (თიხის ბორბლის მოდელი, ქვისცულები), აღმოჩნდა თიხის ღია ფერის 11 ჭურჭელი, რომლის გამოწვაც, როგორც დადგინდა, 1200 — 1300°-ზე ხდებოდა.



სურ. 12.

არხის კედლები ერთიანად გამურულია და, ეტყობა, ჰაერის წვევისათვის გამოიყენებოდა.

ეს ერთიარუსიანი ლუმელი ემსგავსება დაახლოებით ამავე დროის ტრიპოლიეს კულტურაში წარმოდგენილ კერამიკულ ლუმელს. ამ სახის ლუმელში,

მიუხედავად ჰაერის წვევისა, აღმდგენელი აირის წარმოქმნისათვის უფრო ხელსაყრელი პირობები უნდა ყოფილიყო, ვიდრე ორიარუსიან კერამიკულ ლუმელებში, სადაც გამოსაწვავი კამერა ცალკეა გამოყოფილი.¹²

მართალია, „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ჯერ არსადაა აღმოჩენილი უფრო რთული კონსტრუქციის მქონე ორიარუსიანი ლუმელი, მაგრამ საწვავი და საცხობი განყოფილებების მქონე ლუმელი, სადაც ეს ორივე ნაწილი ერთიმეორისაგან მცირე საფეხურით არის გამოყოფილი, უკვე გამოვლენილია ახალციხის ამირანის გორის XXII ნაგებობაში (სურ. 7). როგორც ჩანს, სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენებული ლუმელის საცხობ განყოფილებას უთუოდ წნულ ტოტებზე შეყენებული თიხალესილი თაღოვანი გადახურვა ექნებოდა, რის შედეგად მის გვერდით მოქცეული საწვავი ქურისაგან წვეით გადმოსული ცეცხლის ალი მეორე განყოფილებაში კონცენტრულად იმოძრავებდა და აქ სათანადო ტემპერატურასაც შექმნიდა (ტემპერატურის არეკვლით აწევა).

ამ ორი მაგალითის საფუძველზე უკვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ცეცხლის რეგულაციის, მისი ტემპერატურისა და საჭირო აირის მიღების საკმაო გამოცდილება უკვე არსებობდა.

არაა გამორიცხული, რომ ამ საწარმოო გამოცდილების მიღება დაკავშირებულია ცეცხლის მრავალმხრივ გამოყენებასთან, რაც სხვადასხვა მეტალურგიული პროცესების ათვისებას უნდა მოჰყოლოდა. მართალია, როგორც ვარაუდობენ დაქანგული პოლიმეტალური მადნის პირველი გამოდნობა საოჯახო კერაში მიღებულ დაბალ 600—700°-მდე ასულ ტემპერატურაზედაც მოხერხდებოდა¹³, მაგრამ დიდი რაოდენობით მადნის ერთიანად გაოდნობისათვის უთუოდ საჭირო უნდა ყოფილიყო აღმდგენელი აირის შემქმნელი ორმო-ლუმელი. ასეთ ლუმელში ადვილად მიმდინარეობდა მადანთან ერთად საწვავი მასალის არასრული წვა და ლითონის ენგბადისაგან განთავისუფლება. რომლის დროსაც ლუმელის კედლებზე ჩნდებოდა ნახშირბადის ნაწილაკები მურასა და ქვარტლის სახით. ჩვენი ვარაუდით, ამ პროცესში ქვარტლის მიღებამ უთუოდ საფუძველი ჩაუყარა ახალი, უფრო ადვილი წესით კერამიკულ ლუმელში თიხის ნაკეთობათა ქვარტლით საგანგებოდ შებოღვას.

როგორც ცნობილია, ნატრისფრად შებოლილი კერამიკა გვიანნეოლითურ და უფრო ადრეულ კულტურაშიც ჩნდება, სადაც იგი სხვა, უფრო პრიმიტიული წესით მიიღებოდა¹⁴. „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ყველაზე ძველი კერამიკული ჯგუფი შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიან თიხის ქურქელს თითქმის არ შეიცავს. ყველაზე ადრეული კერამიკა ზედაპირის შავი შეფერილობით, ძლიერი გაპრიალებითა და ვარდისფერსარჩულიანობით კი არ

ხასიათდება, არამედ ძირითადად ნაცრისფერ-მურა, მოწაბლისფრო თიხის ნაწარმს წარმოადგენს (სურ. 10). აღსანიშნავია, რომ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ ასეთ ჭურჭელს ზოგჯერ რელიეფური სპირალური ორნამენტაცია აქვს და სტრატეგრაფიული მონაცემებით უადრეს კერამიკულ კომპლექსს ეკუთვნის (სურ. 10გ). სწორედ ამ უადრეს კერამიკულ ჯგუფში ჩნდება პირველად შევპრიალა თიხის ისეთი ნაწარმიც, რომელიც, ჩვენი ვარაუდით, „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში მეტა-ლურგიის საწყისების არსებობას გვანიშნებს.

1. ადრეული ბრინჯაოს კულტურის სამოსახლოები მტკვარისა და არაქსის ორმდინარეთში

ამ კულტურის სამოსახლოების სისტემატური შესწავლა მხოლოდ ამ ოციოდე წლის წინათ დაიწყო. გათხრების შედეგად თითქმის მთლიანადაა გამოვლენილი ქიულ-თეფეს, მინგეჩაურის, ბაბა-დერვიშის, თეთრწყაროს, ქვაცხელების, ოზნის, შენგავითის, გარნისის და სხვა სამოსახლოები. მიმდინარეობს გათხრები ელარის, გუდაბერტყას, ხიზანანთ გორის, ახალციხის ამირანის გორის, არგვეთისა და სხვ. ახლად აღმოჩენილ ნასახლარებზე. ამათ გარდა, დაზვერვების და მცირედი გათხრების საშუალებით შესწავლილია სხვადასხვა სახის სამოსახლოები და სადგომები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სამოსახლოების თავისებურებათა დადგენა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ირკვევა, რომ ამ კულტურის „პირველადი“ დასახლება ხდებოდა იმ ადგილებში, სადაც მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წარმოებისათვის ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები არსებობდა. ირკვევა, რომ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ტომები ზოგჯერ საცხოვრებლად ირჩევდნენ წარსულში დასახლებულ ძველ ადგილებს. ასეთია, მაგალითად, გეოი-თეფეს, იანიკ-თეფეს, ნახჭევანის ქიულ-თეფეს, ნაცარგორას სამოსახლოები. ძველი სადგომი ადგილების ხელმეორედ გამოყენების შემთხვევები გვხვდება აგრეთვე ზოგიერთ გამოქვაბულსა და ფარდულეებშიც. ასეთია შიდა ქართლში ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე წონას გამოქვაბული, რომელშიც ბევრად უფრო ძველი კულტურული ფენებიც აღმოჩნდა. იგივე ითქმის ჩრდილო კავკასიის ზოგიერთი ძველის მიმართ. და ბოლოს, აღსანიშნავია დასავლეთ საქართველოში, საგვარჯელეს გამოქვაბულში გათხრილი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ის ნაშთები, რომელნიც ენეოლითური ფენების ზემოთაა მოქცეუ-

ლი. მაგრამ, დასაშვებია ვარაუდი, რომ სწორედ ეს ნასახლარები ამ კულტურის შემქმნელი ტომების პირველად სამოსახლოებს არ წარმოადგენენ, ვინაიდან აღნიშნულ ადგილებში ენეოლითური კულტურის არქეოლოგიური მასალა თითქმის არ უკავშირდება „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს ხანის ძეგლებს.

ამავე თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს ხანის იმ მრავალრიცხოვანი სამოსახლოების შესწავლა. რომელნიც მანამდე სრულიად დაუსახლებელ ადგილებზე გაშენდნენ. აქ ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავებულ გეოკლიმატურ პირობებში (ზღვის დონიდან 300 — 2100 მეტრის სიმაღლემდე) წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის დასახლებები.

მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში, მის პლატოებზე, მთისძირა ზონებში, დიდ-პატარა ხეობებში, მდინარეთა ნაპირებზე. ტერასებზე, კონცხზე, მთის ფერდობებზე და შემადლებებზე, — ყველგან გვხვდება ადრევე დაუსახლებელ ადგილზე გამართული დიდი და პატარა სამოსახლოები. მათი სხვადასხვაგვარობა ძირითადად შეპირობებულა თვით საცხოვრებელი ადგილისა და შენობათა დაგეგმარების თავისებურებებით, დასახლების სიმჭიდროვითა და საკუთრივ სახლების აღნაგობით.

სრულიად სწორ, მოვაკებულ ადგილზე გამართული სამოსახლოები აღმოჩენილია აზერბაიჯანში (მინგიჩაური), საქართველოში (ბეთაშენთან, დიდ ახალსოფელში, კასპის მიდამოები, ხიზანაანთ გორა), სომხეთში (გარნისი, შრეშ-ბლური, ქიულ-თეფე); დაღესტანში (ველიკენტი, მამაი-კუტანი, კაიაკენტი) და სხვ.

ამავე პერიოდში უფრო ხშირად ჩნდება ისეთი ახლად დასახლებული სოფლები, რომლებიც მთის ფერდობებზე, შემადლებებზე, კონცხებზე ან კიდევ ბუნებრივად თუ ხელოვნურად გამოყოფილ ხევებს შორისაა მოქცეული. ასეთი სამოსახლარები მიკვლეულია საქართველოში (ზლუდერი, გუდაბერტყა. ქვაცხელები, ქულბაქევი, ამირანის გორა. „კენქიყრა“, „ზედა ვარძიის ბორცვი“. ოზნი. დაბლა-გომი და სხვ.), სომხეთსა (კიროვაკანი, სევანი, ელარი), დაღესტანში (გუნები) ჩრდილო კავკასიაში (მეშოკო, ხაჯოხი) და ა. შ.

ამ კულტურის სამოსახლოების არსებობის ხანგრძლივობასა და მათი თანდათანობითი ზრდის დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ ამ დასახლებისა და ბუნებრივი გარემოცვის ტოპოგრაფია (სურ. 6 — 8).

ცნობილია. რომ ვაკე ადგილებში ხელოვნურ ბორცვებს (თეფეს) თავდაცვითი თვალსაზრისით თანდათანობით ხელსაყრელი მდებარეობა ეძლევათ. აქ სხვადასხვა სამშენებლო პერიოდისადმი განკუთვნილი კულტურული ფენები

ერთიმეორეზე დროთა განმავლობაში წარმოქმნილა. რის შედეგად დასახლების ახალი დონე ძველთან შედარებით ნელ-ნელა ამალდა (ქიულ-თეფე, შულაგე-რი II, ქვაცხელები და სხვ.). ასეთ დასახლებას ზოგჯერ თავდაცვისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო აქვს (ასეთია, მაგალითად, კონცხზე, ხეობებს შორის მოქცეული ბეშთაშენის სამოსახლო). ამგვარი დასახლება მესამე მხრიდანაც ხელოვნურად გამოიყოფა ფართო და ღრმა თხრილით (მაგალითად, ქვაცხელები).

ვაკე ადგილებში სამოსახლოს სხვადასხვა უბანი ზოგჯერ ძირითადი დასახლებისაგან დაცილებულია და შემოზღუდული ადგილების გარეთაც გვხვდება (ქვაცხელები, თეთრწყარო). ხელოვნურ ბორცვებზე იშვიათად შეიმჩნევა საცხოვრებელი უბნების ტერასული განლაგება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ამ ძეგლებზე შედარებით უფრო ადვილად ხერხდება სხვადასხვა სამშენებლო პერიოდის დადგენა (გეოი-თეფე, ქვაცხელები, ქარაზი).

მთისძირა ზონაში ხშირია ხელსაყრელ გარემოში განლაგებული დასახლებანი, სადაც წყალთან ერთად თავდაცვისათვის შესაფერისი ბუნებრივი პირობებიც არსებობს. ასეთივე სამოსახლოები გვხვდება მთის შემადგენლობაზე ან მთის ქარაფების თავზე (კენჭიყრა, ზედავარძის ბორცვი), მთის ქედის დადაბლებულ განშტოებაზე (ნაცარგორა), ტერასებზე (ბაბა-დერევიში) და მთის კალთებზე (გუნები, ამირანის გორა, გუდაბერტყა, კიროვაკანი, ქულბაქევი და სხვ.).

ზოგჯერ სხვადასხვა სამშენებლო პერიოდისადმი განკუთვნილი კულტურული ფენები ერთიმეორისაგან მკვეთრად არაა გამოყოფილი და სახლებიც ერთიმეორის ქვეშ იშვიათადაა მოქცეული, ასეთ პირობებში სტრატეგრაფიული მონაცემების დადგენა ფრიალ ძნელდება. ამ სამოსახლოებზე უფრო მოსალოდნელია დასახლების ტერასული განლაგება (ამირანის გორა) და თავდაცვის ისეთი სისტემა, სადაც თხრილის მაგივრობას ქვისაგან (შენგავითი, კიროვაკანი, თეთრწყარო) ან ალიზისაგან (გუდაბერტყა) ნაგები კედელი ასრულებს.¹⁵ ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა თეთრწყაროს ნასახლარი. რომელიც გამაგრებული ყოფილა ქვის ზღუდეებით. არაა გამორიცხული, რომ ასეთი თავდაცვითი სისტემა ვრცელდებოდა სოფლის ცალკეულ მნიშვნელოვან უბნებზე. ერთიანი გალავნის მკაფიოდ გამოხატული კედლის ნაშთი აღმოჩენილა შენგავითის სამოსახლოზე, სადაც შემორჩენილი ქვის კედლის მიხედვით ირკვევა, რომ მისი სიგანე 2 მეტრსაც კი აღემატება.

ფაქტები მიგვიჩვენებენ, რომ წინა პერიოდში წესად მიღებული სოფლის ზღუდით ან თხრილით გამოყოფა ამხანადაც გრძელდება. სამწუხაროდ, ჯერ

კიდევ დაუდგენელია თავდაცვის ეს სისტემა, რომელიც დასახლების დასაწყისში თუ შემდეგ ხანაში იგებოდა — მეურნეობისა და, საერთოდ, ცხოვრების განსაზღვრულ პირობებში.

როგორც ირკვევა: „მტკვარ-არაქსის“ კულტურის დასახლებანი უმეტეს შემთხვევაში ხელოვნურად გაუმაგრებელ სოფლებს წარმოადგენდნენ, რომელთა სამოსახლოებიც ხელსაყრელ ადგილზე ჭვავ-ჭვავად განლაგებული საცხოვრებელი სახლებისაგან შედგებოდნენ. ამ სახლებს შორის არსებული ვიწრო თავისუფალი ადგილები თუმცა ერთ უბანს მეორისაგან გამოყოფდა (ქვაცხელები, ამირანის გორა), მაგრამ ასეთი გასასვლელები თანამედროვე სოფლისათვის ჩვეული ორღობის (ჭუჩის) მაგივრობას მინც ვერ გასწევდა.

შიდა ქართლის (ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა), სომხეთისა (შენგავითი, გარნისი, ელარი) და აზერბაიჯანის (ქიულ-თეფე) სამოსახლოებზე სოფლის ცენტრში ან მის რომელიმე უბანში აღმოჩენილი არ ყოფილა ისეთი შემოზღუდული ადგილი, რომელთაც შინაურ ცხოველთა სადგომად (ბოსელად) მივიჩნევდით. უშუალოდ ერთიმეორესთან ახლოს სახლების აშენების ტრადიციის გამო საქონლის (ნახირის) მოძრაობა სოფელში სრულიად გამორიცხულია; სამაგიეროდ ამ სოფლის ცალკეულ საცხოვრებელ სახლებში ან გარეთ — ტყეში მსხვილფეხა საქონლის დაბინავება ასეთ პირობებში სავსებით დასაშვებია.

დასახლების საერთო დაგეგმარებასთან დაკავშირებით უთუოდ საყურადღებოა სამეურნეო დანიშნულების ისეთი ნაგებობანი, რომლებიც საცხოვრებელი სახლის კომპლექსებში არ შედიან. მაგალითად, აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანსა (ბაბა-დერვიში) და საქართველოში (გუდაბერტყა) ზოგიერთ სამოსახლოზე ცალკეა გამოყოფილი ისეთი ადგილი, სადაც მარცვლის შესანახი ორმოების მთელი ჭვუფია. საგულისხმოა, რომ აზერბაიჯანში — ბაბა-დერვიშის სამოსახლოზე ისევე, როგორც შიდა ქართლის გუდაბერტყაზე, ეს ორმოები ბორცვის შუა ნაწილშია მოქცეული. აქ ერთ-ერთ ორმოში „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელ კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა ქვის ოთხკუთხოვანი მაღალი სვეტის (ფალოსის — „ვეშაპის“) ზედა ნატეხი.¹⁶ ამ ნატეხის ერთ მხარეს ამოკვეთილია სპირალური ხვეულებით მამაკაცის ასოს მსგავსი ნიშანი, რომელსაც მამალი დუგმისებური მოხაზულობა აქვს. შესაძლოა, რომ ამ ქვის სვეტს, რომელსაც მაგიური მნიშვნელობის სიმბოლური ნიშანი აქვს, ამ შემთხვევაში თემის საერთო საკუთრების დაცვის მნიშვნელობაც ჰქონდა.

მაგრამ ორმოების ასეთი შეჭვუფება გამონაკლისს შეადგენს, რადგან

„მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია სა-
მეურნეო დანიშნულების ორმოების ცალ-ცალკე და უშუალოდ სახლებთან
ახლოს გამართვა. ასეთი ორმოები აღმოჩენილია ქიულ-თეფეზე: ქვაცხელზე,
შენგავითში. ბეშთაშენში, ამირანის გორაზე და კიდევ სხვა მრავალ სამოსახ-
ლოზე. აღსანიშნავია, რომ სამეურნეო დანიშნულების ორმოები ჩნდება სოფ-
ლის გარეთ, სადაც საცხოვრებელი სახლები არ აღმოჩენილა და, სადაც ამ
ორმოების მოშლის შემდეგ ხდებოდა მიცვალებულთა დაკრძალვა (კიკეთი,
ძალინა).¹⁷

„მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის სოფლების ზრდის
ტენდენცია სხვადასხვა გარემოში სხვადასხვაგვარად იჩენს თავს; რომ არაფერი
ვთქვათ სოფლის დროგამოშვებით მიტოვების ხშირ შემთხვევებზე, აქ აღსანიშ-
ნავია დასახლებული ადგილის მრავალგზის გამოყენების ფაქტები; მაგალითად,
ნახჭევანის ქიულ-თეფეზე, ამ დროის ნივთიერი კულტურა, რომელიც ერთიან
სტრატეგრაფიულ ჭრილშია მოცემული, შეიცავს 8 მეტრზე მეტი სისქის მქონე
კულტურულ ფენას. და სულ მცირე 14 სამშენებლო პერიოდს. გეო-თეფეზე
ჩვენთვის საინტერესო კულტურის შემცველი ფენა 6 მეტრის სისქისაა. ნაკლე-
ბი კულტურული დაფენებებია ქვაცხელზე, სადაც 5 სამშენებლო პერიოდი
2 მეტრზე მეტი სისქის ფენაში ექცევა. მაგრამ, ცხადია, რომ სამშენებლო
პერიოდების რაოდენობა და, მით უფრო, კულტურული ფენების სიმძლავრე
სოფლის ზრდის ინტენსიობის ნამდვილ ვითარებას ყოველთვის ვერ გამოხატავს.

ამ თვალსაზრისით უფრო საგულისხმოა ისეთი გარემოება, როდესაც ძველის
ახალი საცხოვრებელი უბნებით შეცვლასთან ერთად ხდება საკუთრივ სოფლის
ტერიტორიის თანდათანობით გაფართოებაც. ამ დროს სოფლის პირველადი
დასახლების გარემო წარმოებს ახალი სამოსახლო ადგილები
ს ა თ ვ ი ს ე ბ ა . აქ ძველ უბნებთან ერთად ხდება ახალი საცხოვრებელი უბნების
წარმოქმნა (ქარაზის, ამირანის გორის, ქვაცხელზე და მრავალ სხვა სამო-
სახლოზე).

ზოგიერთ რაიონში ხშირია ახლად გამართული საცხოვრებელი უბნების
დაარსების ფაქტები, რაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად ედება ახალი
ს ა მ ო ს ა ხ ლ ო ს გა ჩ ე ნ ა ს და მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს თ ა ნ დ ა თ ა ნ ო -
ბ ი თ გა ნ ს ა ხ ლ ე ბ ა ს.¹⁸

სოფლის თანდათანობით გაზრდას კიდევ სხვა გარემოებაც ნათელყოფს.
ზოგჯერ სოფლის გარეუბანში არსებული სამაროვანი დროთა განმავლობაში
თანდათანობით დასახლების ფარგლებში ექცევა, საცხოვრებელი სახლები კი
უკვე ძველი სამარხების თავზე იმართება. მაგალითად. ამირანის გორაზე და









ქვაცხელებზე (სურ. 5. ტაბ. II). მაგრამ ხდებოდა პირუკუც, როცა მიცვალებულს სოფლისა და მის მეზობლად გამართულ საგვარეულო სასაფლაოზე კი არ კრძალავდნენ, არამედ ძველ მიტოვებულ საცხოვრებელ ადგილას. ასეთია ახალციხის ამირანის გორის სამოსახლოს ერთ-ერთი უბანი, სადაც ძველი სახლების ზემოთ უფრო გვიანდელი დროის სამარხებია აღმოჩენილი.¹⁹

ზემოთ თქმულთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ შესწავლილი სამოსახლოების ერთი ჯგუფი საკმაოდ მოზრდილ დასახლებას წარმოადგენს. ამით შორის განსაკუთრებით დიდია შენგავითის ნამოსახლარი, რომელიც 6 ჰექტარზეა გავრცელებული; უფრო ნაკლებია ახალციხის ამირანის გორა, რომლის სამოსახლო, სასაფლაო და ცალკე გამოყოფილი სამლოცველო ერთიანად 4 ჰექტარ ფართობს იკავებს. მაგრამ როგორც ჩანს, „მტკვარ-არაქისი“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელია პატარა სოფლები, მათი ფართობი ჩვეულებრივ 1 ჰექტარს არ აღემატება, მკვიდრთა სამეურნეო საქმიანობაც შედარებით მცირე ტერიტორიულ ფარგლებშია მოქცეული (ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, გულაბერტყა, ოზნი, ბაბა-დერვიში, მინგეჩაური და სხვა).

2. მტკვრისა და არაქისის ორმდინარეთში აღმოჩენილი სასომკრავალი სახლებისა და სხვა საყოფაცხოვრებო საშაურანო ნაგებობათა მოკლე დახასიათება

ადრეული ბრინჯაოს კულტურაში სხვადასხვა ტიპის ნაგებობები გვხვდება. მტკვრისა და არაქისის ორმდინარეთში გავრცელებულია ნახევრად მიწური და მიწისზედა შენობები (სურ. 4. 21). პირველ ჯგუფში შედის მინგეჩაურის სამოსახლოს (აზერბაიჯანში) გრძელი მიწური სახლები, რომელთა გადახურვა დედაბოძებს ემყარება.²⁰ ამას გარდა, აღსანიშნავია მიწაში სანახევროდ ჩასმული ქვის ნაგებობები, რომელთა ნაირსახეობა გავრცელებულია აღმოსავლეთ ანატოლიაში (ქარაზი), მესხეთში (ახალციხის ამირანის გორა), ჭავჭავთსა (ახალქალაქის ამირანის გორა, ღუმელიას ნასოფლარი²¹) და დაღესტანში (გუნიბის სამოსახლო).²²

მიწისზედა ნაგებობათა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია კონუსური მოყვანილობის ქოჩისებრი მსუბუქი საცხოვრებელი სახლები, რომელთა ნაშთები მხოლოდ იატაკის, კერისა და მათ გარშემო შემოწყობილი ქვების სახითაა ჩვენს დრომდე მოღწეული. ასეთი მსუბუქი (ეგებ ღროებითი) ნაგებობის ნაშთები აღმოჩენილია საქართველოსა (ბეშთაშენის კერა, ოზნი, დიდი ახალისოფლის სამოსახლო; ხიზანანთ გორა, ქვაცხელები,



ქულბაქევი) და ჩრდილო კავკასიაში (ლუგოვოე). ამგვარი ნაგებობებისაგან არსებული რამდენიმე სამოსახლო მდებარეობს მტკვრის ხეობის გაშლილ ნაწილში (ხიზანანთ გორა, ქვაცხელები, დიდ ახალისოფელი), მთის ძირა ზოლში (ქულბაქევი, ლუგოვოე) და მაღალმთიან რაიონებში (ბეშთაშენი, ოზნი).²³

თუმცა აქ არ აღმოჩენილა დიდ ფართობზე ერთიმეორის გვერდით ერთ დონეზე მდგარი სხვადასხვა შენობის ნაშთები და ტრიპოლიეს კულტურისათვის დამახასიათებელი თიხის იატაკის ერთიანი მოედნები, მაგრამ ხშირია იატაკში ჩასმულ კერებთან ერთად გადასატანი კერების არსებობის ფაქტები (ოზნი, ქულბაქევი, ლუგოვოე). ამ უკანასკნელი გარემოების გამო დასაშვებია ის ვარაუდი, რომ ტრიპოლიეს კულტურაში დადგენილი ვითარების მსგავსად აქაც საქმე უნდა გვექონდეს დროებით სადგომებთან, რომელთა მიხედვით განსაზღვრის დადგენის შესაძლებლობა მოგვეცემა. მდგრად და შედარებით უკეთ დაცული მიწისზედა ნაგებობების ჭგუფში შედის აგრეთვე ქვის საძირკველზე ან პირდაპირ სამოსახლოს ზედაპირზე გამართული ისეთი სახლები, რომელთა კედლების ასაგებად ხე, თიხა-ალიზი და აგური გამოიყენებოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სომხეთის (შენგავითი): ანატოლიის (მალაკლიუ), აზერბაიჯანისა (ქიულ-თეფე) და საქართველოს (ქვაცხელები) ზოგიერთ ნასახლარზე გამოყენებულია ჩვეულებრივი სწორკუთხოვანი ალიზის აგურები, რომელთა სტანდარტული ზომაა $44-42 \times 22$; $18 \times 12 = 10$ სმ. აქვეა უფრო დიდი ზომის აგურებიც ($50 \times 24 \times 10$ სმ). ამის გარდა. ზოგიერთი შენობის მომრგვალებულ კუთხეებში ჩატანებულია საგანგებო ფორმის ლეკალური მოყვანილობის აგური (ქვაცხელები).

ამ კულტურაში ნაგებობათა ასაგებად არჩევდნენ მხოლოდ ადგილობრივად არსებულ სხვადასხვა სამშენებლო მასალას. მაგალითად, სომხეთში აღმოჩენილია ისეთი მიწისზედა სახლები. რომლებიც მთლიანად მხოლოდ ქვისაგანაა ნაშენი (შენგავითი, ქოსიკოტერი)²⁴. სხვა შემთხვევაში, მაგალითად, ტყიან ლანდშაფტში, ქვის საძირკველზე იგება კედლის ქვის კარკასზე — სარებზე დამაგრებული ლასტი. იდგმება საყრდენი სვეტები და თიხით ილესება იატაკი და კედლები (ქვაცხელები; ხიზანანთ გორა, გუდაბერტყა და სხვ.)²⁵. შენობის კედლების ასაგებად ზოგჯერ ისეთ ხერხებს იყენებდნენ, რომ კედლები სხვადასხვა მასალით შენდებოდა. ასე. მაგალითად, ქვით ნაგები ნახევრადმიწურიანი სახლების კედლების ქვედა ნაწილი ერთი ან ორ რიგად ნაწყობი ქვისაგანაა შემდგარი. ზედა კი თიხა-ალიზიანი წყობით ან ლასტისებური შელესილობით სრულდებოდა (ქიულ-თეფე, შენგავითი, ქვაცხელები, ახალციხისა და ახალქალაქის ამირანის გორები).

როგორც ირკვევა, სახლების მშენებლობისას მხოლოდ საჭირო მასალის შერჩევას გადაწყვეტი მნიშვნელობა არა ჰქონია, ვინაიდან მშენებლობის დაწყებამდე სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით კიდევ სხვა წინასწარი სამუშაოების ჩატარებაც ხდებოდა. მაგალითად, ასეთია სამშენებლო მოედნის შექმნა. დაქანებული რელიეფის პირობებში კი მიწის ჩამოქრა ტერასულად (გუნები, ამირანის გორა და სხვ.). სხვა შემთხვევაში უკვე მოსწორებულ ადგილას თიხალესილ ნაგებობის საძირკვლად ჩვეულებრივ მხოლოდ რიყის ქვის და კენჭების ჩაყრა (შენგავითი და ქვაცხელები).

ერთი სიტყვით, მშენებლობის ხერხების მრავალსახეობასთან ერთად „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე აშკარად ჩანს ერთი და იგივე წარმოებითი ჩვევების არსებობა. ამ მხრივ უთუოდ საგულისხმოა. რომ ყველა გათხრილ სამოსახლოზე გადახურვის კონსტრუქციული გადაწყვეტა თუმცა ძირითადად მაინც სახლის აღნაგობას, მის სიდიდესა და მოყვანილობას ექვემდებარება, მაგრამ მიუხედავად ამისა, როდესაც ბანური ან კონუსური გადახურვაა, საყრდენად ყოველთვის გამოყენებულია ცენტრალური კერის უკან მოქცეული ხის დედაბოძი (ქვაცხელები. გუდაბერტყა. შენგავითი, ქიულ-თეფე და სხვ.). ეს უკანასკნელი გარემოება, ვფიქრობთ, ისეთი ფაქტია, რომლის საფუძველზე შესაძლოა დავინახოთ „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურაში გავრცელებული მრავალსაუკუნოვანი მშენებლობის უძველესი ტრადიცია.

ამავე თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მრგვალი საცხოვრებელი სახლები საყოველთაოდ გავრცელებულია „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს პერიოდში. ნიშანდობლივია, რომ ჭერ კიდევ ბ. კუფტინმა ამ კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ თუ განმსაზღვრელ ნიშნად მრგვალი სახლები მიიჩნია. მრგვალი სახლები არ გვხვდება ჭერჭერობით აღმოსავლეთ ანატოლიასა და მესხეთ-ჯავახეთში, თუმცა გამორიცხული არაა. რომ ამ ტიპის უძველესი სახლები სწორედ აქ არსებულიყო.

ამ კულტურის სხვადასხვა ან ერთი და იმავე სამოსახლოზე აღმოჩენილი მრგვალი სახლები ერთიმეორისაგან ხშირად საკმაოდ განსხვავებულია თავისი აღნაგობით, სიდიდითა და შინაგანი მოწყობილობით. ამიტომ მათი საერთო ნიშანთვისებების მოკლედ და ერთიანად დახასიათება ჩვენ ჭერჭერობით გაგვიჭირდება, მხოლოდ საგანგებოდ შევჩერდებით მათ ცალკეულ ძირითად თავისებურებებზე (სურ. 4).

ყველაზე მარტივი მიწისზედა მრგვალი ნაგებობებია. ერთოთახიანი

ს ა ც ხ ო ვ რ ე ბ ე ლ ი ს ა ხ ლ ე ბ ი. რომლებიც ნახჭევანის, ქიულ-თეფეს, იანიკ-თეფეს, ელარის, ქოსიკოტერისა და თეთრწყაროს სამოსახლოებზეა აღმოჩენილი. აქ იგულისხმება ყოველთვის განცალკევებით მდგარი მრგვალი ერთოთახიანი სახლები, რომელთა დიამეტრი 4,5 მეტრიდან 8 მეტრამდე აღწევს; ხოლო კედლის სისქე მეტწილად 0,5 მეტრზე ნაკლები არ არის. ნახჭევანის ქიულ-თეფეს ასეთი განცალკევებით მდგარი ნაგებობის შიდასივრცე ზოგჯერ ტიხართაა გაყოფილი და ამათგან თიხით შეღესილია იატაკის მხოლოდ ერთი ნაწილი. ასეთი არათანასწორი ფართობებით დანაწევრებულ მრგვალ სახლებში კერას ცენტრალური ადგილი არ ეთმობა. ეს შენობის იმ ნაწილშია მოთავსებული. სადაც 1 მეტრის სიგანის შესასვლელია გაჭრილი. ერთი მთლიანი საცხოვრებელი სახლის იატაკის შუაგულში ჩასმული კერის ახლოს ხშირად მოიპოვება დედაბოძის ბრტყელი ქვის „ბალიში“ ან სვეტის ჩასასმელი ორმო. ზოგჯერ პირდაპირ კედელთან მიდგმულია თიხისაგან ნაგები საკმაოდ რთული კონსტრუქციის ღუმელიც.

უფრო მნიშვნელოვანია თავისი აღნაგობით იმ ტიპის მრგვალი საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც უკავშირდება დამატებითი სათავსოები. ასეთი სათავსო ხშირად ერთზე მეტია და გეგმაში სწორკუთხა ნაგებობის ფორმა აქვს (სურ. 4). „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში ასეთი მრგვალი სახლები აღმოჩენილია შენგავითის, გარნისის, ქიულ-თეფეს და სხვა სამოსახლოებზე. შენგავითში საკუთრივ მრგვალი საცხოვრებელი სახლის ერთ კედელში თითქმის ყოველთვის გაჭრილია შესასვლელი, რომელსაც ზღურბლი და საფეხურები აქვს. შენობაში, რომლის დიამეტრი 6 — 7 მეტრს აღწევს, იატაკად კონცენტრული წრეების სახით დაგებულია პატარა კენჭები. რომლებიც დაფარულია ნალესი თიხით ან ალიზის აგურებით. შენგავითში ასეთ სახლებში ხშირია იატაკზე მდგარი საგანგებოდ გამოძერწილი და კარგად გამომწვარი დიდი თიხის მრგვალი კერა. რაც შეეხება მრგვალ შენობასთან დაკავშირებულ სწორკუთხა, შედარებით ვიწრო ნაგებობებს, მათი დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. ვარაუდობენ, რომ მათი პირველი მნიშვნელობა სამეურნეო ხასიათისა უნდა ყოფილიყო, რადგან აქ საყოფაცხოვრებო ნივთები თითქმის არ ჩნდება და არც თიხალესილი იატაკი გააჩნია. ზოგიერთ ნასახლარზე ასეთი სათავსოს სიგრძე 9 მეტრს აღწევს, სიგანე კი 4 მეტრს.

შეიძლება მიწისზედა ნაგებობათა რიგს მიეკუთვნოს ოვალური და ოთხკუთხედი მოყვანილობის სახლებიც (სურ. 5, ტაბ. 12). ოვალური შენობა უთუოდ შუალედური ტიპისაა, რადგან კონსტრუქციულად ეს ტიპი მრგვალსა და ოთხკუთხ ნაგებობას შორის ექცევა. გულაბერტყაზე ასეთი

ნაგებობა ზოგჯერ განცალკევებულად მდგარ შენობას წარმოადგენს და სარ-
ლასტზე ორპირადაყვანილ კედლებს შეიცავს. საგულისხმოა, რომ იმავე
ნასახლარზე ერთ-ერთ ასეთ შენობას ორივე მხრიდან აბსიდები ჰქონდა.
ასეთივე აბსიდისებური კედელი გააჩნდა ერთ-ერთ ნაგებობას, რომელიც
თეთრწყაროს ნასახლარზე გაითხარა.

მრგვალი და სწორკუთხა ნაგებობათა შერწყმის ანარეკლია, ან კიდევ,
შესაძლოა, ერთიდან მეორე ტიპის ნაგებობაში გადასვლის გამომხატველია
შიდა ქართლის ნამოსახლარებზე (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ხიზანანთ გორა
და სხვ.) წარმოდგენილი მოგრძო საცხოვრებელი სახლები, რომლებსაც
შენობის ორ ნაწილადობა და კედლის კუთხების მომრგვალება ახასიათებს.

ასეთი საცხოვრებელი სახლებისგანაა შემდგარი ქვაცხელების ნამოსახლა-
რი, რომელიც მჭიდრო განლაგებით ხასიათდება. აქ ოდნავ დაფერდებულ
ფართობზე, სადაც მაინც შეიმჩნევა ნამოსახლარის ტერასული დაგეგმარება,
სახლების ურთიერთმდებარეობა სხვადასხვანაირია: შენობები მოქცეულია ან
ერთიმეორის უკან, ან პირისპირ, ან კიდევ უშუალოდ — ერთიმეორის გვერდით.

საგანგებოდაა აღსანიშნავი ის გარემოება, რომ სამშენებლო ტექნიკაში
მთელი რიგი სიახლენი სწორედ ამ ნამოსახლარზე შეიმჩნევა. ასე, მაგალითად,
ალიზის წყობა აქ ყოველთვის გადაბმულია. გარდა ამისა, შესამჩნევია არა მარ-
ტო თიხის. არამედ კირის ხსნარის გამოყენების ნიშნებიც.
როგორც ჩანს, ამ ტიპის საცხოვრებელ შენობას უკვე განვლილი აქვს განვითარ-
ების ხანგრძლივი გზა. მაგალითად, ქვაცხელებზე ერთ-ერთი ასეთი ტიპიური
ნაგებობა (ნაგებობა № 3) შედგებოდა სიგანეზე დაგრძელებული ოთხკუთხა
მომრგვალებულკუთხეებიანი ოთახისა (4,40×5,60 მ) და ფასადზე, კარის დასაყ-
ლეთით მიდგმული პატარა ოთხკუთხა სათავეს ოსაგან (2,55×
1,60 მ).²⁶ ამ ნაგებობაში სარ-ლასტისაგან შემდგარი ორმხრივ შელესილი იყო
მხოლოდ ერთი კედელი და საფიქრებელია, რომ დანარჩენი კედლები ნაწი-
ლობრივ მაინც მიწაში უნდა მჯდარიყო. აქაც, მსგავსად შენგავითის სახლისა,
შესასვლელში ჩასმული იყო ზღურბლის ქვა, ხოლო შიგნით ოთახში გაკეთე-
ბული იყო ნახევრადწრიული მოყვანილობის თიხით შელესილი დაბალი საფე-
ხური. ამ შესასვლელის (მისი სიმაღლე 2,50 მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფი-
ლიყო) პირდაპირ, დედა ბოძისათვის ამოღებულ ორმოს წინ, შელესილ იატაკში
მოთავსებული იყო ოთხშვერილიანი ჩვეულებრივი ტიპის
კერა (ტაბ. III 1,2).

როგორც ირკვევა, მინაშენის იატაკი მხოლოდ მომცრო ზომის რიყის
ქვებით იყო მოკირწყლული და თიხით შელესილი. არ უნდა ყოფილიყო. ამ

დამატებით სათავსოში ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა ხმარებისაგან ძლიერ გახეხილი ხელსაფქვავის ქვა, სანაყი და სახრენი ქვები.

სხვა, მსგავს საცხოვრებელ შენობებში სახლისუკანა კედლის გასწვრივ გამართულია დაბალი შემადღება, სადაც აწყვია თიხის ჭურჭელი, იარალი და ე. წ. ნაცარგროვები, რომლებიც თიხით მოლესილ წითელ-ზედაპირთან ნახევარბირთვებს ემსგავსება.

დერეფნის შემკველ შენობაში ამ დამატებითი ნაწილის იატაკი ოთახის იატაკთან შედარებით ჩვეულებრივ უფრო დაბლა მდებარეობს. სადაც სხვადასხვა სამეურნეო ხელსაწყოთა ახლოს, შუა ნაწილში კედლის ფილებსა და ხელსაფქვავის ქვებისაგან გამართული ოვალური მოყვანილობის კერა ნაცრით იყო სავსე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი შენობის ფსადის წინა მოედანიც მოკირწყული იყო წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, რომლის ქვეშაც დაფენილი იყო უფრო მოზრდილი ქვები. ამ მოედანზე შენობის გარეთა კუთხესთან ერთ ჯგუფად ჩნდება ჭურჭლის ნატეხები და მსხვილფეხა ცხოველის ძვლები.

ერთი სიტყვით, შიდა ქართლის მიწისზედა ამ ტიპის ნაგებობები მრავალმხრივად საყურადღებო, რადგან მათი სახით ადგილობრივ კულტურისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი სახლის — დარბაზული შენობის — უახლოესი პროტოტიპი ისახება. თავის მხრივ არაა გამორიცხული. რომ ეს სახლი არქაულ მეგარონსაც უნდა უკავშირდებოდეს, რომელთა გავრცელების ტერიტორია ძირითადად დასავლეთ წინა აზიის ფარგლებში ექცევა.

ამრიგად, „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელ ნამოსახლარებზე გვხვდება მიწურები, ნახევრადმიწურები და მიწისზედა ნაგებობები. გეოგრაფიული თუ სოციალურ-ეკონომიური პირობების შესაბამისად ცალკეულ ლოკალურ კულტურის ფარგლებში თანაარსებობენ სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი სახლებიც, რომელთა დიდ უმეტესობას უკვე დამატებითი დამხმარე სათავსოები და დერეფნები გააჩნიათ; ცხადია, რომ ეს სიანლე ერთგვარად უპასუხებს იმ გაზრდილ მოთხოვნილებას, რომელიც ცხოვრების ახალ პირობებს უნდა მოჰყოლოდა და ხელს უწყობს „პატარა“ ოჯახის მეურნეობის განვითარებას.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ტიპის საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ცალკე თავისი მარაგი გააჩნდა, გვარისაგან გამოყოფილ პატარა თუ „მონოგამურ“ ოჯახს მიეკუთვნებოდა, ამ ოჯახის დოვლათი ყოველთვის გამოუყოფელია საცხოვრებელი სახლისაგან. ამიტომაცაა, რომ ამ კულტურის ტიპიურ ძეგლებზე სარჩოს შესანახი ხარო ან ნახევრად მიწაში ჩასმული თიხის დერგი ძირითადად მაინც ცალკეულ სახლში ან უშუალოდ მის

გვერდით ჩნდება, რომელიც გამოიყენება მიწათმოქმედების პროდუქტების და ნაწილობრივ მესაქონლეობის ნაწარმის შესანახად. რაც შეეხება საქონლის მოვლა-პატრონობასა და მის შენახვას, ყოველივე ეს — გვარის თუ თემის საერთო ღონისძიებების მეშვეობით ხორციელდებოდა.

„მონოგამური“ ოჯახისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლის მრავალ-მხრივი ფუნქციები იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ამ პერიოდში ყოფა და კულტი ყველაზე მეტად ორგანულად ურთიერთდაკავშირებულია სწორედ ასეთი სახლის კომპლექსში. ამ კომპლექსებში შედის კერა (ტაბ. III), საკულტო-სარიტუალო შესაწირავი ნივთები და მრავალი ნივთიერი ძეგლი. რომელთა მიხედვით აშკარაა, რომ ადრეულ ბრინჯაოს ხანაში სამეურნეო და სულიერი ცხოვრება ურთიერთისაგან განუყოფელია. ამის ერთ-ერთ საუკეთესო ილუსტრაციას იძლევა ისევ გუდაბერტყას და ქვაცხელებზე აღმოჩენილი ხანძრისაგან გადამწვარი სახლები. ამ დროის საოჯახო-სამეურნეო ცხოვრების ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს ის სარწმუნოებრივი წეს-ჩვეულებანი, რომელთა კვალი ამ ნამოსახლარზე ყველაზე თვალსაჩინოდ ნახანძრალ ფენაშია შემონახული. გუდაბერტყაზე დარბაზული ტიპის ნაგებობას ესაზღვრება დერეფანი და ნახევრად ოვალური ფორმის შენობა²⁷. ამ კომპლექსის ნაგებობათა კედლებზე შემონახულია სამი ფერით შესრულებული ფრესკული მოხატულობა მარტივი ფრიზების სახით. ეს კედლები, როგორც ჩანს, რამდენჯერმეა მოხატული სოლისებური ხაზებითა და ნიშნებით, რაც მეტად სადღესასწაულო იერს აძლევს ამ თავისებურ ნაგებობას. აქვეა აღმოჩენილი თიხისაგან გამოძერწილი ქანდაკებები: მამაკაცის კერპი, ძაღლი, ხარი და ცხვარი. ისეთივე ქანდაკებათა სხვა ჯგუფია ამავე ნამოსახლარის ნაგებობათა მეორე კომპლექსში, სადაც მათთან ერთად უთუოდ შეწირულია სპილენძის პატარა ზოდი, ფიქალი ქვისაგან გამოყვანილი დისკოსებური ბრტყელი მძივები, რომელთა შიგნით ჩასმულია სპილენძის მრგვალი მძივებიც. აღსანიშნავია, რომ ასეთი სახლების ინვენტარში შედის სარიტუალო დანიშნულების მქონე „ნიღბების“ შემორჩენილი ნაწილები, საგანგებოდ დამუშავებული ჭიხვისა და ხარის რქის მორჩების სახით. თიხის იატაკის შელესილობის ქვეშ აღმოჩნდა პურეულის მარცვლების სქელი ფენა.

შეწირულობის შთაბეჭდილებას ტოვებს ქვაცხელების ნამოსახლარზე შენობათა საძირკველში ჩაყოლებული რქოსანი მსხვილფეხა ცხოველთა თავ-ფეხი და მსხვერპლად მიტანილი ირემი, რომლის სრული ჩონჩხიც ერთ-ერთ შენობაში აღმოჩნდა.

საცხოვრებელი ოთახის განსაკუთრებულ ადგილს წარმოადგენდა არა მარტო კერა — „შუა ცეცხლი“, არამედ უკანა კედლის გასწვრივ გამართული შემადღება; მასზე წმინდა ნაცრისაგან გაუკეთებით და წითლად შეუღებათ თიხის შეღესილი ნახევარბირთვისებური „ზესადგრები“, რომლებზედაც ზოგჯერ თიხის ქურქლის ზედა ნაწილებს დგამდნენ. მათ ირგვლივ დალაგებულია სამიწათმოქმედო იარაღი, ქურქელი, ფალოსის მსგავსი ქეები, გადასატანი კერები, შეწირულობის დროს დანთებული ცეცხლის ნაშთით, სადაც ნაცარი სწორედ ზემოთ ხსენებულ ნაცარგროვებს ჰქმნიდა.

ყოველივე ზემოთ ხსენებული ბუნების განაყოფიერებული ძალების თაყვანისცემისა და ოჯახის კეთილდღეობის რიტუალის გამოხატულებას წარმოადგენს.

„მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურის განვითარების ადრეული საფეხურიდან ამ რიტუალში გამანაყოფიერებელ ძალად ძირითადად ქალი კი არა. მამაკაცია მიჩნეული (სურ. 8. ტაბ. III). ამის საუკეთესო გამოხატულებაა ამ კულტურის გავრცელების თითქმის მთელ ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი ე. წ. ნალისებური ზესადგრები (სურ. მ₁,2). ასეთი ზესადგრების დიდი უმეტესობა არ შეიცავს იმ ძირითად ნიშნებს, რომელთა მიხედვით შესაძლებელია მათი თავდაპირველი მნიშვნელობის თუ შინაარსის გარკვევა. მხოლოდ ნაკლებად სტილიზებული, აშკარად ანთროპომორფული ზესადგრების მიხედვით ჩანს, რომ ყველა ასეთი ნაკეთობა ფაქტიურად განაყოფიერების რიტუალს გადმოგვცემს, რაც იმ პერიოდში საცხოვრებელ სახლში კერასთან სრულდება. ეს რიტუალი, როგორც ირკვევა, კერაზე ფეხებგაშლილ მდგომარეობაში მჭდომ მამაკაცის მიერ ხორციელდებოდა, საინტერესოა, რომ ამ ზესადგრებზე გამოყვანილია ყველა ის აუცილებელი ატრიბუტი, რაც ოჯახის მესვეურს — პატრიარქს — უკვე ნამდვილ კერპად წარმოგვიდგენს. აქ, წელს ქვემოთ, ქვემო კიდურებს შორის, მოქცეულია ფალოსი და მამაკაცის სახე, რომელზედაც ხშირად რელიეფურად გამოყვანილია ცხვირი. თვალები და პირი კი მრგვალი ნახვრეტებითაა გადმოცემული. ამ კერპების თავი სრულდება ბრტყელი დისკოთი, რომელიც ხშირად დაქანებულია და თასისებურადაა შეღრმავებული. სხვა ზესადგრებზე შეიმჩნევა თმის განსაკუთრებული ვარცხნილობა. რომელიც სუმერულ სტილზეა და კეფაზე ნაწნავით სრულდება. ყველაზე არსებითია ის, რომ ამ ანთროპომორფულ ცალებზე ხარის რქებიცაა გამოყვანილი, რაც აშკარას ხდის განსახიერებელი რიტუალის კავშირს ბუნების განაყოფიერებისთანა.


ასეთი ზესადგრების გვერდით მრავლადაა ამავე ტიპის უფრო სტილიზებული ზესადგრები, რომელთა ცენტრალურ ადგილას ადამიანის სახის ნაცვლად ვერტიკალურად გამოყვანილია ფალოსი.

ზემოთ აღწერილი ანთროპომორფული ზესადგრების ყველაზე მრავალსახოვან ჯგუფს ახალციხის ამირანის გორა გვაძლევს (ტაბ. III₆). დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ასეთივე. ოღონდ უფრო მეტად სტილიზებული ზესადგრები ქიულ-თეფეს მეორე ფენაში. სადაც, სხვათა შორის, ერთი ცალი ახალციხის მთვარისათუ ცულის მსგავს რელიეფურ ნიშანს შეიცავს (სურ. 8₁).²⁸ აღნიშნული სახის ზესადგრები „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში ფართოდაა გავრცელებული.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის საცხოვრებელი სახლისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის თიხის კერები (ტაბ. III). მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა თიხის შვერილებიან კერას, რომელთა ერთ-ერთი სახეობა აღმოსავლეთ ანატოლიაშია (ქარაზი) წარმოდგენილი (ტაბ. III₂). ეს კერა სხვა შვერილებიანი კერებისაგან განსხვავებით აშკარად გამოხატავს მის საკულტო-სარიტუალო დანიშნულებას. ქარაზის კერის პირს ზემოთ ამოწეული შვერილები ვერძის რქებითაა შემკული და ნაკლებად გამოსადეგია პრაქტიკული გამოყენებისათვის. ეს კერები სომხეთისა (შენგავითი) და საქართველოს (ქვაცხელები) ზოგიერთ სამოსახლოზე აღმოჩენილ ასევე მალა აწეულ სადა შვერილების მქონე კერებს ემსგავსება (ტაბ. III_{1,5})²⁹.

ჩვენ მიერ საგანგებოდ მოხსენებული შვერილიანი კერები ეკუთვნის იმ სამი თუ ოთხი შვერილის შემკველი კერების დიდ ჯგუფს, რომლის გავრცელების არე საკუთრივ მტკვარ-არაქსის აუზს არ სცილდება. აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ კულტურისათვის უფრო დამახასიათებელია სადა უშვერილო და (ტაბ. III₃) შვერილიანი მრგვალი კერების თანაარსებობა. ორივე ტიპის კერები აღმოჩენილია თეთრწყაროს. ხიზანანთ გორას. ამირანის გორას და სხვა სამოსახლოებზე, რაც უთუოდ მოწმობს სხვადასხვა მცირე ლოკალურ კულტურულ წრეში გავრცელებული ერთმანეთისაგან განსხვავებული პრაქტიკული დანიშნულების მქონე კერების ერთდროულ გამოყენებას.

მრგვალი, სადა, უშვერილო თიხის კერები, ისევე, როგორც შვერილიანი, თავს იჩენენ მრგვალსა და ოთხკუთხა მოყვანილობის საცხოვრებელ სახლებში. ასეთი მრგვალი კერების გამოყენება მტკვარ-არაქსის ორმდინარეთში დადასტურებულია უფრო ადრეულ ხანაშიც, მაგრამ აღნიშნულ კულტურაში მათი ერთი ნაწილი უკვე სახეშეცვლილია. იატაკში ჩასმული ასე-



სურ. 14.

თი კერები ფორმითა და სიდიდით თითქოს ყველა ერთნაირია, მაგრამ ზოგჯერ მათ თან ახლავთ თიხის ისეთი შელესილობა. რომლითაც მრგვალი კერის ადგილი იატაკს მკვეთრად გამოეყოფა. ასეთი დამატებითი ნაწილი რამდენიმე შემთხვევაში (ახალციხის ამირანის გორა, ოზნი, ლუგოვოე, ქარაზი და სხვ.) უკვე საგანგებოდ გამოძერწილი და გამომწვარი ფილებისაგან შედგება. ერთ-ერთ ასეთ ფილაზე რელიეფურად გამოძერწილია გაზაფხულის, ანუ ბუნების აღორძინების სიმბოლო — სიკეთის მომტანი მფრინავი წეროს გამოსახულება. მრგვალი კერებისაგან სრულიად განსხვავებულია ახალციხის ამირანის გორის ერთ-ერთ სახლში აღმოჩენილი დიდი ბრტყელი კერა, რომელიც დიდად ემსგავსება სამხრეთ მესოპოტამიაში და შუა აზიაში ძვ. წ. III ათასწლეულში ფართოდ გავრცელებულ სარიტუალო დანიშნულების მქონე კერებს (ტაბ. III₄)³⁰. დანარჩენი მრგვალი და შვერილიანი კერები კი იშვიათად, მაგრამ მაინც შეიცავენ მაგიური მნიშვნელობის მქონე ნახევარმთვარი-

სებურ ნიშნებს, რომელთა გამოსახულებაც უფრო ხშირად ამავე კულტურის თიხას სხვა ნაკეთობებზე გვხვდება (სურ. 15ა, 15).

დაბოლოს აღსანიშნავია, რომ ყველგან საცხოვრებელ სახლებში დიდატარა ზომის გადასატან კერებთან ერთად ჩნდება მინიატურული ნაკეთობანი, რომლებიც კერის (ტაბ. IIIs), ზესადგარისა და მასზე მოთავსებული თიხის ქურკლის მოდელებს წარმოადგენენ. ამ იმიტაციების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის სამოსახლოებზე საცხოვრებელ სახლებში აღმოჩენილ კერებსა და ზესადგრებს თითქმის ყოველთვის პრაქტიკული და რიტუალური დანიშნულება ჰქონიათ.

8. სამაროვნები, სამარხთა ტიპები და ლაპარაკალვის წესები

განხილული კულტურის კომპლექსურად წარმოდგენილი ძეგლები — სამოსახლოები და სამაროვნები, რომლებიც მეტ-ნაკლებად უკვე შესწავლილია, ტერიტორიულად ერთმანეთთან იშვიათად არიან დაკავშირებულნი — საქართველოში ასეთია ახალციხის ამირანის გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ხიზანანთ გორა. შულავერის მეორე ბორცვი და სხვა ძეგლები, სომხეთში — ელარი, სევანის ტბასთან შესწავლილი კომპლექსი; აზერბაიჯანში — ყარაბახის ძეგლების ერთი ჯგუფი, რომელთა გათხრის შედეგად ერთ კომპლექსში შეკრულია სამოსახლო და სამაროვანი. მეორე კომპლექსის მიხედვით შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს, ძვ. წ. III ათასწლეულის სამაროვნები საკმაოდ დიდ მანძილზე უნდა ყოფილიყვნენ დაცილებულნი იმ სამოსახლოებიდან, რომელთა საგვარეულო სასაფლაოსაც ისინი წარმოადგენდნენ (მაგალითად, თამარისი, ბარმაქსიზი, ტაშბაში, ძალინა და სხვ.).

სამოსახლოებიდან დაცილებულ სამარხთა განსაკუთრებულ ტიპს ყორღანნი, ანუ გორად ქცეული კოლექტიური სამარხები უნდა მივაკუთვნოთ. კოლექტიური სამარხები, რომელთა ზემოთ თანდათანობით წარმოქმნილი ყრილია მოქცეული, გათხრილია საქართველოში (ტყვიავი, საჩხერე), აზერბაიჯანში (ხაჩანაგეტი, სტეპანაკერტი) და ჩრდილო კავკასიაში (ნაღჩიკის ყორღანი). ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა სტეპანაკერტის ერთ-ერთი ყორღანი, სადაც ყრილში 50-მდე ინდივიდუალური სამარხი სხვადასხვა დონეზე კი არ იყო მოქცეული, არამედ ერთ დონეზე მდებარეობდა და ერთ საგვარეულო სასაფლაოს წარმოადგენდა³¹.

ყორღანის ყრილში სხვადასხვა დონეზე ჩაშვებული სამარხების აღნაგობა საკმაოდ ძნელად დასადგენია. როგორც ჩანს, ასეთი სამარხებიც თავის მხრივ

ზემოდან ახალი ყრილით იფარებოდა, რაც დროთა განმავლობაში ცვლიდა ყორღანის თავდაპირველ სიდიდესა და მოყვანილობას. მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ თავდაპირველად ყორღანული ტიპის სამარხი გაიგივებული იყო საცხოვრისთან, რომელიც სახლის აღნაგობას ემსგავსებოდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სტეპანაკერტის ერთ-ერთი ყორღანის აღნაგობას (სურ. 6). რადგან იგი საგვარეულო სახლის იდეას თვალსაჩინოდ გამოხატავს. მისი სიმაღლე 2 მეტრამდეა, დიამეტრი კი 10 მეტრს აღწევს. ამ ყორღანში აღმოჩენილ ერთიან სამარხეულ ორმოს აღმოსავლეთიდან დატანებული ჰქონდა ქვის ორი ფილა, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად იყო და შეესაბამებოდა კარს წარმოადგენდა. ქვებს შორის მანძილი 1 მეტრს უდრის. ყორღანის ამ ნაწილში და მის ჩრდილოეთ და სამხრეთ სექტორში ცეცხლის კვალია (დამწვარი ხე, სამარხის კედელი და იატაკი). სამარხში დაკრძალულ მიცვალებულთა ნაშთი და თიხის ჭურჭელი ყოველთვის ერთიანად დამწვარი არ არის. როგორც ირკვევა მიცვალებულთა თავის ქალა ხშირად ჯამისებურ ჭურჭელში დევს და დამწვარი არ არის, ხოლო სრულადაა აღმოჩენილი ერთ-ერთი მიცვალებულის თავის ქალა, რომელიც ქვის სასთუმალზე მდებარეობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ყორღანში ობსიდიანის ანატეცებს გარდა მოპოვებულია მხოლოდ თიხის ჭურჭელი და ერთადერთი ძვლის კვირისტავი.

კოლექტიური ყორღანული სამარხების მნიშვნელოვანი ჯგუფი აღმოჩენილია აგრეთვე საჩხერეში (დასავლეთ საქართველო); აქ ყორღანის ქვაყრილში სხვადასხვა სიღრმეზე ჩაშვებულია ერთი ან ორი მიცვალებული (ნაჩერქეზევი, ცარცის გორა). ნაჩერქეზევის ყორღანში ჩანს, რომ ქალები უპირატესად დაკრძალული არიან მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით, ხოლო მამაკაცები—მარცხენაზე—თავით აღმოსავლეთით. საჩხერის ყორღანებში დადასტურებულია წყვილადი დაკრძალვის ფაქტებიც. ყორღანულ სამარხთა შორის ყველაზე ნივთმრავალი კომპლექსები აღმოჩენილია ნაჩერქეზევში, სადაც თიხის ჭურჭლის გარდა სამარხში დიდი რაოდენობით ჩნდება ლითონის, ქვის იარაღი და აგრეთვე სამკაული (სურ. 186. ტაბ. X)³².

შიდა ქართლში, სოფ. ტყვიავთან გათხრილი 18—20 მ დიამეტრის მქონე „ხარის გორაც“ კოლექტიური სამარხია; აქ გამართულია ერთი ცენტრალური სამარხი. ხოლო მის გარშემო განლაგებულია საგანგებოდ მოკვეთილი 7 თავის ქალა. მიცვალებულის ჩონჩხიდან 13 გულამა ესვენა, 21 კი უპირატესად მარცხენა გვერდზეა მოთავსებული. ამ უკანასკნელთა შორის მამაკაცისა და დედაკაცის ნეშთის დადგენა ვერ მოხერხდა. მიცვალებულთა პირისახის ორი-

ენტაციაც სხვადასხვაგვარია. უპირატესად ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენაა მიმართული. სტეპანაკერტის ერთ-ერთ ყორღანშიც დადასტურებულია შესრულებული დაკრძალვის წესების ასეთივე მრავალსახეობა: 48 მიცვალებულთაგან 5 გულაღმა ესვენა, 29 მოხრილი და 12 კი მჯდომარე მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში გულაღმა დასვენებული იყო მოზრდილების ჩონჩხები. მოზარდები და ბავშვები კი გვერდზე იყვნენ დაკრძალული³³.

ყორღანულ სამარხთა მეორე სახეობას შეადგენენ ინდივიდუალური სამარხები. ყორღანში ერთი მიცვალებულის დაკრძალვის ფაქტები დადასტურდა შიდა ქართლში — თრიალეთში (ხადიკის ყორღანი, კუშჩი, ზემო წალკა). სამგორში. სევანის სანაპიროზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ საგვარეულო სამაროვნად გადაქცეული ტყვიავის ზემოთ ხსენებული ყორღანის მახლობლად აღმოჩენილია ყრილებით გადაბმული ორი ისეთი ყორღანი, რომლებიც განკუთვნილი იყო ერთი მიცვალებულისათვის. ასეთივე უნდა იყოს უზარმაზარი ყრილის ქვეშ მოქცეული ხის ნაგებობის შემცველი სამგორის გათხრილი სამარხი. არაა გამორიცხული, რომ ტყვიავის პირველი ყორღანი თავდაპირველად ინდივიდუალური ყორღანული სამარხი უნდა ყოფილიყო, რომელიც შემდეგ საგვარეულო სამაროვნად იქცა. ეს ფაქტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან ააშკარავებს იმ ხანებში წინაპრის კულტის არსებობას. ამასვე ადასტურებს ტყვიავის ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი ქვის ლახტისთავიც. იგი უთუოდ გვარისა თუ ოჯახის წინამძღოლის ძალაუფლების გამომხატველი ატრიბუტი უნდა ყოფილიყო.

საგვარეულოსა თუ ერთი ოჯახისათვის განკუთვნილ „სახლს“ უნდა გამოხატავდეს „მტკვარ-არაქისი“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურაში წარმოდგენილი აკლამის ტიპის ზოგიერთი სამარხიც (ტაბ. II₂)³⁴.

აკლამის ტიპის ქვის ნაგებობები თავის აღნაგობით შეიძლება შევუდაროთ ერთიანი ქვებისაგან ნაგებ დოლმენებს. დოლმენებისაგან განსხვავებით მათი უმეტესობა მიწაში ნახევრად ჩამჯდარ სამარხებს წარმოადგენენ. ასეთი სამარხები აღმოჩენილია ქვემო ქართლში (კიკეთი, თამარისი, ერდისუბანი), მესხეთში (ახალციხის ამირანის გორა), აღმოსავლეთ ანატოლიაში, ვანის ტბის შიდაპირებში (ერნისი). მათი საშუალო სიდიდე 2,5×1,50 მ უდრის, სიმაღლე 1,80 მ.

სამარხთა ფორმა უმეტეს შემთხვევაში ნალისებურია. აგებულია თიხის ხსნარზე ნაწყობი ქვებით. ასეთ აკლამებს მორგვალეულ კუთხეებს გარდაცალი მხრიდან (სამხრეთიდან), სადაც სამარხს ღია მხარე უნდა ჰქონოდა,

სწორ კედელში ბრტყელი ქვისაგან შედგენილი საფეხურის შემცველი კარი აქვს ხოლმე დატანებული. ასეთი შესასვლელის შთაბეჭდილებას ტოვებს ახალციხის ამირანის გორაზე, არდისუბანსა და კიკეთში გათხრილი ზოგიერთი აკლამაძე. ყორღანული სამარხების მსგავსად, ამგვარი აკლამის, ზოგჯერ თაღოვანი გადახურვის ქვეშ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დიდი ბრტყელი ქვებისაგან შედგებოდა, სხვადასხვა დროს ათეულამდე ჩასვენებული მიცვალებულის ნაშთი ჩნდება. მიცვალებულთა ჩასვენების სიხშირეზე უფრო კიკეთის სამარხები მიგვითითებენ. სადაც სხვადასხვა დონეზე აღმოჩენილია გულამა და მოხრილ მდგომარეობაში ნებისმიერი მიმართულებით დამხობილი თოთხმეტი მიცვალებული. რომელთა ძვლები გადაადგილებულია კედელთან მიხვეტის გამო. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ადრეული ჩონჩხი გულამა ესვენა და შესასვლელთან მდებარეობდა (სამარხი № 14)³⁵.

ახალციხის ამირანის გორის ერთ-ერთი აკლამა, რომელიც სიდიდით არ ჩამორჩებოდა სხვა ცნობილ მსგავს სამარხებს. აგრეთვე ერთ მიცვალებულს განეკუთვნებოდა. კიკეთის ხსენებულ სამარხში ჩასვენებული მიცვალებულის მსგავსად, ისიც შესასვლელთან ახლოს იყო მოქცეული და მარჯვენა გვერდზე ესვენა. აღსანიშნავია, რომ კიკეთის აკლამის ჩონჩხთან ერთად თიხის სამი ჭურჭელი და ძვლის კვირისტავი აღმოჩნდა, ხოლო ახალციხის ამირანის გორის აკლამაში ძვლის კვირისტავთან და ჰიქტოგრაფით „შემკულ“ თიხის ჭურჭელთან ერთად (სურ. 16გ). ჩატანებული იყო ერთი სატევრისპირიც.

არდისუბნის აკლამაში სხვადასხვა დროს ჩასვენებული ქალისა და მამაკაცის ჩონჩხები აღმოჩნდა. ამათგან პირველი მარცხენა გვერდზე ესვენა, მეორე კი — მარჯვენაზე. აქაც თიხის ჭურჭლის გარდა, მამაკაცის ფეხებთან შურდულის (ლახტის თავის?) ქვა იდო. ამრიგად, ირკვევა, რომ აკლამებში ჩასვენებულ მამაკაცებს უფრო ხშირად თავისებური, საგანგებო დანიშნულების ნივთებიც ახლავთ; შესაძლოა, რომ ინსიგნეას მნიშვნელობის მქონე ამ საბრძოლო ნივთების ჩატანება სამარხ-აკლამაში მიცვალებულთა განსაკუთრებულ მდგომარეობას უნდა განსაზღვრავდეს. ამის დამადასტურებელია აგრეთვე ახალციხის ამირანის გორის ხსენებული აკლამის შესასვლელთან ხარის შეწირვის ფაქტიც. რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თუ სრულდებოდა.

კოლექტიურ სამარხთა განსაკუთრებულ ჯგუფს ორმოსამარხები შეადგენენ. ისინი უთუოდ ერთი ოჯახის სამარხებად უნდა მივიჩნიოთ. კიკეთის სამაროვანზე ამ ტიპის ქვაყრილიან ორსამარხებთან ახლოს, ზოგჯერ კერის ცეცხლით გაწმენდილი ადგილებიც ჩნდება³⁶. ქვებით შემოწყობილ ორმოსამარ-

ხში ჩასვენებულია რამდენიმე მიცვალებული და: არც ერთში არ შეიმჩნევა დაკრძალვის მტკიცედ განსაზღვრული წესი. კიკეთისა და ახალციხის ამირანის გორის ასეთ კოლექტიურ სამარხებში ინვენტარი ერთიმეორისაგან თითქმის არ გამოირჩევა. აქაც ძირითადად მხოლოდ თიხის ჭურჭელია აღმოჩენილი.

„მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურის მრავალ სამაროვანზე უფრო ხშირად ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი ჩნდება. ინდივიდუალური სამარხების შემცველი ასეთი სამაროვნები სოფლის ტერიტორიის ფარგლებში ექცევა. ახალციხის ამირანის გორის, ქვაცხელების, გულაბერტყას, ნაცარგორის და ქულბაქევის ნამოსახლარის ჯერ აუთვისებელ, ან კიდეც მიტოვებულ უბნებზე ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული ერთი ან ორი მიცვალებულის შემცველი სხვადასხვა ტიპის სამარხები (სურ. 5). ცნობილია ძირითადად ორი ტიპის სამარხი: ქ ვ ი ს ა გ ა ნ ნ ა გ ე ბ ი და ო რ მ ო ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. ზემოთ ხსენებულ სხვა სამარხებისაგან განსხვავებით ინდივიდუალური სამარხები უმეტეს შემთხვევაში დაკრძალვის ერთ გარკვეულ წესს ემორჩილებიან. მათი განლაგება, აღნაგობა, მიმართულება ცალკე უბნებზე თითქმის ყოველთვის ერთგვაროვანია და თითოეულის გამონაკლისობა აშკარად გამოხატავს დაკრძალვის უკვე სხვა განსხვავებული წესის არსებობას.

ერთიანი დაკრძალვის წესის მიხედვით, ქვაყუთისებურად გამართულ ქვის სამარხში ან სამარხის ორმოში, მიცვალებულის ჩასვენება გვერდზე ხდებოდა. აქ მიცვალებულის განსაზღვრული მიმართულებით თავშექცევას, გარკვეული კანონზომიერება აქვს. წყვილად დაკრძალვის შემთხვევაში უფრო ხშირია მიცვალებულთა ერთი მიმართულებით დამხობა (ქვაცხელები, ამირანის გორა). თუმცა ზოგჯერ მათ საწინააღმდეგო მიმართულება აქვთ (ამირანის გორა); სამაროვნის ერთ უბანზე სამარხებში მამაკაცთა და ქალთა ერთნაირად ჩასვენება ხდებოდა, ე. ი. ან მარჯვენა. ან მარცხენა გვერდზე. რომლებსაც თავქვეშ ამოუღებდნენ ქვის სასთუმალს ან შეწირული ცხოველის ნაწილს. სამარხში ჩატანებული თიხის ჭურჭელი უმეტესად თავთან ან მოხრილად მდებარე მიცვალებულის კიდურებთან იდებოდა. სამარხის რომელიმე კუთხეში მოქცეული იყო შეწირული ცხოველის თავ-ფეხიცი. სამარხში სქესის მიუხედავად მიცვალებულთან იდებოდა ძვლის ან ქვის კვირისტავი (ახალციხის ამირანის გორა). გამონაკლის შემთხვევაში მამაკაცთან ჩატანებულია იარაღი და სამკაული, ქალთან კი — სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი ნივთები (სურ. 19, 20).

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ნივთთა ერთ ჯგუფს ა ვ გ ა რ ო ზ ე ბ ი შეადგენენ (სურ. 19_{2,3}; 20). ისინი ქალისა და ბავშვთა სამარხებშია მოპოვებუ-

ლი³⁷. ამ კულტურაში დაკრძალვის წესის მიხედვით ყველაზე მრავალგვაროვანია ბავშვთა სამარხები. ბავშვთა სამარხები ჩნდება სამაროვნებზე. სადაც მათი დამარხვა შესაფერისი სიდიდის სამარხებში ჩვეული წესით ხდებოდა (ახალციხის ამირანის გორა, ოზნი, ტაშაბაში და სხვ.). მაგრამ არის კიდევ სამარხთა ერთი ჯგუფი, სადაც ჩვეულებრივ ბავშვთა ჩონჩხის გვერდით დასაფლავებულია მოზრდილი მიცვალებული. სწორედ ასეთი სამარხებია აღმოჩენილი ახალციხის ამირანის გორის სამაროვანზე, სადაც თანადამარხვის შემთხვევებთან უნდა გვექონდეს საქმე. ჩველი ბავშვის შეწირვის შთაბეჭდილებას ტოვებს აგრეთვე ახალციხის ამირანის გორის ერთ-ერთ კერასთან აღმოჩენილი ბავშვის დამწვარი ძვლებიც (შენობა XII).

კიკეთისა და ახალციხის ამირანის გორაზე აღმოჩენილია სამარხთა განსაკუთრებული ჯგუფი; პირველ შემთხვევაში კიკეთში დაკრძალულ მიცვალებულებს თავის ქალა და კისრის ძვლები არ ახლდათ, მაშინ როდესაც მეორე შემთხვევაში ამირანის გორაზე დიდ-პატარა ქვის სამარხებში თიხის ჭურჭლებთან ერთად ადამიანის მხოლოდ თავის ქალები იყო დაკრძალული. თავისებური დაკრძალვის წესით გამოყოფილი სამარხები კიკეთის სამაროვანის მხოლოდ ერთ ნაწილში მდებარეობდა და მათში ინვენტარიც არ იყო აღმოჩენილი.

როგორც ცნობილია, ადრეულ ბრინჯაოს ხანაში მიცვალებულთათვის ინვენტარის სამარხში ჩატანების წესი საყოველთაოდ სრულდებოდა. ამიტომ ამ წესის შეუსრულებლობა გამონაკლისს შეადგენს და თვითოეულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი მიზეზით შეიძლება აიხსნას. მართალია, კიკეთის ამ სამარხებში დიდი რაოდენობით ჩნდება ცხვრისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები. მაგრამ შესაძლოა აღმოჩენილი მიცვალებულებიც თავის მხრივ მსხვერპლად შეწირულებია. საგულისხმოა, რომ ახალციხის ამირანის გორის „გრძელ“ სახლებში, სადაც კერა არ ჩნდება, იატაკის ქვეშ უინვენტარო ჩვილ ბავშვთა სამარხებიცაა მოპოვებული; დასაშვებია, რომ ამგვარი სახლები საქონლის სადგომი შენობები უნდა ყოფილიყო, რომლებიც ამავე დროს ნაყოფიერებისა და გამრავლების სიმბოლოს წარმოადგენდა. საქონლის სადგომში ბავშვთა ასეთი თავისებური „შეწირვის“ ძველთაძველ ჩვეულებას უნდა უკავშირდებოდეს ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დადასტურებულ „ბოსელში“ მშობიარობის წესიც და სხვა მსგავსი რიტუალები, რაც უძველეს მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების კულტურას ახასიათებს. ეს მსხვერპლთშეწირვა შეიძლება ბუნების გამანაყოფიერებელი ძალების გამოხატულებაც ყოფილიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა, რომ ახალციხის ამირანის გორაზე. ქვაცხელებში და სხვა ძეგლებზე სამარხეული ინვენტარის ერთი ჯგუფი (ჭურჭელი, დიადემა, სამკაული) შეიცავს მზის, მთვარისა და სხვა ასტრალურ ნიშნებთან დაკავშირებული ცხოველების (წერო, ირემი, ხარი, ვერძი) გამოსახულებებსა და მათ ცალკეულ დამახასიათებელ ნაწილებს (სურ. 114, 1711).

ზემოთ ხსენებულ სამარხთა შორის საგანგებოდაა აღსანიშნავი ისეთი მდიდარი ინდივიდუალური სამარხები, რომლებიც აღნაგობით სხვებისაგან არ გამოირჩევა. მაგრამ მათში იმდროისათვის საკმაოდ ნივთმრავალი ინვენტარია. ასეთი სამარხები აღმოჩენილია საჩხერეში, ახალციხის ამირანის გორაზე, ქვაცხელებში. ურბნისსა და ძალინაში. ამ სამარხებში მოპოვებულია არა მარტო საქონლის მეტ-ნაკლები რაოდენობის ძვლები, არამედ ლითონის სხვადასხვაგვარი ნივთები (ოქროს, ვერცხლის³⁸ და ტყვიის სამკაული, სპილენძის იარაღი და საკინძები, მძივები და სამაჭურები), რაც ამ სამაროვანთა სხვა ჩვეულებრივ სამარხებში არ ჩნდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადრეული ბრინჯაოს კულტურის მთელ მანძილზე წარმოდგენილია საზოგადოების მიერ შემუშავებული დაკრძალვის ისეთი წეს-ჩვეულებანი, რაც უკვე გვაროვნულ წყობაში რღვევის დაწყებას გვანიშნებს. ეს ცხადია, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ადრევე გამტკიცებულ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც მეურნეობის განვითარების მაღალი დონე უნდა ყოფილიყო.

4. მუხრანობის ზოგადი მიმოხილვა

შეგროვებიდან მიწათმოქმედებაზე და ნადირობიდან მესაქონლეობაზე გადასვლის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, საკაცობრიო კულტურის ისტორიაში, წარმოებითი კულტურის ახალი ეტაპი იწყება. მის წიაღში ჩასახული მემინდვრეობის კულტურა თავის განვითარების ადრინდელი საფეხურით ენეოლითურ ხანაზე მოდის. ეს სამიწათმოქმედო კულტურა ბუნებრივი რესურსებით მდიდარ გარემოპირობებში განსაკუთრებული სისწრაფით ვითარდება. არქეოლოგიური, პალეობოტანიკური და სხვა მეცნიერებათა კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კავკასიაც ბინადარი ცხოველებისა და მიწათმოქმედებამესაქონლეობის ერთ-ერთ ყველაზე ადრეული კერის საზღვრებში ექცეოდა. აქაც ადრევე წარმოებულ მიწათმოქმედება მთებს შორის მოქცეულ ხეო-

ბებში, მთისძირა ზონაში, დიდ მდინარეთა დელტას ძველი კალაპოტის გასწვრივ. ხევის წყლებისა და ნაკადულების ნაპირებზე თანდათანობით სულ უფრო და უფრო ფართოდ ითვისებდა ახალ ფართობებს. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ძვ. წ. III ათასწლეულში წარმოდგენილი სამიწათმოქმედო კულტურა მთელ ამ ტერიტორიაზე უკვე ფართოდ გავლილი ჩანს. ყველა ზონაში ზღვის დონიდან 300 მეტრზე დაწყებული 2100 მეტრის სიმაღლემდე იგი ერთნაირი სიმძლავრითაა განვითარებული. ამხანებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში კლიმატი გაცილებით ნოტიო იყო, რასაც ხელს უწყობდა ოდესღაც ხშირი ტყის არსებობა. მთისა და ბარის შედარებით მჭიდრო დასახლებას თავისთავად აპირობებდა კლიმატის სირბილე, რის გამოც ბარისა და მთის კულტურებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეიძინეოდა. ადრეული ბრინჯაოს კულტურის მთისა და ბარის სამოსახლოებზე თითქმის თანაბარი სიმრავლითაა მოპოვებული კულტურულ მარცვლეულთა ნაირსახეობანი. მაგალითად, სომხეთის შედარებით მაღალ ზონაში ერთ-ერთ სამოსახლოზე — შენგავითში აღმოჩენილია რ ბ ი ლ ი ხ ო რ ბ ლ ი ს მარცვლები. აქ წარმოდგენილი რბილი ხორბალი, რომელიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული მთელ ამიერკავკასიაში, თავის წარმოშობით სწორედ მცირე კავკასიასა და აგრეთვე ანატოლიის გეოგრაფიულ მხარეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი გვხვდება როგორც „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ირანის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში (გეოი-თეფე), ნახჭევანის მხარესა (ქიულ-თეფე, მინგეჩაური) და შიდა ქართლში (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ხიზანანთ გორა). ასევე ფართოდ გავრცელებულია ქერი (შენგავითი, ქიულ-თეფე, ქვაცხელები) და ქ ვ რ ი მ ა (ქვაცხელები, გუდაბერტყა, ახალციხის ამირანის გორა), რომელთაგან უკანასკნელი ხასიათდება განსაკუთრებით მაღალი კალორიით.

ქვაცხელების ზედა კულტურულ ფენაში ნაპოვნია ირმის რქის ს ა ხ ვ ნ ე-ლი ი ა რ ა ლ ი (სურ. 93). რქის სამი ტოტისაგან შუა წაჭრილია, უკანა—წამახული, სახვნელი ნაწილი კი ბოლოსაკენ ბრტყლადაა წათლილი. ამ ტიპის სახვნელი იარაღის გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა გამწევი ძალის საშუალებით, მაგრამ ამით მიწის მოხვნა კი არ ხდებოდა. არამედ მისი ზედაპირის „გაწერა“; რის შემდეგ ალბათ ქვისა და ძვლის თოხისებური იარაღით წარმოებდა შემდგომი დამუშავება. ასე დამუშავებული ნაკვეთი ბუნებრივად ირწყვებოდა და რამდენიმე სეზონის განმავლობაში თუ იძლეოდა მოსავალს, შემდეგ იგი იფიტებოდა და საჭიროებდა ხანგრძლივ შესვენებას. დროთა განმავლობაში საჭირო ხდებოდა ტყის ხარჯზე ახლებად ალების შემწეობით ახალი სათესი ნაკვეთის მომზადება. ეს კი მოითხოვდა მიწის დიდი მასივების თანდათანობით

ათვისებას. რასაც მოსდევდა უკვე სპილენძის ცულებით ტყის ინტენსიური განადგურება და კლიმატის თანდათანობით გამოშრობა, ახლად წარმოქმნილ გეოკლიმატურ პირობებში მემინდვრეობის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი იყო უკვე გვალვის საწინააღმდეგო ღონისძიების ჩატარება. ქვაცხელების ქვედა ნახანძრვე ფენაში აღმოჩენილ იქნა რბილი ხორბლისა და მრავალმწკრივი ქერის შერეული მარცვლები. ასეთივე შერეული მარცვლები მოპოვებულია აგრეთვე გულაბერტყასა და შენგავითის ნამოსახლარებზე. მარცვლების ასეთი შერევა იმიტომ ხდებოდა, რომ ქერის ნაადრევი ზრდის შედეგად მის ჩრდილში მოქცეული ხორბალი უფრო ადვილად იტანს გვალვას. რის გამოც მათი შერეულად თესვა გვალვის საწინააღმდეგოდ მიმართულ საკმაოდ ეფექტურ ხერხს წარმოადგენდა. „მტკვარ-არაქისის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში მემინდვრეობა ძირითადად დიდი სათესი ფართობების ინტენსიური გამოყენების შედეგად ვითარდებოდა და მეტ პროდუქტს იძლეოდა. ამის დამადასტურებელია მრავალი არქეოლოგიური ფაქტი. უწინარეს ყოვლისა საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ხანაში, კაყის დაკბილული ნამგლის პირებთან ერთად. სამკელად უკვე ლითონის ნამგალიც გამოიყენება (სურ. 95, 9; 174)³⁹. ამ დროის სამიწათმოქმედო იარაღებში ბრინჯაოს ნამგლის გამოყენება დიდ მოსავლიანობაზე მიგვიითითებს, რადგან ასეთი იარაღი, ხის ბუდეში ჩასმული, კაყის ნამგლის პირებთან შედარებით, ბევრად უფრო ქმედითი და ადვილად მოსახმარი უნდა ყოფილიყო. არაა გამორიცხული, რომ ლითონის ნამგლის გამოყენება დიდი ძნის მოჭრის აუცილებლობითაც იყო გამოწვეული. ნამჯა ამ დროს უთუოდ საქონლის საკვებად იხმარებოდა და ზამთრისათვის მის შენახვას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებოდა.


მიწათმოქმედების პროცესში პირველად გამოყენებული ლითონის იარაღის (მეტევიური ცული, ნამგალი) ეფექტურობამ ხელი შეუწყო ამ დარგის განვითარებას, ამიტომაც ეს იარაღი იმ დროშივე სარიტუალო-საკულტო მნიშვნელობას იძენს. ალბათ ამით უნდა აიხსნას, რომ საკინძების სახით წარმოდგენილ სხვა ავგაროზებს შორის უკვე ვხვდებით ძვლის პატარა ნაკეთობას. რომელსაც ნამგლის მოყვანილობა აქვს (ქვაცხელების ქვედა პორიზონტი)⁴⁰.

უხვი მოსავლიანობის კიდევ ერთი დამადასტურებელია იმ დროში სარჩოს გადასატანი ბორბლიანი ტრანსპორტის არსებობაც. ბორბლიანი ტრანსპორტის ნაკვალევი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შემჩნეულ იქნა ზემო წალკის ერთ-ერთ ყორღანში, სადაც მისი მატერიალური ნაშთი თუმცა არ ჩანდა, მაგრამ შემორჩენილი იყო სამარხში მდგარი ხის ბორბლების ანაბეჭდი⁴¹. ბორბლიანი ტრანსპორტი ასახულია აგრეთვე საჩხერის ყორღანებში

მრავლად ნაპოვნი განსაკუთრებული ტიპის სპილენძის საკინძებზე. ერთ-ერთის თავზე რთული ჩამოსხმით გამოყვანილია ხარის რქები და ღერძზე ჩამოცმული ორი ბორბალი (სურ. 97)⁴². ბორბლის უძველესი სახეობა გამოყვანილია აგრეთვე მრავალრიცხოვან თიხის მოდელეებზე, რომლებიც „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში განსაკუთრებული სიმრავლით ჩნდება (სურ. 98).

„მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ თიხის ნაწარმს წარმოადგენს განსაკუთრებით დიდი მოცულობის მქონე პირფართო დერგები, რომლებიც თითქმის ყველა სამოსახლოზე ჩნდება (სურ. 10. ტაბ. VI—VII); მრავლადაა წარმოდგენილი თიხის სხვადასხვა ტიპის სარქველებიც (სურ. 8). მარცვლეულის შესანახი ასეთი სარქველიანი დერგების სიმრავლე და სახლების მახლობლად მათი აღმოჩენა უთუოდ იმაზე მიგვითითებს, რომ სარჩო-მარაგის დამზადება იმ დროში ცალკეული ოჯახების მიერ ხდებოდა. მაგრამ არის ზოგიერთი ისეთი ფაქტი, რომელიც ააშკარავებს იმ პერიოდში საერთო-სავაჭარეულო დოვლათის შენახვას სოფლის ერთ განსაზღვრულ — ცენტრალურ ნაწილში (გუდაბერტყა, ბაბა-დერვიში) ან სოფლისაგან განცალკევებულ სარიტუალო-საწესო ადგილსამყოფელზე, სადაც მსხვერპლშეწირვები ხდებოდა (ახალციხის ამირანის გორა). პირველ შემთხვევაში სოფლის ერთიანი მარაგი შენახული ყოფილა ხაროებში, ხოლო მეორე შემთხვევაში — სენაკებში, შეწირულობის სახით მიტანილ მდიდრულად „შემკულ“ თიხის დიდ დერგებში (ტაბ. VII₂). ჩვენი ვარაუდით, ამ დიდ დერგებზე ერთმხრიდან გამოყვანილ სიუჟეტურ კომპოზიციაში (სურ. 10, 11, 15) მოქცეული სპირალები, მთავარის ნიშანი, წეროები. ირმები. თევზის გამოსახულებანი, სამსხვერპლოები და სხვა გამოხატავენ ამ შეწირულების შინაარსს — დერგებში მოთავსებული პროლუქტის სათემო ხმარებისათვის განკუთვნილებას, რითაც მაშინ დოვლათის შენახვა-განაწილებასაც ახერხებდნენ⁴³.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გეოი-თეფეს სამოსახლოზე აღმოჩენილი თიხის სარქველებზე ცილინდრული საბეჭდავით დატანილი ანაბეჭდები (სურ. 87, 10). ჩანს, რომ „დაბეჭდილი“ სარქველის ქვეშ მოთავსებული დოვლათი ტაბუდ იყო გამოცხადებული, სამსხვერპლოდ მიტანილ პროლუქტს შეიცავდა. ჭურჭლის ყურის ქვემოთ მოქცეული „ორნამენტაცია“ (სურ. 15, 13, 57, 8) იმაზე მიგვითითებს, რომ ეს ჭურჭელი აგრეთვე ტაბუდადებული დერგებია, რომელიც ყოველდღიურ სახმარ პროლუქტს არ შეიცავს.




აღნიშნულ ხანაში მარცვლეულის დასამუშავებელ იარაღებად ძირითადად ისევ ქვიხისა და ხელსაფქვავეები და სხვა ხელსაწყოები გამოიყენებოდა. ხელსაფქვავეების სიმრავლე ამ დროის ნასახლარებზე იმაზე მიგვითითებს, რომ პურეულობა მეტწილად იფქვებოდა. პურის გამოცხობა, უთუოდ კერებზე. კეცებზე ან კიდევ სპეციალურ ღუმელში ხდებოდა. რომელიც საცხოვრებელ სახლებში (ამირანის გორა, ქიულ-თეფე) იყო მოთავსებული.

ამ პერიოდში მეურნეობის მეორე წამყვანი დარგია მე საქონლეობა. ამ დარგის განვითარების შესახებ მეტად მცირედი არქეოლოგიური მასალა მოიპოვება. აქ ძირითადია საკუთრივ მოშინაურებული ცხოველის ძვლები, ცხოველის ქანდაკებანი და ნაკეთობათა ის ჯგუფი, რომელიც ასახავს მეცხოველეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დარგის საწარმოო პროცესებს.

მესაქონლეობა იმ პერიოდში მიწათმოქმედების გვერდით ვითარდებოდა და მასთან გარკვეულ კავშირში იმყოფებოდა. მსხვილფეხა რქოსანი საქონელი არ სცილდებოდა სოფლის სათემო ტერიტორიას. საძოვრებსა და ტყეს, რომელიც შესაძლოა ზამთარ-ზაფხულ მისი თავშესაფარიც ყოფილიყო. ზოგიერთი ნამოსახლარის გადაუხურავი ნაგებობა ალბათ საქონლის სადგომად გამოიყენებოდა. ასეთივე აღნიშნულება შეიძლებოდა ჰქონოდა თეთრწყაროსა და ახალციხის ამირანის გორის ზოგიერთ შემოზღუდულ ნაწილსაც. აღსანიშნავია, რომ ამირანის გორის მეორე უბანზე ასეთი დიდი შემოზღუდული ადგილი დასახლების ცენტრში მდებარეობს.

მესაქონლეობის განვითარების აღნიშნულ ეტაპზე „მტკვარ-არაქის“ კულტურაში თითქმის ყველგან მეტი ხვედრითი წონა მაინც წვრილფეხა რქოსანი საქონელზე მოდის. კიკეთის ნასახლარიდან ჩანს, რომ ძვლების 96% წვრილფეხა საქონლისაა. მაგრამ სამარხების მიხედვით ასეთი დასკვნის გამოტანა უმართებულო იქნება, ვინაიდან მსხვილფეხა საქონლის მსხვერპლად მიტანა მხოლოდ გამონაკლისს შეადგენდა და მამაკაცთა დაკრძალვისას თუ სრულდებოდა (ახალციხის სამაროვანზე ეს წესი კარგად დგინდება). მაგრამ მეორე მხრივ, ნასახლარზე მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლების ხვედრითი წონის სიდიდე შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ წვრილფეხა საქონელი მეტი ხნის განმავლობაში სოფლისაგან მოშორებულ ადგილზე იმყოფებოდა და მისი დაკვლა ძირითადად სხვადასხვა რიტუალებთან თუ იყო დაკავშირებული. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ძვლების 80% მოიპოვება, მაგალითად, ქულბაქევის ნასახლარზე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ წვრილფეხა რქოსანი საქონელი ამ დროისათვის ნაკლებად იყო მოშენებული.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოშინაურებულ ცხოველთა შემადგენლობასა და მესაქონლეობის წარმოებულ ფორმას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურაში უკვე წარმოდგენილია არა მარტო რქოსანი საქონელი, არამედ ძაღლი (ახალციხის ამი-



სურ. 16.

ჩანის გორა, ქულბაქევი, გუდაბერტყა) და გარეული ცხენი (ქვაცხელები, დიდუბე, ელარი და შენგავითი). აქ ჩნდება როგორც ამ ცხოველთა ძვლები, ასევე მათი ქანდაკებანი (სურ. 8_{4,5}), რაც აშკარად მოწმობს მათს დიდ მნიშვნელობას. ცხადია, რომ ძაღლის მონაწილეობა ადამიანის პრაქტიკულ ცხოვრებაში იზრდება იალალური მესაქონლეობის პირობებში, როდესაც

თანდათანობით მატულობს წვრილფეხა რქოსანი საქონლის ხვედრითი წონა. სტატისტიკური მონაცემებით ქვაცხელებზე უდიდეს ნაწილს უკვე ცხვრის ძვლები შეადგენს. ცხვრის ქანდაკებათა მიხედვით, და, რაც მთავარია. ოსტეოლოგიური მასალებით, აქ წარმოდგენილია ცხიმკუდიანი ჯიშის ცხვარი, რომელიც კავკასიაში დროთა განმავლობაში დიდად ვრცელდება⁴⁴. ნაკლებია თხისა და ღორის ძვლების აღმოჩენის შემთხვევები.

მესაქონლეობის განვითარებასთან დაკავშირებით ამ დროის კულტურაში თანდათანობით იზრდება მოშინაურებული ცხოველების, მაგალითად ხარის, როგორც გამწევი და გამანაყოფიერებელი ცხოველის მნიშვნელობა. მაგალითად, სარიტუალო საგნების დიდი უმეტესობა (სურ. 91:2-6) განასახიერებს ხარს ან მის ცალკეულ ატრიბუტს (რქები)⁴⁵. იგივე ითქმის ვერძის შესახებ, რომლის გამოსახვა კერაზე და სხვადასხვა ნივთებზე (მაგალითად. სპილენძის საკინძებზე) გვხვდება (სურ. 17a).

საქონელი ამ დროს მხოლოდ ხორცეულ საკვებად არ იხმარებოდა. არამედ ზღებოდა რძის ნაწარმის გამოყენებაც. ამას კარგად ადასტურებს დაბლა-გომის. ქვაცხელების, ქულბაქევისა და ამირანის გორაზე აღმოჩენილი სადღვებლები და თხის სხვა ჭურჭელი, რომელიც ყველის გამოყენისათვის გამოიყენებოდა.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის ამ პერიოდში გარკვეული ადგილი ეთმობა მონადირეობასა და მეთევზეობასაც.

ერთი სიტყვით, წარმოდგენილი კულტურა ხასიათდება „ინტენსიური“ სამეურნეო ცხოვრებით, რომელიც საგრძნობლად „გუეება“ იმდროინდელ გეოგრაფიულ გარემოს; „გუთნური“ მიწათმოქმედება და სეზონური მესაქონლეობა თანდათანობით ვითარდება და იწვევს, ერთი მხრივ, ახალი სათესი ფართობისა და საძოვრების ათვისებას და. მეორე მხრივ, ტყეების გაკაფვას. ცხოვრების ამ ახალ პირობებშიც გვაროვნული საზოგადოება სულ უფრო და უფრო მეტ ემპირიულ ცოდნას იძენს და ახლებურად იყენებს იმ გამოცდილებას, რომელიც მამაკაცის მრავალსაუკუნოვან პრაქტიკულ საქმიანობას მოჰყვა.

6. მეტალურგიის საწყისები „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში

გამოჩენილი მკვლევარი გ. ჩაილი აღნიშნავს. რომ მეტალურგიის ჩასახვა ერთ-ერთი კულმინაციური ეტაპია კაცობრიობის ისტორიაში. რადგან სპილენძის ხელოვნურად მიღებას მრავალი სოციალურ-ეკონომიური თუ ტექნიკური მოვლენაც მოჰყვა.

უძველესი მეტალურგი სპილენძისა და ბრინჯაოსაგან უკვე სერიულ

ნაწარმს ამზადებს. ხსენებული მეკლევრის აზრით ადამიანმა ჯერ კიდევ ენეოლითურ ხანაშივე შეძლო პრაქტიკაში ზოგიერთი ისეთი ცოდნის გამოყენება, რაც აუცილებელი იყო „შეგნებული“ მეტალურგიის ჩასახვისათვის. ასე მაგალითად, ადამიანმა იმ დროს უკვე იცოდა, რომ შესაძლებელია სპილენძის ჰედვა, რომ ამ ლითონის ძლიერი გახურებისას მცირდება და შემდეგ სრულიად ისკობა მისი ჰედვითი უნარიანობა; ბოლოს შესაძლებელი გახდა სპილენძის გაღობა და მისი ყალიბში ჩამოსხმაც, მაგრამ ამას აკლდა ის ძირითადი რამ, რაც მეტალურგიულ წარმოებას უყარის საფუძველს. საერთოდ მეტალურგებს დაყენებული მადნიდან ნახშირთან გამოწვის საშუალებით უნდა მიეღოთ საჭირო მარაგის მაღალი მექანიკური და ფიზიკური თვისებების მქონე ისეთი გამოძნარი ლითონი ან ხელოვნური შენადნობი, რომელიც მათ მრავალგვარი (დიდი ზომის იარაღი ან რთულად სხმული სამკაული) ნივთების სერიულ დამზადებას შეაძლებინებდა¹⁶.

როგორც ირკვევა, ის ტომები, რომლებიც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე ძვ. წ. IV—III ათასწლეულის მიჯნაზე სახლობდნენ, ადგილობრივად განვითარებული მეტალურგიის ფუძემდებლები უნდა ყოფილიყვნენ. ამის დამადასტურებელია ძვ. წ. III ათასწლეულის უადრესი ნაწარმი, ამ ნივთების ნაირსახეობა და მათი სიმრავლე, რაც მეტალურგიული წარმოების საკმაო განვითარებას გვანიშნებს. აქ იგულისხმება „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში წარმოდგენილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო თუ საბრძოლო იარაღები (ნამგალი, ცულ-წერაქვი, ცული, სატევარი, შუბისპირი, ისრისპირი). ხელსაწყოები და თავსამკაული (საკინძები, ნემსი, მახათი, სადგისი, ხვიები, სამაჭურები), სხვადასხვა წერილი ნივთები (ანკესი, მძივი, „ზოდები“) და სხვ. (სურ. 97 17-19; ტაბ. IX).

ამ მრავალრიცხოვანი ნივთების მწარმოებელი, ეტყობა, კარგად ფლობდა მადნის ან სხვადასხვა მადნების გამოყენების ხერხებს, კარგად იცნობდა დახშულ ლუმელში აღმდგენელი არის შექმნის პირობებს და ხისაგან ნახშირის გამოწვის საშუალებებს. ამ ლითონის ნივთთა შემცველი კომპლექსების სპეციალური შესწავლა ადასტურებს. რომ ამავე ხანაში ხდება „სპილენძის“ ცხელ მდგომარეობაში ჰედვა სასურველი ნივთის მისაღებად, რისთვისაც სათანადო ყალიბებში ჩამოსხმება საჭირო ზომისა და მოყვანილობის დიდი (მაგალითად, ცული) და პატარა (მძივი) ნივთებიც; ხდება სხვადასხვა ნაწილების ურთიერთთან მირჩილვა (სპირალურთავიანი საკინძი); სპილენძის ნივთებზე გამოსახულების დატანა (დიადემა) და სხვ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული გვაგულისხმობს. რომ სპილენძის მადნებით მდიდარ ქვეყანაში, სადაც აღმოჩენილია

ასეთი მაღალხარისხოვანი ლითონის ნაწარმი, მეტალურგებს უკვე კარგად უნდა სცოდნოდათ ზედაპირულად მდებარე, ადვილად გამოსაცნობი უგოგირდო, ბუნებრივად დაქანვული მადნების არა მარტო საკმაო რაოდენობით მოპოვება და გამდიდრება, არამედ მათი ნახშირის საშუალებით კერაში ან ლუმელში გამოდნობით მიღებული ლითონის გაღობაც და ჩამოსხმაც⁴⁷.

როგორც ცნობილია, სპილენძის საბადოების დამუშავების იმდროინდელი ნაკვალევი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების ტერიტორიაზე აღმოჩენილი არსად ყოფილა. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ კავკასიაში და მის მეზობელ ქვეყნებში სამთო საქმე ადრევე იყო განვითარებული. ამასთან დაკავშირებით უთუოდ გასათვალისწინებელია ის ძველთაძველი ადგილობრივი ტრადიციები. რომლებიც ამავე ადგილებში ობსიდიანის მოპოვებასა და მის გაცვლა-ვაჭრობაზე იყო დამყარებული.

როგორც ჩანს, მეტალურგიის გაჩენის პირველ ეტაპზე „სპილენძის“ ნივთების დამზადება ძირითადად მაინც იმავე მიკრორაიონებში არსებული სხვადასხვა ლითონების შემცველი მადნების გამოყენებით ხდებოდა. ეს დადასტურდა ნახჭევანის ქიულ-თეფეზე აღმოჩენილი მასალების შესწავლით. აქ გაირკვა, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისშივე ქიულ-თეფეს მეტალურგები მათგან 50 კმ-ით დაშორებულ კაფანისა და ჯულფის იმ საბადოებს იყენებდნენ, რომლებიც მათ სპილენძისა და დარიშხანის მადნებს აწვდიდა⁴⁸.

ამასთანავე ისიც მტკიცდება, რომ ლითონის ნივთების წარმოება (ყალიბებში ჩამოსხმა) იმ რაიონშიც ხდებოდა. სადაც სპილენძისა და დარიშხანის მადნები სრულიად არ მოიპოვება. ასეთია. მაგალითად, ამირანის გორა, შენგავითი და ზოგი სხვა სამოსახლო, სადაც აღმოჩენილია სხვადასხვა ნივთის დასამზადებელი ყალიბები (სურ. 17g). ჩანს, რომ აქ უკვე სხვა რაიონიდან მოტანილ მადანს ან გამომდნარი ლითონის გამოყენებას ჰქონდა ადგილი; ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ აღნიშნულ ხანაში სამთაშენი და მეღვინეთა დარგები ცალ-ცალკე არსებობდა⁴⁹.

ამასთან დაკავშირებით დასაშვებია, რომ ის საბადოები, რომელთა მადნებიც ზედაპირულად გამოდიოდნენ და იმდროინდელი მეტალურგების ყურადღებას იქცევდნენ, საძიებელი იყოს აღმოსავლეთ ანატოლიაში, ირანსა და ამიერკავკასიაში; სადაც „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურა იყო გავრცელებული; ეს ვარუდი კი უკვე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ ხანაში ვიგულისხმობთ მხოლოდ ერთ გარკვეულ რაიონში მძლავრი მეტალურგიული კერის არსებობა, რომელიც მთელ ამ კულტურას მიაწვდიდა მზამზარეულ პროდუქციას. „მტკვარ-არაქსის“ მეტალურგიის შესწავლის

დღევანდელ ეტაპზე ირკვევა, რომ მართლაც ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში პატარ-პატარა საწარმოო კერები ამიერკავკასიაში დიდ-პატარა სამოსახლოებზე უნდა არსებულიყო⁵⁰. ამის დამადასტურებელია ისეთი მეტალურგიული ნაწარმი, რომელიც განსხვავებულია ერთი მეორისაგან არა დანიშნულებითა და ფორმით, არამედ ზომებით, ლითონის შემადგენლობით და დამზადების სხვადასხვაგვარი ტექნოლოგიით. მაგალითად, ირკვევა, რომ ურთიერთმსგავსი უადრესი ცულები ამ კულტურის სხვადასხვა მხარეში არსებული საწარმოო კერების პროდუქციას უნდა წარმოადგენდეს.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის ზოგიერთი სამოსახლოს ფენებში მელითონობასთან დაკავშირებული სხვადასხვა იარაღების აღმოჩენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია იმდროინდელი მეტალურგიისა და ლითონწარმოების შესწავლისათვის. ამ კატეგორიის ნივთებს შორის აღსანიშნავია ცეცხლგამძლე თიხისაგან დამზადებული ყურჩიანი კ ა თ ხ ე ბ ი თუ „კ ო ვ ზ ე ბ ი“; რომლებშიც ზოგჯერ სხმული ლითონის ნარჩენებიცაა დაცული. ასეთია შიდა ქართლისა და სომხეთის სამოსახლოებზე (ხიზანანთ გორა, გარნისი) აღმოჩენილი თიხის კათხები ხიზანანთ გორის სამოსახლოზე და ნახჭევანის ქიულთეფეზე (სურ. 172;ვ) ნაპოვნია მადნისა თუ ლითონის გამოღობა-გალლობისათვის გამოსადეგი ცეცხლგამძლე თიხისაგან ნაძერწი სხვადასხვა ზომის ტ ი გ ე ლ ე ბ ი ც. მეტალურგიული წარმოებისათვის აუცილებელი ლითონის მარაგის არსებობას ადასტურებს ისიც, რომ შიდა ქართლში (გუდაბერტყა) და არარატის დაბლობზე (მალაქლუ) პატარა ზომის მზამზარეული შენადნობის (?) თუ სპილენძის ზ ო დ ე ბ ი — ნ ა მ ზ ა დ ე ბ ი ც (სურ. 1810) იქნა ნაპოვნი.

ამ დროის ჩამოსასხმელი ყ ა ლ ი ბ ე ბ ი „მტკვარ-არაქსის“ კულტურის გავრცელების შედარებით მცირე ტერიტორიაზე (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) ჩნდება. ამათგან მოვლია ცულის ის ჩამოსასხმელი ყალიბები, რომელთაგან სამი დამზადებულია ცეცხლგამძლე თიხისაგან (სურ. 176;9 13 — 15), ხოლო ერთი კი ქვისაგანაა გამოკვეთილი (სურ. 182). ჩვენთვის ცნობილია აგრეთვე თიხის კიდევ ორი ყალიბის ნატეხები, რომელთაგან ერთ-ერთი, ალბათ, შუბისპირის დასამზადებლად გამოიყენებოდა (სურ. 188).

ამიერკავკასიაში აღმოჩენილი ც უ ლ ი ს ჩ ა მ ო ს ა ს ხ მ ე ლ ი ყ ა ლ ი ბ ე ბ ი გათვალისწინებულია ისეთი ნაწარმის დასამზადებლად, რომლებიც სამხრეთ მესოპოტამიაში ცნობილი ცულების ყველაზე არქაულ ტიპებს ემსგავსება. საგულისხმოა, რომ ერთი მათგანი ბრტყელი ცულის ჩამოსასხმელი ღია ფორმის (ერთსაგდულიანი) თიხის ყალიბია (სურ. 179). რომელიც ქვაცხელების (შიდა ქართლი) უძველესი კულტურული ფენის ერთ-ერთი საცხოვრებელი

ოთახის შემადღებზე „შესაწირავ“ ნივთებს შორის აღმოჩნდა და განსხვავებულ-
ლია უფრო რთული სხმულების დასამზადებელი ორსაგდულიანი ყალიბისაგან
(სურ. 17.6). ასეთია თიხის ის ყალიბები, რომელთა შემწეობით ტარგასაყრელი
მეტ-ნაკლებად სწორპირიანი ცულები მიიღებოდა. ერთი მათგანი ნაპოვნია
ნახჭევანის ქიულ-თეფეს (აზერბაიჯანი) უძველეს კორიზონტში. მეორე ყალიბი
კი (სურ. 185) გარნისის სამოსახლოს (სომხეთი) ქვედა კულტურული ფენის
მრგვალ შენობაში, სადაც აგრეთვე შენგავით-ელარის ტიპის კერამიკასთან
ერთად თიხის ტიველებიც აღმოჩნდა.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ამ ტიპის ცულების ჩამოსახმელი ყალი-
ბების აღმოჩენა უდავოს ხდის იმ ფაქტს. რომ ამიერკავკასიაში ჯერჯერობით
მცირე რაოდენობით მოპოვებული ამ ტიპის ცულები ადგილობრივ პროდუქ-
ციას უნდა წარმოადგენდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ცულები მაიკოპის
კულტურაში სამხრეთიდან მრავლად შეტანილ ანალოგიურ ცულებზე უფრო
ადრინდელი უნდა იყოს და ყველა ამ ტიპის ცული, რომლებიც ამიერკავკა-
სიაში აღმოჩენილ ყალიბებში მიიღებოდა, საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცე-
ლებული, რადგან მათი პოვნის ადგილები ერთიმეორისაგან არა მარტო დიდი
მანძილითაა დაცილებული (დიდომი. ზემო ავჭალა, მეჯვრისხევი, სვანეთი და
სხვ.), არამედ იმ პუნქტებიდანაც. სადაც უკვე აღმოჩენილია ხსენებული ყა-
ლიბები.

შენგავითის ნამოსახლარის (სომხეთი) ზედაკულტურულ ფენაში (ოთახი
№ 2) ნაპოვნია კიდევ ერთი ორსაგდულიანი ყალიბი, რომლის მხოლოდ ერთი
ნატეხია შემორჩენილი (სურ. 182). იგი ქვისაგანაა დამზადებული, რომელშიაც
უადრესი სახეობის პატარა ყუადაქანებული ცულის მთელი სერიის ჩამოსხმაა
შესაძლებელი. ასეთი პატარა ცულები საკმაო რაოდენობით მაიკოპის კულ-
ტურაშია აღმოჩენილი. მაგრამ რამდენიმე ეგზემპლარი ნაპოვნია სამხრეთში
(ლენინაკანი. სურ. 183) და საქართველოში (ქვემო ქართლი. შიდა ქართლი, სურ.
1812). ამ ცულების ადგილობრივად ამიერკავკასიაში ჩამოსხმის დადგენას
უთუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ახლა უფრო შესაძლებელია დავუშ-
ვათ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სამხრეთ რაიონებში წარმოდგენილი მეორე
სახეობის ცულების ადგილობრივად დამზადებაც. ასეთი იარაღია მალაქლუს
სამოსახლოებზე (სურ. 1811), არარატის ველზე, ყარსის ოლქში და ქარაზში
აღმოჩენილი შედარებით დიდი ზომის ყუადაქანებული ცულები. არაა გამო-
რიცხული, რომ სწორედ ამათგან უნდა იყოს განვითარებული ძვ. წ. III ათას-
წლეულის მეორე ნახევარში საჩხერის რაიონში ფართოდ გავრცელებული

მოხრილი, გრძელპირიანი, უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული, ყუადაქანებული ცულების დიდი უმეტესობაც.

ამიერკავკასიაში მეტალურგიული წარმოების განვითარებას გრძელდროიანი ნამზადების ჩამოსასხმელი ყალიბების აღმოჩენაც ადასტურებს (სურ. 18გ). ამათგან მთლიანია მხოლოდ ერთი, რომელიც ეჩმიაძინის რაიონშია ნაპოვნი (სომხეთი); დანარჩენი სამი უმნიშვნელო ნატეხების სახით აღმოჩნდა ნახჭევანის ქიულ-თეფესა და ამირანის გორაზე. თუმცა მათი მიხედვით ძნელია იმის გარკვევა, თუ ასეთ ყალიბებში როგორი სხმულები მიიღებოდა. მაგრამ აქ მაინც შეიძლება დაეუშვათ, რომ ამირანის გორაზე ნაპოვნი ყალიბში ისეთი ნამზადი ჩამოსხმებოდა, რომლის შემდგომი გამოჭედვით სწორიანი შუბისპირის დამზადება იქნებოდა შესაძლებელი (სურ. 18გ). ასეთი ვარაუდისათვის სხვა ხელშესახები მონაცემებიც არსებობს; ადგილობრივად დამზადებული უნდა იყოს ყველაზე მარტივი სახის გრძელდროიანი შუბისპირები, რომლებიც შიდა ქართლსა (ქულბაქევი) და მესხეთშია აღმოჩენილი. უნდა ვიფიქროთ, რომ მსგავსი იარაღის მისაღებად სწორედ ახალციხის ამირანის გორაზე ნაპოვნი ყალიბი უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ყალიბებში ჩამოსხმით მიღებულ ერთ-ერთ უადრეს ნაწარმს წარმოადგენს პატარა ზოდები, რომლებსაც უკვე სტანდარტული ზომა და ფორმა აქვთ (სურ. 18ი). ასეთი პატარა ორწახნაგოვანი ზოდები აღმოჩენილია მალაქლუსა (აზერბაიჯანი) და გუდაბერტყას (შიდა ქართლი) სამოსახლოებზე.⁵¹ ამ ზოდების ცხელი წესით მოჭედვით შეიძლებოდა სხვადასხვაგვარი პატარა ნივთების დამზადება, მაგრამ აქ გამორიცხული არაა, რომ ზოდებად შენახული ლითონის ხელახალი შეღობით შეეძლოთ დაემზადებინათ დიდი და პატარა სატევრები თუ დანები (სურ. 18ჟ), ნამგლები (სურ. 93,5). გრძელდროიანი საკინძები (სურ. 97) ან სხვა ნივთები. ყველა ამ კატეგორიის ნივთს ყალიბებში მათი ჩამოსხმის შემდეგ ესაჭიროებოდა დამატებით ცხელ მდგომარეობაში დამუშავება — გამოჭედვა, სამანკვლე ნახვრეტების გაკეთება (სატევრები, ნამგლები, საკინძები) და სხვ. ამიტომაც არის, რომ ეს ზოდები სწორედ შენადნობისათვის დამახასიათებელი ლითონის შემადგენლობით გამოირჩევიან.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ამავე დროს წარმოდგენილია ყალიბის დაკარგვის წესით, ანუ ცვლის მოდელით ჩამოსხმული ისეთი პატარა ნივთები, რომლებსაც დამატებით დამუშავება აღარ ესაჭიროებოდა; ასე დამზადებული ჩანს სხვადასხვა მძივები, ერთნახევრიანი ხვიები (სურ. 197), რომბული, მთვარისებრი და თოხისებრი საკიდები, რო-

მელთა ყუნწებიც ჩამოსხმის შემდეგ ცხელ მდგომარეობაში უნდა იყოს გახვრეტილი (სურ. 19_{2,5}).

ყველა ზემოთ ხსენებული თავისებურება, რომელიც „მტკვარ-არაქსის“ მეტალურგიას ახასიათებს, ცხადია, აქ ერთბაშად თავს ვერ იჩენდა. მეტალურგიის განვითარების საწყის ეტაპზე ეს თავისებურებანი უთუოდ თ ა ნ დ ა თ ა ნ ო ბ ი თ გ ა მ ო ვ ლ ი ნ დ ე ბ ო დ ა. ამის ერთ-ერთი მანიშნებელია „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის სხვადასხვაგვარი ქიმიურ-ტექნოლოგიური მონაცემები.

ძველი მეტალურგიის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში იმ ხანებში უკვე წარმოდგენილია მადნისეული სპილენძი. რომლის შემადგენლობაშიც დარიშხანთან ერთად სხვა ბუნებრივი მინარევებიც შედის. ასეთ მადნისეულ სპილენძში დარიშხანი 2%-ს არ აღემატება. ამ სპილენძისაგან ძირითადად ცივი ჰედვით დამზადებულია ს ა დ გ ი ს ე ბ ი, ა ნ კ ე ს ე ბ ი, ნ ე მ ს ე ბ ი, ე. ი. ისეთი ნივთები, რომლებიც თავისი ფორმით ადრეულ ხანაში ფართოდ ხმარებული ძვლის იარაღების მოყვანილობას იმეორებს. მეტალურგიის განვითარების გარკვეულ საფეხურზე თავს იჩენს უკვე ახალი სპეციალური ფორმისა და დანიშნულების ნივთები, რომელთა დამზადებას უკვე ახალი ტექნიკური თვისებების მქონე მასალა და შრომის თავისებური ჩვევებიც ესაჭიროება. გ. ჩაილდის აზრით ასეთ სპეციალურ ნივთს წარმოადგენს ტ ა რ გ ა ს ა ყ რ ე ლ ი ც უ ლ ი და ბ ო ლ ო მ ო კ ა უ ჰ ე ბ უ ლ ი ა ნ მ ა რ ყ უ უ თ ა ვ ი ა ნ ი ს ა კ ი ნ ძ ი (სურ. 18₆).⁵²

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის წარმოდგენილ ეტაპზე უკვე საკმაოდ კარგად ჩანს სხვადასხვაგვარი შემადგენლობის დარიშხანიანი სპილენძის ფიზიკურ-ტექნოლოგიური თავისებურებანი. ირკვევა, რომ შედარებით დიდი ზომის საბრძოლო-სამეურნეო დანიშნულების ხელსაწყო-იარაღებში (სატევარი, შუბისპირი, ცული, ნამგალი და სხვ.), რომელთა ჩამოსხმის შემდეგ საჭირო ხდება მათი ცხელ მდგომარეობაში ჰედვით დამუშავება. დარიშხანის შეყვანა სპილენძში ჰედვის თვალსაზრისით დასაშვებია 1%-დან 7%-მდე.

დარიშხანიანი სპილენძის გაღობა 750 გრადუსამდე ხერხდება და თავისი კარგი ჩამოსახმელი თვისებებით კ ა ლ ი ა ნ ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ა ც კ ი ა რ ჩ ა მ ო უ ვ ა რ დ ე ბ ა.⁵³ როგორც ირკვევა, მიუხედავად დარიშხანის ადვილი აორთქლებისა, მეტალურგიაში ის ფართოდ გამოიყენებოდა. არაა გამორიცხული, რომ სპილენძში დარიშხანის მეტი რაოდენობით შეყვანა მხოლოდ მისი ტექნოლოგიური თვისებების შეცვლის აუცილებლობითაა შეპირობებული. ირკვევა, რომ სპილენძში 10 — 22%-მდე დარიშხანის შეტანა ცვლიდა თვით ამ

შენადნობის შეფერილობასაც და მას აძლევდა სასიამოვნო თუთრ ბზინვარებას. აღსანიშნავია, რომ ჩამოსხმით დამზადებული მძივები და საკიდები. რომლებსაც ყოველთვის სწორედ მოთეთრო ფერი აქვთ, დარიშხნის ასეთი მაღალი პროცენტულობით გამოირჩევა. ამ რაოდენობით სპილენძში დარიშხნის შეყვანა ზოგიერთი მკვლევრის აზრით სპილენძისა და დარიშხანის მადნების ერთმანეთის შერევით და მათი ერთად გამოდნობით უნდა მომხდარიყო.

„მტკვარ-არაქსის“ კულტურაში მეტალურგიის განვითარების მაღალ დონეს ვერცხლისა და ტყვიისაგან დამზადებული სამკაულის ხშირი აღმოჩენაც ადასტურებს. მაგალითად. ქიულ-თეფეს, ამირანის გორისა და შენგავითზე აღმოჩენილია ვერცხლისა და ტყვიისაგან ნაკეთები ხვიები. რგოლები და „კვერთხის თავი“. ორივე ეს ლითონი ამიერკავკასიაში ძირითადად მათი შემცველი მადნების გამოდნობით მიიღებოდა და ამიტომაც ამ ნივთების პირველი გამოჩენა „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენაა.

აქ მოკლედ მიმოხილული მასალა გვიდასტურებს, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში წარმოდგენილია უკვე ნამდვილი მეტალურგიისათვის დამახასიათებელი ადგილობრივად წარმოებული პროდუქცია.

ადგილობრივი მეტალურგიის თავისებურებანი უფრო მეტი თვალსაჩინოებით მაშინ ვლინდება, როდესაც ურთიერთს ვადარებთ „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ლითონის ნაწარმს და იმპორტულ პროდუქციას. საყურადღებოა, რომ „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში კალიანი ბრინჯაოსაგან დამზადებული ნივთები თითქმის არაა აღმოჩენილი; გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ შენგავითისა და ბაბა-დერვიშის სამოსახლოებზე ნაპოვნი ორად ორი ნივთი --- რგოლი და ანკესი, სადაც კალა 1-დან — 8%-მდე⁵⁴ აღწევს. მეორე მხრივ აღსანიშნავია მაიკოპის ყორღანში სამხრეთიდან შემოტანილი სპილენძის ნივთებში ნიკელის მაღალი პროცენტულობა, რომელიც არაა დამახასიათებელი „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში წარმოდგენილი ლითონისათვის.⁵⁵

„მტკვარ-არაქსის“ კულტურის მეტალურგიის საწყისი ეტაპი ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარზე მოდის. ამის შემდეგ იწყება მისი განვითარების შემდგომი საფეხური, რომელიც ყველაზე აშკარად გამოხატულია საჩხერის რაიონში. ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში შემუშავებული ტექნოლოგია აქ ფართოდ გამოიყენება და ამის შესაბამისად ადგილობრივად დამზადებული ნივთების ნაირსახეობაც მატულობს. მასში თითო-ოროლა ოქროს სამკაულთან ერთად პირველად იჩენს

თავს „სპილენძის“ მილყურიანი ვიწრო ტარის მქონე ცულები. რომელთა ჩამოსხმა უკვე ცვილის მოდელის გამოყენებით ხდება, მზადდება „მეტივეური“ და ნამგლისებრი პირის მქონე ცულები, რომლებიც პრაქტიკული მიზნისათვის ნაკლებად გამოსადეგია და სარიტუალო დანიშნულებისა უნდა იყოს.

საჩხერის სამაროვანზე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრისადმი განკუთვნილ კომპლექსებში მრავლად ჩნდება მაღალყუნწიანი, მხრებდაქანებული სატევრები, რომელთა პირს ზოგჯერ რელიეფური ზოლებიც დაჰყვება.

ამ იარაღის ზოგიერთ ეგზემპლარს შედუღებული აქვს მდიდრულად შემკული ჩამოსხმული ტარი. ასეთი იარაღის გამოხატულებას პირველად ქვაცხელების ერთ-ერთ უძველეს თიხის კურკელზე ვხვდებით (ტაბ. IX₄, სურ. 1710). აღნიშნულ ხანაში ქვაცხელებისა და ქიულ-თეფეს სამოსახლოს შედარებით ადრეულ საფეხურზე წარმოდგენილი გრძელღეროიანი ან ხი შ ტ ი ს ე ბ რ ი შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი ახლა უფრო მომრავლებული ჩანს და უკვე ტიპობრივი ნაირსახეობითაც გამოირჩევა. იგივე შეიძლება ითქვას ბორბლისებური დაბოლოების მქონე ქინძისთავეებისა და ბოლომოკაუჭებული ან მარყუჟთავეიანი საკინძების შესახებ (სურ. 186), რომელთა ერთი ნაწილი აგრეთვე ცვილის მოდელის შემწეობით უნდა იყოს დამზადებული. ამასთანავე აღსანიშნავია. რომ ამავე ხანაში განსაკუთრებით მოჭარბებულია „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეულ ხანაში წარმოდგენილი საკინძი, რომელსაც ცხვრის რქისებრ დახვეული თავი აქვს (სურ. 97).

აღნიშნულ პერიოდში. როგორც ირკვევა. ზოგიერთ რაიონში, რომელიც ამიერკავკასიის ჩრდილოეთ ნაწილშია მოქცეული (მაგალითად, საჩხერე), სპილენძში დარიშხანთან ერთად გვხვდება ანტიმონიც, რომელიც საგრძნობლად აუშკობებს ლითონის მექანიკურ და ფიზიკურ თვისებებს. საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ხანაში „მტკვარ-არაქსის“ კულტურის სხვადასხვა საწარმოო რაიონში ლითონის შემადგენლობის თვალსაზრისით უკვე მეტი ნაირგვარობა შეიმჩნევა. მაგალითად, ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში დაღესტანში მცირე პროცენტების დარიშხნის ან ანტიმონის შემცველი სპილენძის ნივთები გვხვდება, ხოლო მისგან დასავლეთით (მაიკოპის კულტურაში)—ნიკელი და სამხრეთით კი (აზერბაიჯანი, საქართველო) — ბევრად უფრო მეტი რაოდენობის დარიშხანი და ანტიმონია.

ამრიგად, გაკვრით მოხსენებული ყველა ის მონაცემი, რომელიც აშკარად მიგვითითებს ადგილობრივი მეტალურგიის თანმიმდევრულ განვითარებაზე, უკვე ერთიან სურათს ქმნის „მტკვარ-არაქსის“ კულტურის იმ საერთო მაღალი წარმოებითი დონის შესახებ, რაც აქ უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში არსებობდა.

გ. მატარიალური კულტურის ზომიერითი თავისებურება
ადრეული ბრინჯაოს ხანაში

„მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის შესწავლა-დახასიათებას და ამ კულტურის ძირითადი თავისებურებების განსაზღვრას თავისი ისტორია აქვს. მისი პირველი და მართებული ისტორიულ-ქრონოლოგიური განსაზღვრა ე. ბაიბურტიანს ეკუთვნის. მან ამ ოცდაშვიდიოდე წლის წინათ შენგავითზე წარმოდგენილი ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურა მთლიანად ადრეული ბრინჯაოს ხანას მიაკუთვნა⁵⁶. მაგრამ ძვ. წ. III ათასწლეულის ძეგლების დაჯგუფების პირველ ცდას იძლევა ი. ჰუმელი, რომელმაც აზერბაიჯანში გათხრილი ყორდანული სამარხები და კულტურული ფენები ორ დიდ ქრონოლოგიურ პერიოდად დაჰყო. ძველი ყორდანები, მისი აზრით, ენეოლითური, ანუ სპილენძის ხანის მასალას შეიცავდა, შედარებით მოგვიანო კი — ადრეული ბრინჯაოს პერიოდის ძეგლებს⁵⁷.


1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოში პირველმა მიაქცია ყურადღება საჩხერის ადრეულ ძეგლებს. მან საჩხერეში გათხრილი ერთ-ერთი ყორდანი, რომელშიაც ლითონის მრგვალი ნივთი აღმოაჩინა, სპილენძის ხანას მიაკუთვნა.⁵⁸

1936—1949 წლებში ბ. კუფტინმა თრიალეთისა და დაბლა-გომის მასალების შესწავლასთან დაკავშირებით თავი მოუყარა და ათეული წლის მანძილზე სწავლობდა სხვადასხვა მუზეუმებში დაცულ იმ მრავალრიცხოვან კერამიკულ მასალას, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულს ეკუთვნის. მან საერთოდ შეიმუშავა კავკასიის ძეგლთა ერთიანი პერიოდიზაცია. აქ მან განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითურ კულტურას, რომლის საწყისები, მისი აზრით, სპილენძის პირველი გამოჩენის ხანას ეკუთვნოდა, ხოლო განვითარებული გვიანენეოლითური ეტაპი — სპილენძის ნივთების მრავლად დამზადების პერიოდს. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ამ მნიშვნელოვანი ისტორიული მონაკვეთებისადმი განკუთვნილი მასალების კუფტინისეული კლასიფიკაცია ძირითადად დამყარებული იყო ტიპოლოგიურ კვლევაზე, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კომპლექსების შემადგენლობასაც. ბ. კუფტინი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ერთ მიკრორაიონში (თრიალეთში) სხვადასხვა პუნქტებიდან (თრიალეთის კერა, ბეშთაშენის ციხე) მომდინარე ნივთთა ტიპოლოგიურ შედარებას და მათს ქრონოლოგიურ დანაწევრებას.

ამ მკვლევრის დასკვნით, მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ძვ. წ. III ათასწლეულში უკვე ჩამოყალიბებულია ნეოლითურ ტრადიციებზე აღმოცენე-

ბული ერთგვაროვანი კერამიკული ფორმებით წარმოდგენილი ერთიანი „ენეო-ლითური“ კულტურა. ასეთი ერთგვაროვანი ფორმების შემცველი თიხის ჭურჭელი, რომელთა კომპლექსში არაა სოლმე სხვა მასალისაგან (ქვა, ძვალი, ლითონი) დამზადებული ნივთები. აღმოჩენილ იქნა საქართველოს (ბეშთაშენის კერა, კიკეთი, დიდუბე) და სომხეთის (მალაქლიუ, არმავირბადური, ზაგლიკი), ძეგლებზე (სურ. 94.5). საყურადღებოა, რომ სირიაში ძველი ნეოლითური ტრადიციის შესაბამისად წინააზიური მოხატული ჭურჭლისაგან სრულიად განსხვავებული მოუხატავი და სადა კერამიკაც მზადდებოდა. ეს ჭურჭელი თავისი შემკულობით უახლოვდებოდა „მტკვარ-არაქსის“ ენეოლითურ კერამიკას. რის საფუძველზეც ამ კულტურას, რომელიც არქაულობის სხვა ნიშნებსაც ატარებს, ენეოლითურ ხანას აკუთვნებდნენ: კუფტინისეული შეხედულება ამ კულტურას საწყისების შესახებ, თითქოს ახალ დასაბუთებას პოულობს ზოგიერთი იმ სტრატოციკრებული მასალის სახით, რომლებიც ამ ბოლო ხანებში (კიკეთი, თეთრწყარო) აზერბაიჯანსა (ბაბა-დერვიში, ქიულ-თეფე) და საქართველოშია მოპოვებული. მაგალითად, ქიულ-თეფეს მეორე ფენის უძველეს პორიზონტებში აღმოჩენილია საკმაოდ ერთგვაროვანი არმავირ-ბლურისა და დიდუბის ტიპის კერამიკა; მართალია, ქიულ-თეფეს იერით კერამიკა საკმაოდ პრიმიტიულია, და ერთი შეხედვით, შეიძლება მიემსგავსოს „ნეოლითური“ თიხის ჭურჭელს, მაგრამ იგი მაინც მეტად განვითარებული ჩანს სტერილური ფენით გამოყოფილ უფრო ძველ კერამიკასთან შედარებით, რაც გამორიცხავს მის ენეოლითისადმი მიკუთვნებას. ამასთანავე, თიხის შემადგენლობაშიც არსებითი განსხვავებაა: უფრო გვიანდელი ხელით ნაძერწი ჭურჭლის დასამზადებლად თიხის მასაში ორგანული ნივთიერების ნაცვლად უკვე დაფხვნილ კვარცხს ან თიხის გამომწვარ მარცვლებს (შამოტს) ხმარობენ. „მტკვარ-არაქსის“ გვიანენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს პერიოდის კერამიკის ურთიერთ მიახლოებას სხვა ძეგლების მიხედვითაც ხერხდება. აქ იგულისხმება ბაბა-დერვიშის ზედა-კულტურული ფენის სადა კერამიკული მასალა, რომელიც აშკარად განსხვავდება იქვე აღმოჩენილ მდიდრულად შემკულ შენგავითის ტიპის თიხის ჭურჭლისაგან. ამავე თვალსაზრისით მკვლევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ თეთრწყაროსა და კიკეთის ზოგიერთ ადრეულ კერამიკას. რომელთა სტრატოგრაფიული მონაცემები თითქოს მათს სიძველეზე მიგვითითებენ.⁵⁹

აღსანიშნავია, რომ ბ. კუფტინს თავის დროზე უყურადღებოდ არ დაუტოვებია მალაქლიუს, არმავირ-ბლურისა და დილაკლიარის მიდამოებში აღმოჩენილი ის მოხატული კერამიკა, რომელიც საკმაოდ არქაული ჩანს და რომლის თარიღებისათვის ხელშესახები მასალები ჯერ კიდევ არ მოიპოვება. ბ. კუფტინ-



11

მა მოხატული ქურქელი აღმოაჩინა თრიალეთის ძვ. წ. III ათასწლეულის კომპლექსებშიც (ბეშთაშენის ციხეზე და ოზნში), სადაც კავკასიის გვიანნეოლითური კერამიკისაგან განსხვავებული მოხატულობა წარმოდგენილი (მოწითალო ფონზე შავი ზოლის სარტყელი და რუხი ფერის ნახატია). ამ ბოლო ხანებში ქვაცხელების ორივე დონეზე მოპოვებული მოხატული ქურქლის ზედაპირი მონაცრისფრო რუხი ფერის ანგობით არის დაფარული, ყელი კი წითლად აქვს შეღებილი. ამ ორი ფერის საზღვარზე შემოვლებულია შავი ზოლის სარტყელი, რომლის ზემოთ და ქვემოთ მოთავსებულია სახეები: ირმის და ბუქრანის გამოხატულება, წერტილები, რომები და სამკუთხედები. ცხოველებით მოხატული ეს კერამიკა სტილის თვალსაზრისით განსხვავდება მესოპოტამიური მოხატული კერამიკისაგან, რომელიც კავკასიაში გვიანნეოლითურ ხანაში ვრცელდებოდა. აქაური ქურქლის მოხატულობის ზოგიერთი ელემენტის მიხედვით (ირმების სტილიზაციის ხასიათი და მოხატულობის საერთო სიმარტივე) იქნებ ობეიდის ხანის მოხატულ კერამიკასთან მათი შორეული ურთიერთობის დანახვის შესაძლებლობას მოგვცემდა.

„მტკვარ-არაქისის“ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურის ადრეულ კომპლექსებში თავს იჩენს ქვისა და ძვლის ისეთი ნაწარმი, რომელიც უცხო არ უნდა იყოს ბრინჯაოს პერიოდის საწყისი ეტაპისათვის. ენეოლითურ კულტურისაგან განსხვავებით ამ კომპლექსებში შემაჯავალი ქვისა და ძვლის ნაწარმი შედარებით მცირე რაოდენობით ჩნდება, თუმცა აქ წარმოდგენილია ქვისა და ძვლის ისეთი ნაკეთობანი, რომლებიც საერთოდ ადრეული პერიოდიდანვე მიმდინარეობს; ქვის უროები, ხელსაფქვავეები, სასრესები, როდინის ქვები. კაქისაგან გამოყვანილი დაკბილული ჩასართები. ისრისპირები, ობსიდიანის თხელპირიანი დანები. ძვლის ნემს-მახათები. კვირისტავეები და ქვის იარაღი. მაგრამ ყოველივე ეს თითქმის სახეშეუცვლელად გადმოდის ბრინჯაოს ხანაშიც. აღსანიშნავია, რომ იმავე ძეგლებზე. სადაც ქვის ნაწარმის სიმრავლეა დადასტურებული, ლითონწარმოების განვითარების ისეთი დონის მანიშნებელი ფაქტებია დადგენილი. რაც გამორიცხავს მათს ენეოლითურ და მით უფრო „ნეოლითურ“ ეტაპისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას: მაგალითად, ბაბადერვიშის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ერთადერთი ლითონის ნივთი — ახკესი, დამზადებულია ისეთი ხელოვნური შენადნობისაგან, რომელშიც კალა 1%-მდეა შეყვანილი. ქიულ-თეფეა მეორე ფენის უძველეს პორიზონტზე მოპოვებულია არა მარტო სპილენძის ნამგალი (სურ. 17₄), არამედ ტარგასაყრელი ცულის ჩამოსასხმელი ორსაგდულიანი ყალიბიც (სურ. 17₆). აღნიშნულის გამო არაა გამორიცხული, რომ ზემოთ ხსენებულ კომპლექსებშიც, რომლებშიც ლითონის არც

ერთი ნივთი არ აღმოჩენილა (თეთრწყაროს და დიდუბის ნამოსახლარი ან კიკეთის სამაროვანი), ნამდვილად მოსალოდნელია ადრეული ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის დადასტურება.

„მტკვარ-არაქსის“ უკვე წარმოდგენილ გვიანენეოლითურ და ადრეული ბრინჯაოს კულტურებს შორის უნდა არსებობდეს ქრონოლოგიური ხარვეზი, რომელიც ქიულ-თეფეზე 0,40 მ სისქის მქონე სტერილური ფენის არსებობით დასტურდება. ე. კრუპნოვისა და ვ. მასონის ვარაუდით არაა გამორიცხული ქიულ-თეფეზე, სწორედ იმ ნაწილში, რომელიც გათხრების დაწყებამდე განადგურდა, ხსენებული სტერილური შრის ნაცვლად იმ დროისვე წარმოქმნილი კულტურული ფენის არსებობა.⁶⁰ თუ ეს ვარაუდი დასაშვებია, მაშინ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სწორედ იმ პერიოდში, რომელიც ამიერკავკასიაში აშკარად ჯერ კიდევ არსად არაა წარმოდგენილი, უნდა ჩამოყალიბებულიყო ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნებიც. პირველ რიგში აქ იგულისხმება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი კერამიკის ტიპობრივი ჩამოყალიბება, რომელთა საწყისი ფორმები ჯერჯერობით არსად გამოვლენილი არ არის. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სადა ან რელიეფური ორნამენტით შემკული მრგვალმუცლიანი და მაღალი, ფართოყელიანი ქურქელი, რომლესაც ფრიად თავისებური ნახევარსფეროსებური ყურები აქვს (სურ. 10₁₀).

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის ძირითადი მასალების კლასიფიკაცია და მათი დათარიღება მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში უკვე გამოვლენილ სტრატოფიცირებულ ძეგლებს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ემყარება. ასეთი მეტ-ნაკლებად უკვე ცნობილი სტრატოფიცირებული ძეგლებია აზერბაიჯანში — ქიულ-თეფე, სადაც სულ მცირე 14 სამშენებლო პერიოდია წარმოდგენილი, ირანში — გეოი-თეფე, რომელიც 6 მეტრზე მეტი სისქის კულტურულ ფენას შეიცავს, იანიკ-თეფეზე — 3,5 მეტრის კულტურული ფენა, საქართველოში — ქვაცხელები, რომელიც თითქმის მთლიანადაა გათხრილი და რომლის დაფენა 2,5 მეტრის სისქეს არ აღემატება, მაგრამ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის მნიშვნელოვან მასალებს შეიცავენ და ფრიად მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდებიან. ამ ძეგლების სხვადასხვა ფენაში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ნაშთები თავისი შემადგენლობით, და, რაც მთავარია, ტიპობრივი თავისებურებებით ერთმანეთისაგან მეტად უმნიშვნელოდ განსხვავდებიან და ამ ძეგლების მიხედვით მატერიალური კულტურის განვითარების ერთიანი კანონზომიერების დადგენა ძნელდება. ძნელდება აგრეთვე ამ სტრატოფიცირებული ძეგლების ერთმანეთთან ქრონოლოგიურად მი-

ახლოებაც. ამ ძეგლების უმეტესობა ურთიერთისაგან საკმაოდ დიდი მანძილითაა დაცილებული და თვითელი მათგანი ცალკეულ ლოკალურ კულტურას წარმოგვიდგენს. მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთ მიკრორაიონში გათხრილი სტრატოფიციარებული ძეგლები ნივთიერი კულტურის განვითარების ერთიან სურათს ვერ ასახავენ, რადგან ისინი ტიპობრივად განსხვავებულ მასალას გვაძლევენ. მაგალითად, შიდა ქართლში ყველა ცნობილი სტრატოფიციარებული ძეგლი (ქვაცხელები, ხიზანანთ გორა და გუდაბერტყა) არ შეიცავს ისეთ მასალებს. რომლებიც აღმოჩენილია ტყვიავში, მეჯვრასხევეში, ქულბაქევსა და ნაცარგორაზე და სხვ.



„მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის კერამიკა თავიდანვე ფორმების განსაკუთრებული სიმრავლით ხასიათდება. მათ შორის წარმოდგენილია სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი: ჯამი, კათხა, დერგი, დოქი, რომლებსაც ერთმანეთისაგან განსხვავებული პროპორციები და ფორმები აქვთ (სურ. 10, 12). მიუხედავად ამისა, არქაულ ჭურჭელს ახასიათებს ფორმების შედარებითი სიწადავე, უმნიშვნელო დიფერენცირებულობა და ცალკეული ნაწილების მკვეთრი მოხაზულობა, რაც იმას გვანიშნებს, რომ თითოეული მათგანი ტიპობრივად მეტნაკლებად მაინც უკვე ჩამოყალიბებულია. აღსანიშნავია, რომ ყველა ჭურჭელს უკვე უნიფიცირებული ყურია აქვს: შეერილისებური წანაზარდი, ნახევარსფერული ან კიდევ მრავალტოტა ყურები. უძველესი ფართობირიანი კერამიკა (ცილინდრული ფორმის კათხა, პირფართო დერგი და სხვ.) მოითხოვდა გარე და შიდა პირის საგანგებო დამუშავებას. სხვათაგან განსხვავებით მათი შიდაპირი უმეტესად ვარდისფერსარჩულიანია, ხოლო ზედაპირი შავად შებოლილი და გაკრიალებული (არმავირ-ბლური, ზაგლიკი, ზღუდრისგვერდა, კიკეთი და სხვ.). დანარჩენი იმედროული ჭურჭელი ან წითელზედაპირიანია (თეთრწყარო, ბაბა-დერვიში, ქვაცხელები, გუდაბერტყა), ან კიდევ მურა-ნაცრისფერი (თეთრწყარო, ქიულ-თეფე, კიკეთი, ზემო ავჭალა, დიდუბე). აღნიშნული კერამიკის უდიდესი ნაწილი სადაა, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე, ჭურჭლის ცალ მხარეს ჩნდება მაღალი რელიეფით გამოყვანილი ორნამენტი, რომელიც სწირად ყურის ქვემოთაა მოქცეული (სურ. 15_{1,3,5,7,9}). ამ ადრეულ ჭურჭელთა შორის ნაკაწრი ხაზებით შესრულებული ორნამენტაციაც გვხვდება (თეთრწყაროს ნამოსახლარი).

ამ ორგვარი ორნამენტაციის ხხვაობა მარტო შესრულების ხერხებში არ ვლინდება. რელიეფური ორნამენტი არსებითად თითქმის ყოველთვის სიუჟეტურია — გარკვეული შინაარსის გამომხატველი. წარმოდგენილ ასტრალურ ნიშნებთან ერთად (სპირალი, მეანრი, მთვარის გამოსახულება) ზოგჯერ გამოყვანილია საკუთხეველი! (გეოი-თეფე, ქიულ-თეფე, ამირანის გორა, ოზნი, კაიაკენტი, ველიკენტი), ყველა შემთხვევაში, ეს ორი ნიშანი ქურჭლის ყურს ქვემოთაა მოქცეული და აშკარად გამოხატავს შეწირულების ცნებას. მიაი შინაარსობრივი კავშირი ყველგან ერთნაირად არაა წარმოდგენილი. შესაძლებელია, რომ დაღესტანში ქურჭლის ყურს ქვემოთ მოქცეული მარტივი კომპოზიცია ყველაზე გვიანდელი იყოს, რადგან მცირე აზიასა (ალიშარი) და ირანში (იანიკ-თეფე) ცალკეული ასტრალური ნიშნები (მოხატვით გაკეთებული გასხივოსნებული მზე და სპირალი) შედარებით მოგვიანო ხანას ეკუთვნის და თითქმის უკვე წმინდა ორიენტაციის ხასიათს ატარებს. სიუჟეტურია აგრეთვე ქურჭლებზე და სარქველებზე ცალკეული ცხოველების (ირემი) და ფრინველების (წეროების) გამოსახულებანი (გეოი-თეფე, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა), რომელთა მნიშვნელობა მკიდრო კავშირშია ნაყოფიერების კულტთან და ზოგჯერ აპოტროფიული ხასიათისა უნდა იყოს (სურ. 15_{ა,ი}). ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია წყვილად გამოსახული წეროები (სურ. 11, 15_გ), რომელთაგან ზოგიერთი სპირალთანაა დაკავშირებული (ოზნი, ამირანის გორა).

წეროების ზოგიერთი გამოსახულების აპოტროფიული მნიშვნელობა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ჩანს ქურჭლებზე, სადაც ჩვეულებრივი ორმაგი სპირალის ნაცვლად (სურ. 10_ფ), კომპოზიციის ცენტრალურ ნაწილში მოქცეულია სტილოზებული ვერძის თავი მრავალხვია რქებით (სურ. 15_გ). ასეთივე მნიშვნელობისაა გუდაბერტყას, ხიზანანთ გორის, ამირანის გორისა და ქარაზის „შემკულობა“ (სურ. 10_გ, 15_გ), რომელიც, ერთი მხრივ, ურისა და ჯემედეთ-ნასრის ბექდებზე წარმოდგენილ ორმაგ სპირალებთან სახეებსა და, მეორე მხრივ, კი სიალკის უძველეს ქურჭლებზე მოცემულ წმინდა ხის გამოსახულებას ემსგავსება⁶¹. „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში ამ სახეებთან ერთად ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ან მათ ზემოთ, ცენტრალურ ადგილას, გამოსახული წეროების პირვანდელი ტოტემური მნიშვნელობის ნაცვლად, უკვე მოცემულია რთული კოსმოგონური შინაარსის მქონე კომპოზიცია, რომელიც სავსებით შეესატყვისება დაწინაურებული, მიწათმოქმედ-მესაქონლე ტომების რელიგიურ წარმოდგენებს.⁶²

ქრონოლოგიურად მომდევნო. მეორე კერამიკული ჯგუფი. რომელიც ქურჭ-

ლის ფორმების სიმრავლითა და ცალკეული ნაწილების პროპორციების განსაკუთრებული ნაირსახეობით ხასიათდება. ყველაზე კარგად წარმოდგენილია საქართველოსა (ბეშთაშენი, ოზნი, შულავერის II ბორცვი, ამირანის გორა, ქვაცხელები, გუდაბერტყა) და სომხეთის (ქოსიკოტერი, შენგავითი, შრეშ-ბღური, ქიულ-თეფე) სამოსახლოებზე; ამგვარი კერამიკის ნიმუშები აზერბაიჯანში მხოლოდ ბაბა-დერვიშის სამოსახლოზე გვხვდება.

განსახილველი კერამიკის ერთი ნაწილი „მტკვარ-არაქის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის თავისებურებას ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ ავლენს (სურ. 13, 14). აქ იგულისხმება ქურქლია ის ძირშევიწროებული ფორმები, რომლებსაც მკვეთრად გამოეყოფათ მუცლის შუა ნაწილი, ხოლო მხრებს ზემოთ მოქცეული ყელი თითქმის ყოველთვის დაბალი და გადაშლილი პირით სრულდება. ზემოთ აღწერილი კერამიკისაგან განსხვავებულია ხელყურბანი, შედარებით პატარა ზომის ქურქელი, რომელიც თავისი მდიდრულ შემკულობით დიდი ზომის დერგებს არ ჩამოუვარდება (სურ. 13, 14).

დახასიათებული კერამიკის ძირითად გამაერთიანებელ ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს მათი შავპირილა ზედაპირი, შექობის მრავალგვაროვანი ხერხები (დაბალი რელიეფური სახეები, ჩაღრმავება-ამობურცვით დატანებული ორნამენტაციისა და მკრთალად, მსუბუქად ნაკეთები ნაკაწრის კომბინაციების სიხშირე), სხვადასხვანაირად გამოყვანილი სახეების სტილიზაცია და მათი სირთულე.

მეორე კერამიკული ჯგუფი, რომელიც ამ ტიპის ქურქელთან ერთად გვხვდება, ძირითადად აგრეთვე ძირშევიწროებული ფორმებითაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი შეფერილობაც და შემკობაც განსხვავებულია. გვხვდება ნაცრისფერი თხელკედლიანი დოქისებული ქურქლები, რომლებსაც თანაბრად ამობერილი მუცლები აქვთ. მაგრამ დაბალი პირგადაშლილი ყელი კი ძლიერ შევიწროებულია (სურ. 12_ა). აქვეა მუცელწიბოიანი თიხის ისეთი ნაწარმი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად შიდა ქართლისა და საჩხერის რაიონში ჩნდება. ამ ქურქლის ზედაპირი ხშირად მოწაბლისფრო-მოწითალოა. ქურქელთა ერთ ასეთ ჯგუფს თავისებურად — მუცლის შუა ნაწილთან ან მის ქვემოთ — განლაგებული სამ-სამი ყური აქვთ (სურ. 12_ბ).

სომხეთსა და საქართველოში წარმოდგენილ კერამიკას ძირითადად ახასიათებს რელიეფური ან ამორმავებული-ამობურცული სახეების მხოლოდ ერთ მხარეზე გამოყვანა (სურ. 13). ზემოთ აღწერილი ორნამენტისაგან განსხვავებით, სადაც აშკარად იყო გამოხატული შემკულობის შინაარსობრივი მხარე, აქ უკვე ეს შინაარსი „შეცვლილია“ და არსებითად მას ორნამენტის მნიშვნელობა ეძლევა (სურ. 13, 14, 15_{2,4}). აღნიშნულ ეტაპებს შო-

რის შუალედურია წეროების გამოსახულებათა ერთი ჯგუფი. მასში შერწყმულია შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული, ძლიერ სტილიზებული წეროები და ასტრალური ნიშნები (მეანდრი და სპირალი). ბეშთაშენის ჭურჭელზე ასეთი სტილიზებული წეროების მწკრივის სათავეში მყოფ ერთ-ერთ წეროს თავის ნაცვლად, მრავალხვიანი სპირალი აქვს გამოყვანილი (სურ. 146, 112). მსგავსი გამოსახულებანი გვხვდება, აგრეთვე, ოზნის (სურ. 117), შულავერის II ბორცვისა და ქოსიკოტერის (სურ. 117) ჭურჭლებზე. რომლებზედაც ურის ერთ-ერთი ცილინდრული საბეჭდავის მსგავსად ხოქოს თავიც სპირალით სრულდება (სურ. 119)⁶³. აქ ამგვარი შერწყმით განსახიერებულია მზის (სპირალის) ღვთაებისა და მისი ატრიბუტის (ფრინვლის) კავშირი. ფრინვლის ასტრალური მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში, გამოსახულია წეროს შეწარვის იდეაში. ასეთი შეწირული წეროები გამოსახულია (სურ. 1612. ტაბ. VIII) ახალციხის ამირანის გორის ერთ-ერთ თიხის ჭურჭელზე ან კიდევ მეჯვრისსევში აღმოჩენილი სპილენძის ერთ-ერთი ჭურჭლის ძირზე, სადაც გამოსახულ ფრინველს კისერი აგრეთვე გადაკვეთილი აქვს (სურ. 167). წეროს შეწარვის აქტს გამოხატავს ახალციხის ამირანის გორის ჭურჭლის ხსენებულ პიქტოგრაფულ მწკრივში შეწირული წეროს წინ გამოყვანილი ბომონისებური ნიშანიც (ტაბ. VIII).⁶⁴ აღნიშნული „შემკულობის“ შემდგომი სტილიზაცია უკვე მთლიანად ცვლის ამ სახეების თავდაპირველ შინაარსს და ორნამენტული მოტივების სახით წარმოგვიდგება (სურ. 152,4). ძველად დაწყვილებული წეროები, რომლებსაც თავის მაგიერ უკვე მცირედ დახვეული სპირალები აქვთ, მეტად გადატივრთულ გარემოშია მოცემული: ჭურჭლებზე გამოხატულია ერთმანეთისაგან განცალკევებით მყოფი სპირალები. კონცენტრული წრეები, ირიბი ზოლები და სხვა სახეები. სწორედ ასეთი რთული ორნამენტული მოტივებით შემკული თიხის შავპრიალა ჭურჭელი (სურ. 13) ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულია მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში. სომხეთსა და საქართველოს გარდა იგივე ორნამენტული სახეები და მსგავსი მოტივები გვხვდება აღმოსავლეთ ანატოლიაში (ქარაზი, ვანის მიდამოები, ელიაზიგას მხარე და სხვ.).

აღნიშნული პერიოდის კერამიკა, წინა ჯგუფის თიხის ჭურჭლისაგან განსხვავებით. შეიცავს ნაკაწრით შესრულებული სამკუთხედების, მეანდრებისა და სხვა სახეებს, რომლებიც მეტწილად ჭურჭლის მხარს გარს უვლის (სურ. 14). ნაკაწრით შესრულებული გეომეტრიული ორნამენტაცია სირიაში, ხმელთაშუა ზღვის კულტურულ წრეში ადრევე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს ემყარება და ამ საფეხურზე ძველი, ადგილობრივი სახეებისა და ახლად შემოსული გეომეტრიული მოტივების ერთად გამოსახვის პირველ ცდებს გვაძლევს.


მესამე ჯგუფის კერამიკა, რომელიც ყველაზე გვიანდელი ჩანს, ჯერჯერობით გამოვლინდა ახალციხის ამირანის გორის სამარხებში (ტაბ. VI), ბალანთის სამოსახლოზე, თრიალეთის უძველეს ყორღანებში, საჩხერის ყორღანულ სამარხებში (სურ. 14_{1,2}), სევანის ტბის უძველეს სამარხებსა და იანიკ-თეფეს (ჩრდილოდასავლეთი ირანი) სამოსახლოს გვიანდელ ფენებში (სურ. 14₃).

ამ მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში მოქცეული ჭურჭლის დიდი უმეტესობა შეადგენს პირფართო, მაღალყურიან ხელადებს, ყელფართო მხრებმომრგვალებულ ქოთნებს, კვერცხისებური მოყვანილობის დაბალყელიან დიდ დერგებს და კიდევ სხვა დანიშნულების ჭერქელს, რომლებსაც თითქმის ყველა შემთხვევაში ვიწრო ან ზოგჯერ ქუსლივით გამოყოფილი ძირი აქვს (სურ. 14₄). ზოგს კი — ბადიების სხვადასხვაგვარი ფორმები. შეფერილობით აქაც ყველაზე მეტია შავპრიალა ჭურჭელი. ნაწილს მდიდრულად შემკულ ზედაპირთან ერთად, ვარდისფერპარჩულიანობაც ახასიათებს. თავს იჩენს სუსტად გაპრიალებული, მეტწილად სადა ზედაპირის მქონე მოწითალო-აგურისფერი ჭურჭელიც.

წინა ჯგუფში შემავალი ჭურჭლისაგან არსებითად განსხვავდება შავპრიალა ორნამენტირებული კერამიკა. აქ სპირალური მოტივებით შემკულია ჭურჭლის თითქმის მთელი ზედაპირი. ამ შემკულობას შეადგენს „უწესრგოდ“ გაბნეული, ერთმანეთისაგან განცალკევებული სამკუთხედები, ხეიბი, კონცენტრული წრეები და ირიბად დაქანებული ზოლები (სურ. 14). გამონაკლის შემთხვევაში, ეს მოტივები ერთმანეთთან დაკავშირებულია კიბისებური ჩარჩოებითა და ხეიბით, რომლებიც ადრეულ ჭურჭელზე მხოლოდ ერთ განსაზღვრულ ადგილას ექცეოდა (სურ. 10, 11). ამ მოტივების დატანა ჭურჭლის ზედაპირზე წარმოებს ჩაღრმავებულ-ამობურცული ზოლებით და, აგრეთვე, ნაკაწრი ხაზებითაც (სურ. 13, 14). ნაკაწრი ხაზებითაა გადმოცემული ძლიერ სტილიზებული ირმები და წეროები (იანიკ-თეფე). მთელ ამ ჯგუფს სავსებით დაკარგული აქვს სიუჟეტური კომპოზიცია და მხოლოდ ორნამენტული მოტივებისაგან შედგება.

როგორც დავინახეთ, „მტკვარ-არაქისის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ზოგიერთი თავისებურება, რომლებსაც ყველაზე მრავალრიცხოვანი მასალა — კერამიკა — ავლენს, ცხადია, ამ დროის თიხის ნაწარმის დამახასიათებელ ნიშნებს მთლიანად არ გამოხატავს, მაგრამ ზემოთ აღნიშნული განმსაზღვრელი თავისებურებები ემთხვევა იმ დაჯგუფებას, რომელიც ბ. კუფტინმა მთელი ჭურჭლის ტიპოლოგიური შესწავლის შედეგად მიიღო. ამ დაჯგუფების დროს სხვა განმსაზღვრელ ნიშნებს შორის თავის დროზე მხედველობაში შემკულობაც იყო მიღებული. ამ ჭურჭლის შემკულობის ზემოთ აღნიშნული ცვლილება უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ამ მასალების შესწავ-

ლის დღევანდელ ეტაპზე მათი თარიღები არსებითად უცვლელი რჩება და მხოლოდ იმ ახალ პერიოდიზაციას შეესაბამება, რომელსაც ა. იესენი გვთავაზობდა: აქ, პირველ ჯგუფში გაერთიანებულია თიხის ის ნაწარმი, რომელიც ადრეული ბრინჯაოს I პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს (სურ. 10), მეორე ჯგუფის კერამიკა



სურ. 18.

ადრეული ბრინჯაოს II პერიოდს (სურ. 11, 12), ხოლო მესამე ჯგუფის თიხის კურკელი კი ადრეული ბრინჯაოს III პერიოდს შეიძლება მიეკუთვნოს (სურ. 13, 14).

ამ ეტაპებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირველ პერიოდს, როგორც ამ კულტურის ახალი განმსაზღვრელი ნიშნებით წარმოდგენილ განვითარების უძველეს საფეხურს. ამ კულტურის ზოგიერთი სტრატოფიცირებული ძეგლის უადრეს კომპლექსებში (ჭიულ-თეფე, ხიზანანთ გორა) ხვდება შორის, უკვე ჩნდება ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი მასალა, მამაკაცის ქანდაკებანი, კერძოდ, კერპად გამოხატული თიხის ზესადგრები, პიქტოგრამული ნიშნების შემცველი ზოგიერთი კურკელი და, რაც მთავარია, ლითონის მრავალრიცხოვანი ნივთები, რომელთა შესახებ ზემოთ ვეჭონდა საუბარი.

ამ ადრეული ეტაპის აბსოლუტური თარიღის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეული აზრი უკვე არსებობს.

1950 წლიდან გეო-თეფეს სტრატოფიცირებული „K“ ფენის ქვედა ჰორიზონტის დასათარიღებლად პირველად გამოყენებულ იქნა მესოპოტამური ანალოგიები. მათი თარიღი მიახლოებულია ძვ. წ. III ათასწლეულის საწყისებთან. ტ. ბურტონ-ბროუნის კვლევის შედეგად, „მტკვარ-არაქსის“ ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურის დონე მთლიანად გაუთანაბრდა წინააზიურ, ადრე დაწინაურებულ, კულტურის დონეს.⁶⁵ ამის ერთგვარ საფუძველს იძლეოდა სხვა უცხოელი არქეოლოგების მიერ ჰიბრეტ-კერაკის კულტურის სამშობლოდ კავკასიის გამოცხადებაც. 1955 წელს დიდუბის ძეგლების თარიღის გადაწვეისათვის დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ჯემდე-თ-ნ-ას-რ-ის პერიოდისათვის დამახასიათებელ თიხის ზოგიერთ ნაკეთობათა გავრცელებას „მტკვარ-არაქსის“ კულტურაში.

ყოველივე ამან საფუძველი მოამზადა, რომ ჭიულ-თეფესა და ქვაცხელების უადრესი კულტურული ფენების C₁₄ მეთოდით მიღებული აბსოლუტური თარიღები, რომლებიც ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისთან მოდიოდა, არქეოლოგთა მიერ თითქმის იმთავითვე ერთხმად იქნა მიღებული. მართალია, ამ მხრივ ბოლო ხანებში ზოგი რამ თითქოს ერთგვარად რევიზირებულ იქნა, რადგან გეო-თეფეს „K“ ფენის უძველესი ჰორიზონტის დასასრულმა ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებამდე მოაღწია.⁶⁶ მაგრამ, ცხადია, რომ რაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადრეულ საფეხურს ახასიათებს, ის ადრეული ბრინჯაოს ხანაზე მოდის და მისი ზედაქრონოლოგიური საზღვარიც ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს არ სცილდება⁶⁷.

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ა

ახალციხის ამირანის გორა და „მტკვარ-არაქსის“ აღრეული ბრინჯაოს კულტურის შესწავლის ზოგიერთი საკითხი

ახალციხის ამირანის გორის ზოგიერთი თავისებურების დადგენას „მტკვარ-არაქსის“ აღრეული ბრინჯაოს კულტურის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს: ამ ძეგლის პირველადი შესწავლის საფუძველზე თითქოს უკვე მოხერხდა კავკასიისა და, კერძოდ, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების შორეული წარსულის ახლებურად გაშუქება.

უკანასკნელ წლებში (1962—1963) ახალციხას ამირანის გორის გათხრამ არსებითად ვერ შეცვალა საერთო სურათი, რომელიც წინა წლებში წარმოებულ მუშაობის შედეგად იქნა მიღებული.

ბოლო წლებში მეტი შუქი მოეფინა ამ ნამოსახლარის დაგეგმარების ზოგიერთ საკითხს. ახლა ცნობილი გახდა, რომ სოფლის ცენტრალური უბნის სამხრეთ ნაწილში, ღრმა ხევის პირას, ტერასების ნგრევისაგან დაცვის მიზნით, ძველადვე გაუმართავთ ფართო, მორკალური ქვის ყორე — „გალავანი“, აქვე გამოვლინდა ქვის კიდევ ერთი გრძელი კედელი, რომელიც დაახლოებით 120 კვ. მეტრ ფართობს საზღვრავდა. ეს შემოზღუდული ტერიტორია უდავოდ გადაუხურავი უნდა ყოფილიყო. ეს ადგილი, თავისი დანიშნულებით, სოფლის დანარჩენ საცხოვრებელი სახლებისაგან განსხვავებულია და გრძელი ღერძის ორიენტაციით ე. წ. გრძელ ნაგებობებს ემსგავსება. არაა გამორიცხული, რომ სოფლის შუა ნაწილში გამოყოფილი ეს ადგილიც „გრძელი“, ცალკეული შენობის მსგავსად, გვარის თუ თემის საკუთრების, საქონლის თავშესაფარი სადგომი უნდა ყოფილიყო.

ახალციხის ამირანის გორაზე არსებული ზემოთ ხსენებული ნაგებობები და საგანგებოდ გამოყოფილი ადგილიც მკვეთრად ანსხვავებს ამ ნასოფლარს პუნქტებისაგან. ამ განსხვავებას კიდევ უფრო აღრმავებს ამირანის გორის

შთის წვერზე არსებული, ცალკე გამოყოფილი, „სამლოცველო“ — მსხვერპლშესაწირავი სენაკები, რომელთა მსგავსი ჯერჯერობით სხვაგან არსად აღმოჩენილა.

ამ თავისებურებების მიუხედავად ახალციხის ამირანის გორა ყველა სხვა დამახასიათებელი ნიშნით „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ტიპური ძეგლია. აქ გათხრილი ძეგლები ძირითადად ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ახალციხის ამირანის გორის ყველა განსაზღვრული ნიშნის დახასიათებას და საერთო-ისტორიულ ფონზე განხილვას უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ამ თვალსაზრისით დიდ ყურადღებას იპყრობს ის ანალოგიები, რომელთა შიხედვით კარგად ვლინდება „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურის საერთო მიმართება.

„მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის გავრცელებას კავკასიის სამხრეთით ძვ. წ. III ათასწლეულში უნდა გამოეწვია კავკასიური და სამხრეთული ქვეყნების ცალკეული კულტურული ელემენტების ურთიერთ-შეხვედრა.

აღმოსავლეთ კავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარში თვალსაჩინოდ ჩანს სამხრეთული კულტურის ჩრდილოეთით „შემოჭრა“. ახალციხის „ამირანის გორის“ ნივთიერი კულტურის ერთი ნაწილის მიხედვით შეიმჩნევა მტკვრის შუადინების აუზში აღმოსავლეთის (მესოპოტამია, ელამი, ირანი და ჩრდილო მესოპოტამია) და დასავლეთის (აღმოსავლეთი ანატოლია, ჩრდილო სირია, პალესტინა, ხმელთაშუაზღვა) კულტურის ცალკეული ელემენტების გამოჩენა. ამ ნამოსახლარზე აღმოსავლეთიდან შემოტანილ უძველეს ელემენტად უნდა მივიჩნიოთ დიდი მრგვალი ქერა (ტაბ. III4), რომელიც XIII შენობაში აღმოჩნდა; თიხის ზესადგარზე მოცემული მამაკაცის გამოსახულება, რომელსაც თმის ვარცხნილობა სუმერულად — ნაწნავის სახით — აქვს დასრულებული. ერთ-ერთ ადგილობრივ გამომწვარ ჭურჭელზე გამოწვის შემდეგ დატანილია პროტოელამური ნიშნების მსგავსი პიქტოგრამები (სურ. 169, 13); და, ბოლოს, „პირვანდელი სახით“ გამოყვანილია წეროების გამოსახულებანი, რომლებიც ყველაზე მეტად სიალკის III პერიოდის თიხის ჭურჭლებზე გამოსახულ წყლის ფრინველებს გვაგონებენ (სურ. 118).


როგორც ირკვევა, ახალციხის ამირანის გორაზე წარმოდგენილ ამ მავალითებს შეიძლება დაემატოს აგრეთვე „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს

კულტურის სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი ისეთი ელემენტები, რომლებიც სწორედ მესოპოტამურ-ირანულ წრეს ეკუთვნის. ამათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქვაცხელებში აღმოჩენილი სპილენძის დიადემა, რომელიც თეფე-ჰისარას დიადემებს ემსგავსება (სურ. 17₁₁). ვერძის რქებ-დახვეული თავის გამოსახულებიანი სპილენძის საკინძი (სურ. 17_ა), ქუსლიანი პირგადაშლილი ჭურჭელი და, რაც მთავარია, ბუკრანისა და ირმის გამოსახულებით ისეთი მანერა, რომელიც სწორედ მესოპოტამურ მოხატულ კერამიკას ახასიათებს. აღსანიშნავია ადამიანის თიხის სამიქანდაკეობა. მათ აქვთ სქემატურად გამოძერწილი ტანი, ბიუსტი, სუსტად გამოხატული მკლავები, ძუნწად გამოძერწილი პირისახის ნაკვთები და უკან დაქანებული კეფა (სურ. 8_ვ). ერთ-ერთს კეფაზე ორი პატარა შვერილი გააჩნია, რაც გარკვეული წესით დალაგებულ თმას ან თავსაბურს უნდა გამოხატავდეს. ყველა შემთხვევაში ეს გამოსახულებები გრძელი წვერით და მამაკაცი-სათვის დამახასიათებელი სახის ნაკვთებით გამოირჩევა. მამრობითი სქესის ამ ღვთაებას სუმერული გამოსახულებების მსგავსი ნიშნები გააჩნია. აღსანიშნავია ქანდაკების ზედაპირის დამუშავება, რომლის საშუალებით გამოხატულია ზედა და ქვედა ტანის სუმერული და, საერთოდ, მესოპოტამური ტანსაცმლის მსგავსი მოსახვევი საშოსი. გარდა ამისა, მტკვრის ხეობაში ჩნდება, აგრეთვე, ჯემდეთ-ნასრის პერიოდისათვის დამახასიათებელი თიხის ჯამცებური სარქველები, რომლებსაც შუაში ამოყვანილი პატარა სვეტი აქვთ (დიდუბე, ზლუდრის ვვერდა). ცხადია, აღნიშნული მასალა, რომელსაც აღმოსავლური (ირანულ-მესოპოტამური) კულტურის წრიდან მომდინარე ანალოგიები აქვთ, ერთ ხანას არ ეკუთვნის. მათ შორის თიხის სვეტებიან სარქველებთან ერთად უძველესია სპილენძის მარყუეთავიანი და თავხვიანი საკინძები, ტარგასაყრელი პატარა ცულები და, რაც ჩვენი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კიკეთის (სურ. 10₁₀), ოზნისა (სურ. 11₁) და ამირანის გორის (სურ. 10₈, 11₄) თიხის ჭურჭელზე გამოყვანილი წეროების ისეთი რელიეფური გამოსახულებანი, რომლებიც სიალკის მოხატულ ჭურჭლებზე ფრიზებად წარმოდგენილ წეროებს ემსგავსებიან (სურ. 11₈).

საფიქრებელია, რომ კავკასიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გავრცობილი უძველესი კულტურის ცალკეული ელემენტების გავრცელება მტკვრის ხეობაში იმ მჭიდრო ურთიერთობის გამოხატველია, რომელიც იმ ხანებში საერთოდ აღმოსავლურ და დასავლურ წრეებში არსებობდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ელემენტების არა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, არამედ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ

კენ გავრცელება, რაც ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის პირველ ნახევარში მთელ მახლობელ აღმოსავლეთში იშეინიშნება. საყურადღებოა, რომ წეროების რელიეფურ გამოსახულებათა გამომხატველი უძველესი თიხის ნაკეთობანი ჯერჯერობით მხოლოდ ქვემო ქართლსა (თრიალეთი) და მესხეთში გვხვდება, ხოლო ირანული ანალოგიების დამაკავშირებელი შუალედური პუნქტები „მტკვარ-არაქსის“ ადრე-



სურ. 19.


ული ბრინჯაოს კულტურის გავრცელების მთელ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ გამოვლენილი არ არის. იგივე უნდა ითქვას ახალციხის ამირანის გორის ჭურჭლებზე: აქ წეროებთან ერთად ხშირადაა გამოხატული ორმაგი მრავალხვია სპირალები, რომელთა ერთ-ერთი უძველესი სახე სიალკის III პერიოდის თიხის ჭურჭლებზე გვხვდება. მსგავსი ორმაგი სპირალები წეროების გარეშე, შიდა ქართლსა (გულდაბერტყა, ხაზანანთ გორა) და აღმოსავლეთ ანატოლიაშიც (ქარაზი) ჩნდება, მაგრამ ამგვარი „შემკულობა“ სხვაგან ჯერ არსადაა აღმოჩენილი. უფრო ვიწროა სათვალისებური ულლის მქონე ორმაგი სპირალების გავრცელების არე. ასეთი შემკულობა მხოლოდ ზომხეთისა (არაგაცი) და ქვემო ქართლის (თეთრწყარო, ოზნი, თრიალეთი) ტერიტორიაზეა წარმოდგენილი (სურ. 10ა). ამიტომ ორნამენტული მოტივებისათვის, რომლებიც წეროების

უძველეს გამოსახულებებთან ერთად გვხვდება მცირე ზნაში (ალაჯა), ჩრდილო სირიაში (ამუკი, ფაზა G) და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში აღმოჩენილი სხვა სახის უძველესი სპირალებია და აქ ანალოგიისათვის არ გამოდგებიან, ე. ი. „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში წარმოდგენილი წეროები და მათთან დაკავშირებული სპირალები ან მეანდრული „შემკულობა“ იმ საგაზაფხულო კულტის განსახიერებად უნდა მივიჩნიოთ, რაც თავდაპირველად ცენტრალურ ირანში გავრცელებულ სამიწათმოქმედო კულტისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის განვითარების ადრეულ საფეხურებზე ამავე კულტურულ წრესთან მიახლოების ერთ-ერთ ნიშნად შეიძლება კავკასიაში მრგვალი სახლების ფართო გავრცელების ფაქტიც დავასახელოთ. აღნიშნულთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩრდილო-დასავლეთ ირანში იანიკ-თეფეს სამოსახლოზე გვიანენეოლითური ხანის ერთ-ერთ კომპლექსში ისეთი წითელკაციანი სადა თიხის ჭურჭლის აღმოჩენა, რომელსაც „მტკვარ-არაქსის“ კულტურისათვის დამახასიათებელი არადიფერენციული ფორმა აქვს (სურ. 34). შესაძლოა დავეუშვათ, რომ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურის ჩამოყალიბებაში მთავარი როლი იმ ტომებს ეკუთვნოდა, რომლებიც ტერიტორიულად და კულტურულად მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ირანის მიწაწყალზე ადრევე აღმოცენებულ მძლავრ სამიწათმოქმედო კულტურასთან, და რომელთა მნიშვნელოვანი ელემენტებიც უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში მტკვრის ხეობის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში ვრცელდებოდა.

აღმოსავლური წრისათვის დამახასიათებელი სამიწათმოქმედო კულტურის ელემენტები მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში გავრცელებულა ძვ. წ. III ათასწლეულის მთელ მანძილზე, მაგრამ, ადრეული ბრინჯაოს მეორე პერიოდისა და ზოგიერთი ელემენტი დროთა განმავლობაში თავის პირვანდელ სახეს კარგავს. ეს კარგად შეინიშნება თიხის ჭურჭელსა და სხვა ნაკეთობებზე დატანილ სხვადასხვა სახეების თანდათანობითი სტილიზაციისა და მათი ორნამენტულ მოტივად გადაქცევის მაგალითზე.

ამავე პერიოდისა და არაქსის ორმდინარეთში მეორე — დასავლური კულტურის წრიდან მომდინარე ელემენტების მომძლავრება შეიმჩნევა. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „მტკვარ-არაქსის“ ადრეულ ბრინჯაოს კულტურაში უძველეს ჭურჭლე-

ბზე (თეთრწყარო) წარმოდგენილ წმინდა გეომეტრიული მოტივების თანდათანობით გამრავლებას. მტკვრის ხეობაში (შიდა ქართლი) და სომხეთში (შენგავითი) ამგვარი ორნამენტი, რომელიც მსუბუქი ნაკაწრით სრულდება. განსაკუთრებით იმ თიხის ნაკეთობებზე ვლინდება, რომელთა ფორმებიც მცირეაზიულ-სირიულ წრეში ჩამოყალიბებულ კერამიკას გვაგონებს. ქვეცხელება და



სურ. 20.

გუდაბერტყაზე აღმოჩენილ წითელკეციანი ქურქლების მიხედვით დადგენილია, რომ თრიალეთის ყორღანული სამარხების კერამიკის მსგავსად, მათ კორპუსზე დაჭდეული გეომეტრიული სახეები თითქმის ყოველთვის ერთი სქემით არის გაკეთებული: ყელისა და მუცლის შეერთების ადგილას შემოვლებული რამდენიმე კონცენტრული ხაზი და მის ქვეშ მარტივი, მაგრამ ყოველთვის რიტმულად მოცემული სახეებია. ამ კულტურის II და III პერიოდში ხშირია ქურქლის მუცლის თითქმის მთელ ზედაპირზე სამკუთხედებისა და მეანდრული მოტივების გამოყვანა, რაც აგრეთვე კარგად ახასიათებს ამიარანის გორის მოგვიანო პერიოდის კერამიკას (ტაბ. VII).

მტკვრის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში და განსაკუთრებით მისგან დასავლეთით, საჩხერის რაიონში, მცირეაზიული კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების ფართო გავრცელება ლითონის ნივთების მიხედვით კარგად ვლინდება. აქაა ღერძზე მიმაგრებული ბორბლებით შემკული სპილენძის საკინ-

ძემა (სურ. 97), ბრტყელი ცულის განვითარებული ფორმები, ბოლომოკაუტე-
ბული ან ფოლაქისებური კოპით დასრულებული ან სხვა სახის შუბისპირები
(ტაბ. IX_{1,2}). რომელთა ტიპები ძირითადად სირიაშია ცნობილი.

ამრიგად, შესაძლებელია დავუშვათ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში
შეინიშნება ცალკეული ელემენტების მონაცვლეობა, რის გამოც ძვ. წ. III
ათასწლეულის დასაწყისში უპირატესობა აღმოსავ-
ლურ ელემენტებს ენიჭება, შემდეგ კი — დასავლურს.
უთუოდ ამიტომ ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებიდან შეიმჩნევა „მტკვარ-
არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი
წამყვანი ელემენტის აღმოსავლეთიდან დასავლეთით გავრ-
ცელება. მაგალითად, თიხის ანთროპომორფული ზესადგრები ფართოდ
ვრცელდებიან ჯერ აღმოსავლეთ ანატოლიაში (ალიშარი), შემდეგ კი — სირი-
ასა (ამუკი, ელ-ტაბარა) და პალესტინაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღე-
ბას იქცევს ამ მხარეში კავკასიური წესით შავად გაპრიალებული თიხის ნაკე-
თობათა მომრავლება.

როგორც უკანაპენელი წლების გამოკვლევებით ირკვევა, ძვ. წ. IV—III
ათასწლეულის მიჯნაზე, ვანის ტბის მიდამოებს და საერთოდ, აღმოსავლეთ
ანატოლიის გარკვეულ ნაწილს, ურმიის ტბამდე, ჰურიტული მოდგმის,
ანდამათი მონათესავე ტომები იკავებენ. გ. ჰუდის, ვ. ვულისა
და ვ. ლამბის აზრით, სწორედ ამ ტომების შეჭრის შედეგად ძვ. წ. III ათას-
წლეულის პირველი ნახევრიდან ჯერ ამუქის ველზე, ჩრდილო სირიაში, ჩნდება
ე. წ. ჰირმეტ-კერაკის კულტურა, რომელიც მტკვრის აუზიდან
გადმოსული ტომების მიერ უნდა იყოს მოტანილი.

ამ საკმარის ეფექტური მიგრაციული თეორიის ერთგვარი ახსნა იმითაც
შეიძლება, რომ „მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურაში თანდა-
თანობით მატულობს მესაქონლეობის ხვედრითი წონა, სამიწათმოქმედო
კულტურა კი ერთგვარ „დაკნინებას“ განიცდის და, ამდენად, ხდება ანატოლი-
ისა და კავკასიის კულტურათა „დაახლოება“.


მაგრამ ამ კულტურის მატარებელი ტომების განსახლების ეკონომიური
საფუძველი ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის, თუმცა საამისოდ
ერთგვარი გეზია აღებული, მაგალითად, ი. კიკვიძის აზრით, „მტკვარ-არაქსის“
კულტურას ძვ. წ. III ათასწლეულში ამიერკავკასიაში მიწათმოქმედების
საერთოდ განვითარების დაბალი დონე ჰქონია. ბუნებრივი რწყვის პირო-
ბებში მიწის ზედაპირული დამუშავებით ნაკვეთი მხოლოდ რამდენიმე
სეზონის განმავლობაში გამოიყენებოდა. მისი შესვენების ხანაში საკი-

რო ხდებოდა ახალი სათესი ნაკვეთის მომზადება, რაც ტყის ხარჯზე, მისი ახლებად აღებით წარმოებდა. ვფიქრობთ, რომ მართლაც ეს გარემოება იწვევდა მთისძირა ზოლში მცხოვრები ტომების თანდათანობით განაახლებას ან მდინარეთა ნაპირების გასწვრივ, ან კიდევ მთებიდან — დაბლობში. შეიძლება დავუშვათ რომ, სწორედ ამის ამსახველია ერთ მიკრორაიონში ურთიერთის გვერდით ამ დროის სამოსახლოების წარმოქმნა (ზლუდრისგვერდა, ქულბაქევი, კულო-ხომი, ნაცარგორა და სხვ.), სადაც ახალი სათესი ფართობის ძიებაში სოფლის ერთი ნაწილი იყრებოდა და ახალ ადგილას სახლდებოდა. ამგვარ სეგმენტაციას უთუოდ ხელს უწყობდა მესაქონლეობის განვითარებაც. მესაქონლე ტომები საძოვრებად იყენებდნენ როგორც ბუნებრივ საძოვრებს, ისე განადგურებული ტყეების ხარჯზე გაშიშვლებული მიწის დიდ მასივებს. ბ. პიოტროვსკი აღნიშნავს, რომ რაკი ამ ნამოსახლარებზე განსაკუთრებით მრავლად ჩნდება წვრილფეხა საქონლის ძელები, ეს უკვე გვაგულისხმებინებს მწყემსურ მეურნეობაზე გადასვლას.

„მტკვარ-არაქსის“ ადრეული ბრინჯაოს კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევარში უკვე აშკარად ემყარებოდა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. მსხვილფეხა საქონელი დიდ როლს თამაშობდა მემინდვრობაში. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხარის კულტურისა და არაქსის ორმდინარეთში თითქმის ყველგან მძლავრად იყო წარმოდგენილი, მაგრამ მწყემსურმა მეურნეობამ ხელი შეუწყო პატრიარქალური საზოგადოების შემდგომ განვითარებას და საფუძველი შეუშადა განაყოფიერების მნიშვნელობის ახალ ასპექტში წარმოდგენას. ეს უკვე დაკავშირებულია ვერძისა და ფალოსის კულტის აღორძინებასთან, რამაც ამ პერიოდში ძველი სამიწათმოქმედო კულტები დაჩრდილა და მისი ატრიბუტების (წერო, ხარი, ირემი) მნიშვნელობაც თითქოს „დაივიწყა“ (სურ. 12, 14).

როგორც უკვე აღანიშნა, არ არის გამორიცხული, რომ ახალციხის ამირახის გორაზე „გრძელი“ შენობები და სოფლის ცენტრალური შემოზღუდული გადაუხურავი ადგილი მომრავლებული საქონლის სადგომებად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მესხეთში მწყემსური მეურნეობისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს. სწორედ ამ მხარეშია ცნობილი ისეთი საძოვრები, რომელიც ზამთარ-ზაფხულ გამოიყენება. ვფიქრობ, ამიტომ არის, რომ სამხრეთ საქართველოს ძვ. წ. III ათასწლეულში საქმალდ მტკიცედაა ერთმანეთთან შერწყმული სამიწათმოქმედო კულტურის (ხარი, წერო, გველი) და მესაქონლეობის (ფალოსი, ვერძი) განვითარებასთან დაკავშირებული

კულტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს მიტოვებული სამოსახლოების რაიონებში მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში, უკვე ირიგაციასთან დაკავშირებით, კვლავ ვითარდება მიწათმოქმედების კულტურა. ამ მოგვიანო კულტებშიც, ქვის ე. წ. ვეშაპებზე, ისევ ის ხარი, წერო, თევზი, გველი და სხვა ცხოველებია წარმოდგენილი, რომლებიც პირველად მესხეთ-ჯავახეთში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და სომხეთში ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურაში იჩენს თავს.



სურ. 21.

მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ამ მოვლენების ათასი წლის შემდეგ განმეორებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან ისევ იწყება III ათასწლეულის ბოლოს მოტოვებული სამოსახლოების ხელახალი დასახლება.

მაგრამ განხილული მასალების სინათლეზე უკვე ახალ მნიშვნელობას იძენს ის საყოველთაოდ მიღებული მოსაზრება, რომ ქართველი ტომების წინაპრები

ჰურიტებიც იყვნენ და რომ ამ ტომების სამშობლო ჰურიის ქვეყანა უნდა ყოფილიყო. ჰურიტები, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავდაპირველად ურმიის ტბის მიდამოებამდე აღწევდნენ და გარკვეულ ურთიერთობაში იყვნენ ზაგროსის მთებში მცხოვრებ სხვა ტომებთან. ჰურიტები, როგორც ირკვევა, კარგი მეტალურგები იყვნენ, მისდევდნენ მესაქონლეობას და ყოფაში კარგად იყენებდნენ ბორბლიან ტრანსპორტს. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში წარმოებული კვლევით ამ კულტურის ზოგიერთ განმსაზღვრელ დამახასიათებელ ნიშნებს (ცხენი, ეტლი) ამიერკავკასიაში ამ პერიოდშივე ვხვდებით. საქმე ისაა, რომ ამიერკავკასიაში პატრიარქალური საზოგადოების განმტკიცების ხანაში აქაც უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს განსახლების პროცესი და საფუძველი ეყრება ამ ერთიანი კულტურის დიფერენციაციას, ხოლო ცალკეული ტომების შემდგომ განვითარებას მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ამ კულტურას უკვე ლოკალური ვარიანტების წარმოშობაც მოსდევს.

ერთ-ერთი ასეთი ლოკალური კულტურის წარმონაქმნი უნდა იყოს კულტურულად ადრე დაწინაურებული ამირანის გორას სამოსახლო, რომლის შემდგომი შესწავლა ხელს შეუწყობს მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში ძვ. წ. III ათასწლეულში წარმოდგენილ მეტად საინტერესო და თავისებური კულტურის შინაარსის მართებულ გაშუქებას.



ამრიგად, ამიერკავკასიაში, ჩრდილო-დასავლეთ ირანში, აღმოსავლეთ ანატოლიასა და ჩრდილო კავკასიის რაიონებში გავრცელებული „მტკვარ-არაქსის“ კულტურის წარმოშობა-განვითარებასთან დაკავშირებული ფაქტების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

1. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულისა და III ათასწლეულის დასაწყისის კულტურათა შორის არსებული ქრონოლოგიური ხარვეზი ერთგვარ დაბრკოლებას ჰქმნის დავადასტუროთ გვიანენეოლითური და ადრეული ბრინჯაოს პერიოდის კულტურათა უწყვეტი განვითარება. მაგრამ ახალი კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნების „უეცრივი გამოჩენა“ ძირითადად მაინც უნდა აიხსნას იმ ეპოქალური მნიშვნელობის ძვრებით, რომლებიც აღნიშნულ ხანაში იჩენენ თავს. ამავე დროს მეტალურგიის, კერამიკისა და კულტურის განვითარების სხვა განმსაზღვრელი მასალები მიგვიითითებენ, რომ აქ სწორედ კულტურის შემდგომ განვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

2. ძვ. წ. III ათასწლეულის კულტურის მატარებელი იყვნენ იბერულ-კავკასიური ტომების შორეული წინაპრები — ჰურიტები ან მათი მონათესავე ტომები. მათ მიერ შექმნილი კულტურის გარცელება კავკასიაში ერთბაშად და ერთდროულად არ მომხდარა.

ძვ. წ. IV — III ათასწლეულის მიჯნაზე ზაგროსის მთიანეთიდან დაწყებული ერთგვაროვანი კულტურული მოვლენების გადანაცვლება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ შეიმჩნევა. ეს თანდათანობითი მონაცვლეობა მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთში მაშინ ხდებოდა, როდესაც აღრეული ბრინჯაოს კულტურა ფეხს იკიდებდა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში.

3. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ყველა თავისებურება ცხადპყფს ამიერკავკასიაში აღრეული ბრინჯაოს ხანაში ლითონის წარმოების მეტად მაღალ დონეს და ეს უკვე გამორიცხავს იმას, რომ ამიერკავკასიისა და წინააზიურ კულტურათა ურთიერთობაში მხოლოდ ცალმხრივ გავლენას ვხედავდეთ. ამიერკავკასია წინააზიური სამყაროს ისეთ უახლოეს „პერიფერიას“ წარმოადგენდა, რომელიც მთავარ როლს თამაშობდა წინა აზიის სპილენძისა და ბრინჯაოს მომარაგების საქმეში. ამიტომაც უნდა დავუშვათ, რომ მას ამ დროისათვის სამხრეთული ქვეყნების კულტურაზე გარკვეული გავლენაც უნდა ჰქონოდა.

